სპორტი

სპორტული გაზეთი | შაბათი 30 ოქტომბერი 1999 №209 (982) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედი

ვიქტორ სანეევს უთქვამს, ყველა ყოფილ სპორტსმენს სიამოვნებს, როცა არ ივიწყებენო. ამიტომ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ჩვენი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მითუმეტეს, რომ იგი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის რეფერენდუმის შედეგად ჩვენი ქვეყნის XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენ კაცად დასახელდა

იხილეთ მერვე-მეცხრე გვერდები

ვიქტორ სანეევი — საუკუნის რჩეული

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ სუპერკაზე საუკუნის რბოლაა

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1-ის წლევანდელი, 50-ე ჩემპიონატი ისეთი ინტრიგით მთავრდება, გულშემატკივარი უკეთესს ვერც ინატრებდა. „სამეფო რბოლების“ გვირგვინოსნის, ანუ მსოფლიოს საუკეთესო პილოტის ვინაობა ხვალ, ბოლო ეტაპზე იაპონიის დიდ პრიზზე რბოლისას გაირკვევა.

შეგახსენებთ: ედი ირვინი ოთხი ქულით უსწრებს მიკა ჰაკინენს და მსოფლიოს 28-ე ჩემპიონი რომ გახდეს, სამ ქულაზე მეტი არ უნდა წააგოს კონკურენტთან. ქულათა თანაბრობის შემთხვევაში ჩემპიონად ჰაკინენი გამოცხადდება, რადგან წლევანდელ სეზონში მეტოქეზე მეტჯერ დაიკავა საპრიზო ადგილი.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

საქართველოს ჩემპიონატი 10 ტური

«ა» ზონა
29 ოქტომბერი, პარასკევი

ლოკომოტივი	0
სიონი	1

დინამო	9	6	1	2	16:8	19
ვიტ ჯორჯია	9	5	2	2	13:6	17
სიონი	10	4	3	3	9:12	15
ლოკომოტივი	10	4	2	4	14:12	14
ბათუმი	9	3	5	1	6:3	14
თბილისი	9	2	3	4	17:18	9
სამგურალი	9	2	1	6	6:16	7
არსენალი	9	1	3	5	7:13	6

«ბ» ზონა
29 ოქტომბერი, პარასკევი

თსუ	0
მერანი	2

ტორპედო	9	8	1	0	24:5	25
კოლხეთი	9	6	0	3	13:11	18
დილა	9	4	2	3	11:13	14
მერანი	10	2	6	2	10:9	12
თსუ	10	2	4	4	5:9	10
იბერია	9	2	3	4	5:10	9
გორდა	9	2	1	6	6:9	7
ხობი	9	1	3	5	7:15	6

„ლოკომოტივ“—„სიონისა“ და თსუ—„მერანის“ მატჩების მიმოხილვა იხილეთ მეორე გვერდზე

გუშინ ეროვნული ჩემპიონატის მე-10 ტური ორი მატჩით და საკმაოდ საინტერესოდ დაიწყო. ბოლნისის „სიონმა“ ეროვნულზე „ლოკომოტივს“ სწორედაც რომ პრინციპული შეხვედრა მოუგო და ოთხეულში მოხვედრის შანსიც ერთიორად გაიუმჯობესა.

არანაკლებ პრინციპული მატჩი მოიგო თბილისის „მერანმაც“, ამ გამარჯვებაში კი თავისი წილი... რა თქმა უნდა, ცხვარმაც დაიდო.

დღეს ტურის დანარჩენი მატჩებია:

«ა» ზონა

თბილისი — დინამო
ვიტ ჯორჯია — ბათუმი
არსენალი — სამგურალი

«ბ» ზონა

ხობი — გორდა
კოლხეთი — დილა
ტორპედო — იბერია

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ
10 ᲤᲣᲠᲪᲘ

ᲛᲝᲕᲘᲒᲔᲑ ᲨᲘᲜ, ᲛᲜᲐᲮᲔᲗ ᲒᲐᲠᲔᲗ...

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲗᲐ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐ... ᲔᲡ ᲬᲣᲗᲘᲐ „ᲡᲘᲝᲜᲛᲐ“ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲝᲚᲘ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲐ

ᲒᲐᲓᲐᲠᲘ ᲥᲗᲘᲚᲐᲨᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ
16 ᲡᲐᲐᲗᲘ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
400 (ᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲘ 75 000)

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ 0:1 ᲡᲘᲝᲜᲘ

0:1 მოსეშვილი (24)
ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ: ჯანელიძე, ბალაშვილი, მ. ქობულაძე, კ. მელქაძე (ბაქრაძე 83), ჩიხრაძე, კაციაშვილი (ლ. შავგულიძე 75), ლ. მიქაძე, ამაშუკელი, ჩომახიძე (იაგორაშვილი 46), ქებაძე, რუსია
სათადარიგონი: ასლანაძე; ბარნოვი, ბერაძე, ვ. გველესიანი
ᲡᲘᲝᲜᲘ: ვოლკოვი, ნ. მინდიაშვილი, შაკაშვილი, სიდამონიძე, დიმიტრიაშვილი, თ. სამხარაძე, დ. სვანიძე (ტარუღაშვილი 67), სოლოღაშვილი, დათუაძე (მ. სამხარაძე 80), მოსეშვილი, დ. გოდერძიშვილი (ი. კაპანაძე 90)
სათადარიგონი: დალაქიშვილი; დ. ჯაფარიძე, ფ. არჩვაძე, ჩატელიშვილი
ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲘ: სვანიძე (51), ბალაშვილი (53), იაგორაშვილი (60), ვოლკოვი (68), რუსია (70), შაკაიშვილი (78)
ᲒᲐᲫᲚᲔᲕᲔᲑᲘ: რუსია (70)
ᲛᲡᲐᲯᲚᲔᲑᲘ: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი), ზ. ჯვარიძე; ო. ხეცაძე (ორივე თბილისი)
ᲡᲤᲤ-ᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ: შ. ნინჩაგაშვილი

„სიონმა“ „ლოკომოტივი“ დაამარცხა, ერთობ მოულოდნელად, მაგრამ ღირსეულად და „ა“ ზონაში აქამდეც დაძაბული მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა. „სიონმა“ „ლოკომოტივს“ ზუსტად ორი თვის წინათაც სძლია ამავე ანგარიშით, ოღონდ ის მატჩი ბოლნისში გაიმართა. მაშინ „ლინფილდთან“ მძიმე ბრძოლაგამოვლილ რკინიგზელებს მურთაზ ხურცილავა ხელმძღვანელობდა. იმ მატჩის შედეგი სენსაციადაც მოინათლა. შემდეგ „ლოკომოტივში“ თემურ მახარაძე დაბრუნდა, გუნდის თამაშსაც პროგრესი დაეტყო „ვიტ ჯორჯიასთან“ წაფორხილების შემდეგ — „არსენალი“ გაანადგურა, „სამგურალსაც“ სძლია სტუმრად, სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეც აღზევდა, ოთხეულში მოხვედრის დიდი შანსიც გაუჩნდა და უცებ, ისევ „სიონი“...

უცნაური გუნდია „სიონი“, არაერთხელ გვითქვამს ეს. კარგა ხანია, შეგვაჩვიეს ბოლნისელებმა, რომ „სიონი“ სახლის გუნდია, შეუძლია ნებისმიერი მეტოქის დამარცხება, ოღონდ შინ, მშობლიურ „თემურ სტეფანიაზე“, გასვლაზე კი... ხშირ შემთხვევაში უქულოდ რჩებოდნენ ბოლნისელები. მოვიგებ შინ, ნუ მომთხოვ გარეთ — „სიონის“ მოკრძალებული დევიზი დღეს უკვე მოძველებული ჩანს. მერვე ტურში „ეროვნულზე“ დამარცხებულ „თბილისს“, „სიონმა“ აგერ მეორე თბილისური გუნდიც მიაყოლა და ახლა „არსენალის“ ჯერიაო, დაიბარეს ბოლნისელებმა.

უცნაური მატჩი იყო. დასაწყისში „ლოკომოტივი“ უტევდა, პირველი ტაიმიც ბოლნისელთა ნახევარზე ჩამთავრდა, გაგრძელდა და — ისევ „ლოკომოტივი“ უტევდა, ფინალურ სასტვენს სულაც რკინიგზელთა შტურმი უსწრებდა და მაინც „სიონმა“ მოიგო. ამას, ცხადია, თავისი მიზეზები აქვს (ისევე, როგორც მასპინძელთა დამარცხებას) და სჯობს მათზე ვთქვათ.

„სიონი“ — „ლოკომოტივის“ მსგავს მატჩებში სტუმარი გუნდისთვის აქსიომასავითაა დაკანონებული — კონტრშეტევაზე თამაში საწყისი ანგარიშის შესანარჩუნებლად.

ვფიქრობ და ვერაფრით ვიხსენებ, წლეულს რომელიმე გუნდს ისე დახვეწილად და ძლიერად ეთამაშოს კონტრიერიშებზე, როგორც გუშინ „სიონი“ ეთამაშა „ლოკომოტივს“. ზემოთაც ვთქვი, რკინიგზელები ბევრს უტევდნენ, მატჩის დიდმა ნაწილმა ბოლნისელთა ნახევარზე ჩაიარა, ფრთაზე მიქაძე აქტიურობდა, ცენტრში ქებაძე (მოგვიანებით იაგორაშვილი), იქეთ რუსია, შეტევაში ჩართული ბალაშვილი, მაღალ ბურთზე მუდამ შემართული მელქაძე... დიდი ძალებით უტევდნენ თბილისელები, მაგრამ უცებ ბურთი ჩაიჭრებოდა სტუმართა საჯარიმოს მიადგომებთან და ნამდვილი სახიფათო მომენტიც მაშინ იქმნებოდა. თავისივე ნახევარზე ბურთს დათუაძე მიიღებდა და გამოზომილი პასით მაშინვე გოდერძიშვილი გაჰყავდა სახიფათოდ. ტანმორჩილი ფორვარდი გამორჩეული სისწრაფის წყალობით უმალ მეტოქის საჯარიმოში აღმოჩნდებოდა... და მეკარის ბაქანიც მაშინვე გადაწითლდებოდა („ლოკომოტივი“ ტრადიციული წითელი ფორმით ასპარეზობდა). იერიშის გაგრძელება კი სულ უფრო უჭირდათ მასპინძლებს, რადგან საწყისი პოზიციების დაკავებას და იქამდე ბურთის უხიფათოდ მიტანას გარკვეული დრო სჭირდებოდა. დრო კი სტუმრებზე მუშაობდა.

...მატჩის ერთადერთი გოლი „სიონის“ სწრაფ კონტრიერიშს მოჰყვა. 24-ე წუთზე დათუაძე გაიჭრა მარჯვენა ფრთაზე (მან მშვენიერი პასი მიიღო სოლოღაშვილისგან) და ბურთი მეკარის ბაქანზე ჩაადო. მცველები წამით მოდუნდნენ, ეს კი საკმარისი აღმოჩნდა ბახვა მოსეშვილისთვის, თხუთმეტი მეტრიდან ძლიერი დარტყმით დაელაშქრა ჯანელიძის კარი.

მეორე მიზეზი ბოლნისელთა გამარჯვებისა — დავით სოლოღაშვილი. გონიერი ნახევარმცველი, რომლის გაზრებული თამაშის წყალობით „სიონი“ უსწრაფესად გადადიოდა კონტრიერიშზე და შიგადაშიგ ცენტრალურ ხაზსაც მშვენივრად აკონტროლებდა. დაცვა — მესამე მიზეზი „სიონის“ წარმატებისა — სიდამონიძით და შაკაშვილით შედუღაბებული გაუვალი კედელი. თავად განსაჯეთ, მიუხედავად დიდი სათამაშო უპირატესობისა, „ლოკომოტივს“ ერთხელაც არ შეუქმნია რეალური საგოლე მომენტი ვოლკოვის კართან.

თემურ მახარაძის კომპეტენციაში შეჭრას ნამდვილად არ ვაპირებ, მაგრამ მაინც დაგვიანებული იყო ვახტანგ იაგორაშვილის შემოყვანა მოედანზე (მიუხედავად იმისა, რომ ამ ფეხბურთელმა-მთელი მეორე ნახევარი ითამაშა). იგი რომ თავიდანვე ძირითად შემადგენლობაში ყოფილიყო, ვინ იცის, „ლოკომოტივის“ პირველი ნახევრის უღიმღამო, ქაოსურ და ერთფეროვან შეტევებს ლაზათი და სიმწვავე შეჰმატებოდა. შეცვლაზე შესული იაგორაშვილი სწორედ ამით გამოირჩა მეორე ნახევარში, თუმცა უკვე დაღლილი და გარკვეულწილად მარცხშეგუებული თანაგუნდელები ვეღარ გაამხნევა.

ᲪᲮᲕᲐᲠᲘᲭᲐᲛᲘᲐ ᲛᲔᲠᲐᲜᲘ

ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲯᲐᲠᲘᲛᲐᲓ ᲣᲯᲓᲔᲑᲝᲓᲐᲗ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲝᲚᲝᲔᲜᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲗᲡᲣ
29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ
16 ᲡᲐᲐᲗᲘ
ᲐᲠᲛᲐᲖᲘ
500 (ᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲘ 3 000)

ᲗᲡᲣ 0:2 ᲛᲔᲠᲐᲜᲘ

0:1 ბ. ამბიძე (79), 0:2 დავითაშვილი (90)
ᲗᲡᲣ: მერლანი, ნინუა, სვანაძე, წუწუნავა, დეკანოსიძე, მესხი (ბ. ნოზაძე 83), ადამია (ფარქოსაძე 46), თ. ბოკერია, კვიციანი, დ. არჩვაძე, ერაძე (გ. გვაზავა 46)
სათადარიგონი: გუგუნავა, ინნკირველი, ჯობაძე, გ. მიქაძე
ᲛᲔᲠᲐᲜᲘ: ნაჭყეპია, ლ. ამბიძე, ლურსმანაშვილი, ჯიშკარიანი (კოშკაძე 75), ხარებავა, ბაჯელიძე (ჭინჭარაული 64), კარიაული (ლ. ჩხაიძე 90), ე. ალადაშვილი, ბ. ამბიძე, დევიძე, დავითაშვილი
სათადარიგონი: კოროშინაძე, ცქიფურიშვილი, ჩანადირი, ივანიშვილი
ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲘ: ბოკერია (7), კვიციანი (30), დევიძე (39), წუწუნავა (43)
ᲛᲡᲐᲯᲚᲔᲑᲘ: მ. მალაღურაძე; ვ. ჩოჩიშვილი (ორივე თბილისი), ა. ორდინიძე (ონი); ნ. კილაძე (თბილისი)
ᲡᲤᲤ-ᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ: ნ. ამირეჯიბი

ᲕᲐᲜᲝ ᲝᲫᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ მცხეთიდან

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ქართულ ფეხბურთს კიდევ ერთი ცხვარი შეეწირა. ამდენი ფრეებით (თუ ქულების კარგვით) გაბეზრებულმა თბილისის „მერანის“ ხელმძღვანელობამ არც აცია, არც აცხელა და ხუთშაბათს „სინათლის“ სტადიონზე ფეხბურთელთა თანდასწრებით ცხვარი დაკლა. რა შედეგი გამოიღო ამან, თსუ-სთან მატჩის ანგარიშიდანაც ჩანს. ტრანსპორტელებმა მიმდინარე სეზონში მეორე გამარჯვება იზეიმეს. ისე, „მერანს“ გაუმართლა. ხომ შეიძლებოდა, თსუ-საც ივიგე გაეკეთებინა? ამ შემთხვევაში „ცხვრის-შეწირვის ლოგიკით“ „არმაზზე“ მატჩი ფრედ დასრულდებოდა.

ხუმრობა იქით იყოს, ა გუშინდელ შეხვედრაში „მერანის“ გამარჯვება ცხვარზე მეტად თავად ავჭალელთა ბრალია. მათ თამაშში სული და გული ჩაქსოვეს, ძალიან მოინდომეს და გამარჯვებაც გამოჭედეს.

ვინც „ბ“ ზონის ცხრილს ჩახედავდა, ამ მატჩის მნიშვნელობას იმწამსვე მიხვდებოდა. ორივე გუნდს გულში ოთხეულში მოხვედრა ამოუჭრია, მიზნის მისაღწევად კი ყველა მატჩში მხოლოდ და მხოლოდ სამი ქულა სჭირდება. ქულები თსუ-მაც და „მერანმაც“ გასულ ცხრა ტურშიც საკმარისზე მეტი ფლანგეს.

„მერანს“ დაცვაში საქმე რომ არცთუ ცუდად აქვს, ამას ბოლო ხუთი ტურის (გუშინდელის ჩათვლით) სტატისტიკაც მოწმობს. ბოლო 450 წუთის განმავლობაში თემურ ჩხაიძის შეგირდებმა მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს, ის ერთიც „დილასთან“ საშინაო მატჩის 86-ე წუთზე, როცა მასპინძლები 3:0-ს იგებდნენ. მას შემდეგ „მერანმა“ ზედიზედ სამ შეხვედრაში კარი მშრალად შეინახა, თუმცა ორში მეტოქის ბადეც ბურთშეუხებელი დატოვა, რაც გუნდის სუსტ თავდასხმაზე მიუთითებდა.

გუშინ კი ნავსი, მართალია, ცხვრის დახმარებით, მაგრამ მაინც გატყდა. ტრანსპორტელებმა მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში ერთ-ერთ მთავარ კონკურენტს ორი გოლი გაუტანეს და 2:0 მოიგეს.

მატჩი ბევრისთვის მოულოდნელად დაიწყო. გუნდებმა დასაწყისშივე მაღალი ტემპი და გახსნილი თამაში შესთავაზეს ერთმანეთს. გულშემატკივარი უკეთესს (ცხადია, ჩვენი ჩემპიონატის ფონზე) ვერც ინატრებდა. პირველი რეალური საგოლე მომენტი მე-4 წუთზე შეიქმნა — დეკანოსიძის ჩინებული პასით ნაჭყეპიასთან პირისპირ დარჩენილმა ადამიამ გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღო, როცა კარში დარტყმის ნაცვლად მეტოქის მცველს მიაწოდა პასი. ამას „მერანის“ შეტევა მოჰყვა, თუმცა მთელი მატჩის განმავლობაში ყველაზე აქტიური დავითაშვილის დარტყმული ბურთი კარის წინ მყოფმა სვანაძემ თავით მოიგერია. ცოტა ხანში კი კინაღამ ედიშერ ალადაშვილმა „გამოიჩინა თავი“, როცა დაახლოებით 30 მეტრიდან ლამის ავტოგოლი გაიტანა. მისი ფეხიდან აჭრილი ბურთი წინ გამოსულ ნაჭყეპიას გადაევლო და კარს სულ ოდნავ ასცდა. 24-დან 29-ე წუთამდე კი თსუ ოთხჯერ გადაურჩა აშკარა გოლს. აქედან ორჯერ მცველებმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანეს, ერთხელ სრულიად უყურადღებოდ მიტოვებულმა დავითაშვილმა ხუთი მეტრიდან ააცილა მიზანს, ერთხელაც ხელის ტრავმით მოთამაშე მერლანმა იმარჯვა, როცა იმავე დავითაშვილის სახიფათოდ დარტყმული მოიგერია. საინტერესო ნახევარი საათის შემდეგ გუნდები მოდუნდნენ, ტემპი დაგდეს და თამაშიც ჩვეულებრივ, საქართველოს ჩემპიონატისთვის დამახასიათებელ კალაპოტში ჩადგა. ასე დაახლოებით 70-ე წუთამდე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ტერიტორიულ უპირატესობას თსუ ფლობდა. მასპინძლები ბევრს ცდილობდნენ, გუნდის თავკაცმა კოტე დოლიძემ შეტევის ხაზიც გაამლიერა — გრიგოლ გვაზავა და გიორგი ფარქოსაძე ერთდროულად შეუშვა მინდორზე, თუმცა შედეგი არც ამან გამოიღო. სტუმართა კართან შექმნილი სახიფათო მომენტები შორეული დარტყმებით შემოიფარგლა, რომლებიც ან კარს სცდებოდა, ანაც ნაჭყეპიას იოლი ლუკმა ხდებოდა. ბოლო ოც წუთში კი „მერანმა“ იფეთქა. 72-ე წუთზე მასპინძლებს დავითაშვილმა ისევ შეახსენა თავი. მან ნინუას წაართვა ბურთი, საჯარიმოში შეავიდა და კარის გასწვრივ ჩაწოდა, დევიძეს და ბახვა ამბიძეს მცველებმა დაასწრეს და ხიფათი განმუხტეს. მალე კი სტუმართა მწვრთნელმა თემურ ჩხაიძემ ის შეცვლა გააკეთა, რომელმაც ფაქტობრივად მატჩის ბედი გადაწყვიტა. მინდორზე სამოდე წუთის წინ შესულმა კოშკაძემ ბახვა ამბიძე მახვილგონივრული პასით მერლანს შეატოვა, ბახვამაც ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა — 1:0. გაშვებულმა გოლმა თსუელები უფრო გამოაცოცხლა. ისინი მთელი გუნდით გადავიდნენ შეტევაზე, სტუმრებმა კი კონტრშეტევებზე ააგეს თამაში. მასპინძელთა ცდამ შედეგი ვერ გამოიღო, „მერანის“ მცველებმა მოწინააღმდეგის სახიფათოდ დარტყმულები მეკარემდეც კი არ მიუშვეს. ყველა ბურთს თავგანწირვით გადაეღობნენ, თავად კი ერთიც გაიტანეს. დავითაშვილმა თსუ-ს საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და იმავე კოშკაძის პასით მატჩს წერტილი დაუსვა.

ნეტავ, ცოტა ადრე დაგვეკლა ცხვარი, ხუმრობდნენ თამაშის შემდეგ გახარებული მერანელები, რომლებსაც ოთხეულში მოხვედრამდე კიდევ გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევთ. მიზნის მიღწევის შანსი ამ დამარცხებით თსუ-საც არ დაუკარგავს. კალენდარს თუ გადავხედავთ, თსუელებს უკეთესი შანსიც აქვთ, ვიდრე „მერანს“, ყველაფერი თითოეული გუნდის მარიფათზეა დამოკიდებული.

„არმაზის“ მწვანე გაზონს კი არც თსუ — „მერანის“ დასრულების შემდეგ დაუსვენია. მერაბ მალაღურაძის საფინალო სასტვენის შემდეგ მინდორზე ვიტჯორჯიელები გამოჩნდნენ, რომლებმაც „ბათუმთან“ დღევანდელი მნიშვნელოვანი მატჩის წინ ბოლო ვარჯიში ჩაატარეს.

სპორტული ბიბლიოთეკა

საით, ალანიელო ქართველებო?

თბილისი — ვლადიკავკაზი — მოსკოვი

ასეა, ყველაფერს აქვს ამქვეყნად დასასრული. ერთფეროვნება ყოველთვის მოსაწყენია, მით უმეტეს მაშინ, როცა არჩეული საქმე ადგილიდან აღარ იძვრის, როცა მისგან მიიღებ იმას, რისი მიღებაც შეგეძლო და ხვდები, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ან უბრალოდ მიგახვედრებენ ამას.

ორივე მომენტი გასათვალისწინებელია იმ შემთხვევისთვის, რომელზეც უნდა გიამბოთ. ორივე ფაქტორი მოქმედებს იმ გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც ვლადიკავკაზის „ალანიას" მთავარმა მწვრთნელმა, ვალერი გაზაევმა უნდა მიიღოს და არავინ ვიტყვით, რაც უნდა ის ქნას, რა ჩვენი საქმეაო. მართალიც ვიქნებით.

აგერ უკვე ხუთი წელია, ტყუილად ხომ არ მოვიხსენიებთ „ქართველების ალანიად" ვლადიკავკაზურ კლუბს, რომელიც ჩვენებურთათვის ტრამპლინად თუ იმედგაცრუებად ქცეულა. ხუთწლიანი ურთიერთობა ცოტა ნამდვილად არ არის იმ საქმისთვის, რისი გაკეთებაც სურდა ერთსა თუ მეორე მხარეს — ქართულ ფეხბურთსა და ვალერი გაზაევს, უფრო სწორად კი გაზაევს. ქართული საფეხბურთო სკოლა მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი საშუალება იყო მისთვის და კიდევ კარგა ხანს დარჩება, ვიდრე ეროვნული ჩემპიონატის დონე და საკლუბო მეურნეობა არ გაუთანაბრდება რუსეთისას.

ამოწურა თავისი ფუნქცია ქართველების „ალანიამ". მოძველდა ვალერი გიორგის ძის ფულის საკეთებელი მანქანის მექანიზმი და გაიშიფრა. ერთ დროს სოლიდური და უცნაური ტრანსფერების სამშობიარო კლიენტის გარეშე დარჩა. ხელოვნურად გაზრდილი ალანიელთა ფასები საფეხბურთო ბაზარზე აღარ ჭრის. თითქმის მეორე სეზონია, ვლადიკავკაზელები ვერ ახერხებენ რომელიმე სერიოზულ ევროპულ კლუბთან სარფიან გარიგებას. გოგა გახოკიძის ჰოლანდიურ „ეინდჰოვენში" გაყიდვის შემდეგ გაზაევის წარმატებული სატრანსფერო პოლიტიკა გაიყინა. არადა, მისი კვლავ ამოქმედების ძალიან ენერგიულ მცდელობას სამიოდე თვის წინათ ჰქონდა ადგილი. ყველასთვის მოულოდნელად, „ალანიის" ლიდერის — გიორგი დემეტრაძის ფასი სულ რაღაც ოთხი თვის მანძილზე 5-ჯერ გაიზარდა — ზამთარში 2 მილიონ დოლარად შეფასებული დემეტრაძე ზაფხულში 10 მილიონ დოლარად შეფასდა. სპორტული პრესის ფურცლები წალეკა ინფორმაციამ გიორგის ფრანგულ „ოსერსა" თუ ინგლისურ „არსენალში" შესაძლო გადაბარგების შესახებ. დემიგოლს გოლები გოლებზე გაჰქონდა და უკეთეს დროს ამ ტრანსფერის განსახორციელებლად ვერც ინატრებდა ფინანსურ კრიზისთან მდგომი „ალანია", მაგრამ... დრო უკვე აღარ მუშაობს ვალერი გაზაევზე. სატურნირო ცხრილში პირველ ხუთეულს მიღმა მყოფი პროვინციული კლუბი აშკარად ვარსკლავებს ეთამაშება, ფაქტობრივად ვაბანკზე მიდის. იგი ყოველნაირად ცდილობს ქართველ ფეხბურთელში უსაშველოდ დიდი თანხა აიღოს იმასთან შედარებით, რაც აქამდე მიუღია და შედეგად კვლავ გააგრძელოს ძველებურად ცხოვრება, დრომოჭმული არსებობა. მიუხედავად გიორგი დემეტრაძის მიმართ ჩვენი კარგი დამოკიდებულებისა, ერთი რამ უნდა ითქვას — მისი სატრანსფერო ფასი აშკარად ხელოვნურად გაიბერა, რაც გაზაევის მხრიდან ანკესის გადაგდებას ჰგავდა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ რუსეთის ჩემპიონატში და ევროსარბიელზე ხელმოცარული კლუბის ფეხბურთელში ამხელა თანხას არავინ გადაიხდიდა. თანაც დემეტრაძეს ეროვნულ ნაკრებში არასდროს ჰქონია დაჯავშნული ადგილი. ამ სამ ფაქტორს კი ევროპის წამყვანი კლუბების მესვეურები და ცნობილი აგენტები ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ.

ბადრი კეთილაძის ფოტოები

გიორგი დემეტრაძე | ვალერი გაზაევი | მამუკა წერეთელი

ვალერი გაზაევმაც კარგად უწყოდა ამის შესახებ, მაგრამ მაინც სცადა თავისი, კვლავ მიიქცია ყურადღება და როცა მიახვედრეს, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა, ჩიხიდან გამოსავლის ძიება დაიწყო.

— „ალანია" უეფას საგზურისთვის იბრძოლებს — განაცხადა უფუნქციოდ დარჩენილი გუნდის თავკაცმა და მოსკოვური კლუბების ხუთეულის ჰეგემონიას მოშლით დაემუქრა. „პროვინციელთა წინამძღოლი", ასე უწოდებენ რუსეთში „ალანიას", უკვე აღარ მუშაობს „დემიგოლის" შედეგიანობაზე, იგი ქულების დაგროვებაზე ზრუნავს და სანუკვარ მეხუთე საფეხურზე მკვიდრდება. თუმცა გუნდში სერიოზულად იჩინა თავი ფინანსურმა კრიზისმა. „ალანიას" არც ზემოდან სწყალობენ, „ველურ დივიზიად" მონათლულ კლუბს მსაჯებისგანაც ექმნება პრობლემები და...

გაზაევი მაინც პოულობს გამოსავალს და ალბათ ყველაზე სწორ გადაწყვეტილებასაც იღებს. იგი მიხვდა (მიახვედრეს კიდეც), რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება...

გუშინდელ „სპორტ-ეკსპრესში" დაიბეჭდა კორესპონდენტ დმიტრი ღიუბოს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოსკოვის „დინამოს" დირექტორატმა ნიკოლაი ტოლსტიხის ხელმძღვანელობით იმსჯელა კლუბის ახალ თავკაცად ვალერი გაზაევის შესაძლო დანიშვნის შესახებ. დიუბო კი „ალანიის" ცნობილ სპეციალისტადაა ცნობილი.

რა გამოდის? „დინამო" და „ალანია" მეხუთე ადგილისთვის ბრძოლის მთავარი კონკურენტები არიან. მოსკოველთა გენერალურ დირექტორ ტოლსტიხს კი მყარად აქვს გადაწყვეტილი გუნდის ევროსარბიელზე გაყვანა და სერიოზულად გაძლიერება. იგი რამდენჯერმე შეხვდა კიდეც გაზაევს და მოელაპარაკა.

ვლადიკავკაზელთა კლუბის მთავარი მწვრთნელი, ბუნებრივია, მარტო არ აპირებს მოსკოვში გადაბარგებას. მას რამდენიმე ფეხბურთელის თან წაყვანა აქვს გადაწყვეტილი. მათ შორის პირველი გიორგი დემეტრაძეა. გაზაევი ალბათ წერეთელსაც იახლებს „დინამოში". რა ბედი ეწევათ ჭიჭვეიშვილსა და ჩხაიძეს, ჯერ უცნობია.

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, თუ ალანიელი ქართველები რუსეთის დედაქალაქის ტიტულიან კლუბში მოხვდებიან. მათთვის ტრამპლინად ხომ „დინამო" უფრო სჯობს, მაგრამ... ხომ გაგიგონიათ, კარგია ყველაფერი, რაც კარგად მთავრდება. ჰოდა, ჩვენც დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

ხვიჩა სანიკიძე

ბოლნისურ ფულს მისამართი შეშლია

ბადრი კეთილაძის ფოტო

შოთა ხინჩაგაშვილი (მარცხნივ) და ზურაბ ჯაფარიძე

დღევანდელ „სარბიელში" „ლოკომოტივი" — „სიონის" მატჩის ანგარიშის ნახვის საშუალება კი გაქვთ, მაგრამ გუშინ შეხვედრის ჩატარება საეჭვო იყო.

— შესაძლოა, მატჩი არ ჩატარდეს, „სიონს" ვგონებ, საწევრო თანხა არ გადაუხდია — გვითხრა მატჩის დაწყებამდე 25 წუთით ადრე სფფ-ს ერთ-ერთმა თანამშრომელმა. ჩვენთვის ცოტა მოულოდნელიც იყო ეს განცხადება, რადგან საწევრო თანხა 10 ათასი ლარია, ის 10 ათასი, რომლის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში სეზონის წინ ზოგიერთ გუნდს ჩემპიონატიდან მოკვეთა ემუქრებოდა. და უცებ, მეათე ტურის დაწყების წინ აღმოჩნდა, რომ თურმე „სიონს" უკანონოდ, ანუ დებულებაზე გვერდის ავლით ათამაშებენ ეროვნულ ჩემპიონატში?

საქმეში გასარკვევად, ბუნებრივია, მატჩის დელეგატს, ბატონ შოთა ხინჩაგაშვილს მივმართეთ.

— არა, არა, არაფერი მსმენია... მატჩი გაიმართება — ცოტა არ იყოს დაბნეულად გვიპასუხა ხინჩაგაშვილმა. ნამატჩევს „სიონის" წარმომადგენელს, ბოლნისის რაიონის გამგებელს ზურაბ ჯაფარიძესაც გავესაუბრეთ:

— მატჩის წინ გვითხრეს, რომ „სიონს" საწევრო თანხა არ აქვს გადახდილი...

— არა, ყველაფერი რიგზეა, 10 ათასი ლარი ავგისტოში, ჩემპიონატის დაწყების წინ, გადავრიცხეთ ფედერაციის ანგარიშზე. აღმოჩნდა, რომ ეს თანხა სხვა ანგარიშზე დაჯდა, მგონი, ფილიპინებში, არც ვიცი ზუსტად...

— კი მაგრამ, ჩემპიონატის წინ ყველა გუნდმა ნაღდი ფულით გადაიხადა საწევრო თანხა, თანაც მაშინაც ყადაღადადებული ჰქონდა ფედერაციის ანგარიში...

— მე ვერაფერს გეტყვით. გვითხრეს, ამ ანგარიშზე გადარიცხეთ ფულიო და ჩვენც ასე მოვიქეცით, როგორც ჩანს, გაუგებრობა მოხდა. ასე რომ, „სიონს" საწევრო თანხა სრულად აქვს გადახდილი...

ამას წინათ დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში გვითხრეს, რომ სახელმწიფო ინსტანციას ფეხბურთის ფედერაციის სამი ანგარიში (აქედან ერთი სავალუტო) აქვს ყადაღადადებული, დღეს კი უკვე კითხვა გვიჩნდება, რამდენი ანგარიში აქვს სფფ-ს ყადაღადადებული?

სეზონის წინ ბევრ გუნდს სურდა, გადარიცხვით შეეტანათ საწევრო, მაგრამ მაშინ ფედერაციამ ჩემპიონატში მონაწილე კლუბებთან ნაღდი ფული მოითხოვა. გუშინ კი გაცხადდა, რომ „სიონს" საწევრო თანხა გადარიცხვით გადაუხდია, უცნაურია არა? უცნაურია ისიც, რომ სფფ-მ თანხის გადარიცხვიდან ორი თვის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ეს ფული საჭირო მისამართზე არ მისულა. მართლაც რომ გაურკვეველი სიტუაციაა...

პაატა ძვანტალიანი

მთავარია გაგება და მოგება

საქართველოს მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეათე ტურის გუშინდელ მატჩს თსუ-ს წინააღმდეგ თბილისის „მერანი" საკმაოდ შესუსტებული შემადგენლობით შეხვდა. ავჭალელებს მცხეთის „არმაზზე" ძირითადის ერთბაშად სამი ფეხბურთელი აკლდათ.

ლევან თოლორდავას ბოლო პერიოდში ტრავმა აწუხებს. ამ თავდასხმელმა გუშინდელი თამაშის გარდა წინა ორი მატჩიც გამოტოვა — შინ სამტრედიის „იბერიასთან" და ხობის „კოლხეთთან". ორივე შეხვედრა, შეგახსენებთ, ფრედ 0:0 დასრულდა.

ხობელებთან გასულ შაბათს გამართულ მატჩში ფეხი დაიშავა მერანელთა კიდევ ერთმა შემტევმა ფეხბურთელმა ოთარ როსტიაშვილმა. ექიმთა მცდელობის მიუხედავად, მან ტრავმა ვერ მოირჩინა და თსუ-სთან თანაგუნდელებს, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ დაეხმარა.

შალვა ივანიშვილის თამაშის იმედი კი „მერანის" ხელმძღვანელობას ბოლო წუთამდე ჰქონდა. იგი გუნდის მესვეურებმა მატჩის განაცხადში შეიყვანეს, მაგრამ ამაოდ, ივანიშვილი მცხეთაში არ ჩამოსულა. თუმც ამის გამო არავინ უსაყვედურებს. მას საპატიო მიზეზი ჰქონდა. ოჯახური მდგომარეობის გამო შეიძლება ვერ ვითამაშოო, წინასწარვე გაუფრთხილებია მცველს უფროსობა. მათაც, ბუნებრივია, გაუგეს ფეხბურთელს.

„მერანმა" თსუ-ს დამარცხება ზემოჩამოთვლილ ფეხბურთელთა დაუხმარებლადაც მოახერხა. აი, შემდგომ ტურში კი იგივეს გაკეთება ძალიან გაუჭირდება. მომავალ კვირას, 7 ნოემბერს, „სინათლეს" თვით ქუთაისის „ტორპედო" სტუმრობს, რომელიც ზონის ლიდერია და აქამდე გამართულ 9 მატჩში მხოლოდ ორი ქულა დაუკარგავს. იმედია, მანამდე თოლორდავაც, როსტიაშვილიც და ივანიშვილიც მოაგვარებენ თავიანთ პრობლემებს და „ტორპედოსაც" დაუპირისპირდებიან.

ცნობისთვის: ქუთაისის „ტორპედოს" „მერანი" „სინათლის" სტადიონზე ჯერ არ დაუმარცხებია.

ვანო ოქროპირიძე

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

უბრალოდ კახა

კახა კალაძე თანაგუნდელებთან ერთად

ნორვეგია. 29 მაისი. „ულევალი". საღამოს შვიდი საათი. „ულევალის" მინდორზე ქართველი ფეხბურთელები და მათი ჰოლანდიელი თავკაცი იოჰან ბოსკამპი ნორვეგიის ეროვნულ ნაკრებთან მატჩისთვის ემზადებიან. სკანდინავიელები თავს მინცდამაინც არ იკლავენ ჩვენებურთა ვარჯიშის ხილვით. სტადიონზე მომსახურე პერსონალი და ორიოდ ცნობისმოყვარეა. დანარჩენები სულ ქართველები ვართ — ჟურნალისტები, ფედერაციის მოხელეები და დავით ყიფიანი. ყიფიანი მწვრთნელთა სკამზე ზის და ფიქრიანად მისჩერებია ბოსკამპისეულ ვარჯიშებს.

იქ კი მინდორზე ვარჯიშზე მეტად მოთელვაა. მსუბუქი, საქმიანი. ეს ბოსკამპის პირველი მატჩია საქართველოს ნაკრების თავკაცის პოსტზე. ისე ეტყობა, სიამოვნებს ჰოლანდიელს ქართველ ფეხბურთელებთან მუშაობა, კობიაშვილი, ქეცბაია, ნემსაძე... მარტო კალაძე რად ღირს. ბოლოს და ბოლოს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტია კაცი. მოედანზე ადვილად ირჩევა კალაძე სხვებისგან. ზორბაა, ჯანიანი, დაკუნთული და „მოჭიდავე". მოგვიანებით, ნორვეგიელებთან მატჩის შემდეგ იტყვის კიდეც ბოსკამპი, თანამედროვე ფეხბურთში ხისტი, ძალისმიერი ფეხბურთელებია საჭიროო.

არადა, იყო დრო, როცა კალაძე, როგორც ფეხბურთელი, დაიწუნეს. ეს ცოტა კატეგორიული პოზიცია კია, მაგრამ „სადღაც, რაღაცაში" ასეა. დაიწუნეს სამტრედიაში, მაგრამ ცოტა ხანში ყიფიანისეულ „დინამოში" აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, კანონზომიერია ჩემი კითხვაც, იქ „ულევალზე" დავით ყიფიანს რომ დავუსვი — კალაძე თქვენ დროს მოვიდა არა „დინამოში"? — ყიფიანმა თავი დამიქნია და ნაკრების წევრების ყურება განაგრძო.

ყველა მწვრთნელი მის მიერ აღმოჩენილი ფეხბურთელებით იზომება. ძალიან ხშირად ახალგაზრდა ფეხბურთელებს უთვლიან ხოლმე დამრიგებელს, მაგრამ ისეც ხდება, მწვრთნელი „ბებერ ტალანტსაც" გააცნობს მსოფლიოს და არც ეს არის ცუდი — პრეეტცი, ბირჰოფი სიბერეში არ აღმოაჩინეს რიობერმა და ძაკერონიმ?

ამიტომ დღეს, როცა კახა კალაძეზე ვსაუბრობთ და მას თავისი თაობის ყველაზე ტიტულიან ფეხბურთელად ვთვლით (ფაქტები უეფას რეესტრშია), არც ყიფიანის დამსახურებაა დასაკარგი, კალაძე „დინამოში" მის დროს მოვიდა და ამით ყველაფერია ნათქვამი.

მაგრამ საქმეში უკეთ ჩახედულმა ხალხმა ისიც იცის, რომ კახა კალაძის ფეხბურთელობაში ყველაზე დიდი „ბრალი" უფროს კარლოს (კახა უმცროსიც კარლოა), მამამისს მიუძღვის. კარლო კალაძე — უფროსი ფეხბურთის აღმინისტრაციულ რაღაცეებში გზაგაკვალული კაცია, საკმარისზე მეტადაც უყვარს ეს თამაში და რა გასაკვირი იყო, რომ თან გადაჰყვა შვილს და მანამ არ მოისვენა, სანამ ფეხბურთელად და კარგ ფეხბურთელადაც არ აქცია.

კალაძეს ცოტა შანსი ჰქონდა სამტრედიაში ფეხბურთელად ქცევისა. როგორც არ უნდა დააყენო საქმე ადგილზე, პროვინცია მაინც პროვინციაა. დიდი ეპოქა შექმნა გი რუმ „ოსერში" ოცდაათწლიანი მოღვაწეობის მანძილზე, მაგრამ სხვაა პსჟ და სხვაა „ოსერი". დაახლოებით ამგვარი სიტუაციაა ჩვენშიც — იმ ხანებში „სამტრედია" უძლიერესი იყო საქართველოში, მაგრამ „დინამო..."

ჰოდა, მოხვდა კალაძე „დინამოში". ეს ის პერიოდია, როცა თაობათა ცვლაა კარზე მომდგარი. არველაძეებმა, ქინქლაძემ, ნემსაძემ და სხვა მათი თაობის წარმომადგენლებმა ან უკვე მიაშურეს უცხოეთს, ანაც აპირებდნენ. დადგა კალაძის და მისი თაობის ჯერი. მიუხედავად მეტად ახალგაზრდული (უფრო ბავშვური) ასაკისა, ისინი ნელ-ნელა ეჩვევიან „დინამოს" ძირითადს, აღარც ჩემპიონის თეთრ-ლურჯი ფორმა ეუცხოვებათ ბიჭებს და კალაძეც თავის სტიქიაშია.

კალაძე და მისი თაობა ფეხბურთელად საქართველოში რომ ჩამოყალიბებულიყო, ვერც ერთი მათგანი მაღალ დონეზე ვერ ითამაშებდა. პოლიტიკა და სიდუხჭირე უკვე საფუძვლიანად ითრევდა ქართულ სპორტს ჭაობში და რა ოსტატობაზე და მის ამაღლებაზე იყო ლაპარაკი. საქართველოს ჩემპიონატს ჩაშლის საფრთხე ემუქრებოდა. „დინამო" კი ასტრონომიული ანგარიშით უგებდა სხვა გუნდებს. ვერავინ იტყვის, კალაძეს და მის თაობას ამდენმა მოგებებმა თავბრუ დაახვიაო, მაგრამ მეტად და მეტად მდარე დონის ქართულ გუნდებთან თამაშს აბა, რა ხეირი უნდა დაეყარა ბიჭებისთვის. უკვე მაშინ დაიწყეს სახღვარგარეთ თამაშის გაგრძელებაზე მასიურად ფიქრი ქართველებმა და ცოტა ხანში პირველი სოლიდური „ქართული ტალღაც" მიაწყდა საფეხბურთო ევროპას.

კახა ფეხის ხმას არ აჰყოლია. იგი აგრძელებდა „დინამოში" თამაშს და ნელა, მაგრამ მაინც იმაღლებდა სათამაშო დონეს. გუცაევისეული ახალგაზრდული ნაკრები უკვე სერიოზული აღიარება იყო მისი, როგორც ფეხბურთელის პროგრესისა. და აქ, ამ აღიარების მერე, საქმეში ერევა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი — მისი უდიდებულესობა საფეხბურთო იღბალი. კარგად დაკვირდით, ამ მომენტიდან კალაძე-ფეხბურთელის კარიერას მთლიანად იღბალი განსაზღვრავს.

მაშ ასე: მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის მატჩი. 1997 წელი. 9 ოქტომბერი. საქართველო — იტალია. დავით ყიფიანმა ოციოდე წლის კახა კალაძე ეროვნული ნაკრების სათადარიგოთა შორის გაამწესა. ეს ის დროა, როცა ქართველებს ჯგუფიდან გასვლის შანსი კარგა ხნის დაკარგული აქვთ. ეს ის დროა, როდესაც პროექტშია ახალი მწვრთნელის მიერ ახალი ნაკრების შეკვრა. ეს ის დროა, როცა გუცაევის ნაკრებიდან უნდა მოვიდეს სოლიდური შევსება.

მატჩის წინ დღეს ქართველმა ახალგაზრდებმა 2:0 მოუგეს იტალიელებს და საყოველთაო განწყობილება მეტი რომ არ შეიძლება, ისეა ზეაწეული. ყველაფერს იტალიელთა ქედმაღლობაც დაემატა. მათი მოგება და ამაზე წინასწარ ლაპარაკი აბა, ვის გაუკვირდებოდა იმ დროს, მაგრამ ლაპარაკსაც გაჩნია. იტალიელთა ბაქობამ (წინა საკვალიფიკაციო სეზონში ბულგარელებისა არ იყოს) მთელი საფეხბურთო საქართველო გააღიზიანა.

დაიწყო მატჩი და კალაძისთვის იღბლიანი ნიუანსებიც წუთებივით წაეწყო ერთმანეთს. აქ ცოტა უხერხული კია, იღბალზე ლაპარაკი, რადგან დაიმტვრა ცხადაძე და კალაძეც ამის შემდეგაა შეუშვეს მინდორზე. ცხოვრება ასეთია, ერთი ადის, მეორე ჩადის და სწორედ ცხადაძის უიღბლობა (ტრავმა) გახდა კალაძის იღბლიანობის დასაწყისი. ის თამაში საერთოდ იღბლიანად წარიმართა — იტალიელებმა ვერ შეასრულეს დანაქადები, ვერ მოუგეს ჩვენს ნაკრებს და ეროვნული სტადიონის ტრიბუნებიც აფეთქებულს დამსგავსა — ხუმრობა საქმე იყო? ქართველმა მცველებმა ბაჯოს, ძოლას, მალდინის და სხვათა ოსტატობას ქედი არ მოუხარეს.

იღბალი იყო ერთიც — ის თამაში ერთმა ბრძენმა საფეხბურთო კაცმაც იხილა. ის კაცი ვალერი ლობანოვსკი იყო და...

კალაძის კიევის „დინამოში" გადაყვანა დროის და ტექნიკის საქმე იყო. შედგა ეს წყარი ტრანსფერი და ოცი წლის კალაძე უკრაინულ გრანდში აღმოჩნდა. მოგვიანებით, „რეალი" — „დინამოს" მეოთხედფინალური მატჩის წინ კალაძე ღიმილით ეტყვის „სარბიელს" — მე საქართველოში ერთ-ერთ ფიზიკურად ძლიერ ფეხბურთელად ვითვლებოდი და როდესაც მეუბნებოდნენ ლობანოვსკის ვარჯიშებზე, არაფრის მეშინოდა. ვფიქრობდი, ისეთი რა ვარჯიშებია, რომ ვერ გავუძლო-მეთქი. ჩავედი კიევში და... პირველ ხანებში შუა ვარჯიშზე ვეცემოდი. ყოფილა შემთხვევები, როცა ხელით ავყავდით ოთახში. მერე და მერე დატვირთვებს შევეჩვიე და ახლა შემიძლია, ზედიზედ ოთხი ტაიმის ვირეიხო.

მაშ ასე, ლობანოვსკი ალღომ მორიგ აღმოჩენამდე მიიყვანა. ოცი წლის, თითქოსდა გასაშალაშინებელ, მოუხეშავ ქართველ ჭაბუკში — ალერი ვასილიევიჩმა „მომავლის" ფეხბურთელი დაინახა და არც უმტყუნია. ეუმაგა.

ზემოთ ვთქვი, რომ კალაძე „ბინდიანის" „ბინდიან" კიევისაში გადასვლა დროის და ტექნიკის საქმე იყო. მას შემდეგ, რაც კახა კიევში დაიტოვეს, მისი ფეხბურთელად ჩამოყალიბებაც ზუსტად ასევე დროზე და ტექნიკაზე იყო დამოკიდებული.

ცოტა გვიან კი აღიარებაც მოვიდა. კალაძემ ნელ-ნელა დაიმკვიდრა ადგილი კიევის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში და მალე უკრაინელმა ფანებმა „პალოჩკა ვირუჩალოჩკაც" უწოდეს.

ყველასთვის ცნობილია, რომ ლობანოვსკი ფეხბურთელთა უნივერსალიზაციაზე ქადაგებდა ჯერ კიდევ საბჭოური ფეხბურთის ეპოქაში. მას შემდეგ თხუთმეტამდე წელი გავიდა და მსოფლიოც დაახლოებით ამგვარ ფეხბურთს თამაშობს — შეტევაც და დაცვაც ყველას უნდა შეეძლოს. საქართველოში კახა კალაძე ნომინალური მცველი იყო. უფრო ცენტრალურ მცველად ათამაშებდნენ. ლობანოვსკიმ კი მასში ახალი თვისებები აღმოაჩინა — კალაძემ კიევში ერთბაშად რამდენიმე ადგილზე ითამაშა. ცენტრალური მცველის გარდა მარცხენა ფლანგზეც დააყენეს, მერე საყრდენის პოზიციაზეც ათამაშეს, გოლების გატანაც ისწავლა და...

ასე იქცა კახა კალაძე უნივერსალური ყიდის ფეხბურთელად.

ცალკე უნდა ითქვას მის იშვიათ, მაგრამ უმნიშვნელოვანეს გოლებზე. კალაძეს გატანილი აქვს გოლები „არსენალის", „მილანის", „ლანჩის" კარებში, ერთი ხანა, კიეველთა საჯარამოებსაც ის ურტყამს და გადამწყვეტ მოქნტებში შეტევაში ჩართვაც კაცური ისწავლა.

„მარიბორთან" გასვლაზე აუცილებლად მოსაგებ მატჩში ერთხელაც გაიელვა კახამ. ის-ის იყო სლოვენიელებს „დინამოსთვის" ორმეუული მორიგი ქულა უნდა ეზეიმათ, კიეველთა შეტევაში ჩაერთო კალაძე ლა ხლოვენ მცველსაც სარმის მეტი აღარაფერი აღმოჩნდა არსენალში. პენალტი და რებროვის გოლი მხოლოდ კარგი დასასრული იყო კალაძის დაწყებული შეტევისა.

ძნელი სათქმელია, გაიმეორებს თუ არა კიევის „დინამო" შარშანდელ წარმატებას. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი კიევის „დინამოზე" ძლიერი გუნდებისთვისაც კი ძნელად ხელმისაწვდომია, მაგრამ კალაძეს ამით არაფერი აკლდება. მას უკვე იცნობენ საფეხბურთო ევროპაში, მისი პერსონა და დონე ევროპელმა გრანდებმაც აღიარეს. საფეხბურთო პრესაში ერთი სეზონის წინ გაჩნდა სერიოზული ცნობები კალაძის „ლივერპულში" (ან სხვა ინგლისურ კლუბში) შესაძლო გადასვლის შესახებ.

კიევის „დინამოს" სატრანსფერო პოლიტიკა არ არის ნაჩქარევი. უკრაინელები ორი-სამი წლით წინ იხედებიან და ერთბაშად ყველა ფეხბურთელის გაყიდვაზეც, ნურას უკაცრავად, არ არიან ყბულს. ეს თავად კალაძისთვისაც კარგადაა გასაგები. უცხოეთში შესაძლო წასვლაზე საუბარი რომ ჩამოვუგდეთ, ასე გვიპასუხა — ვიცი, რომ დაინტერესდნენ ჩემით. ამაზე კიეველთა გუნდის ხელმძღვანელებიც მესაუბრნენ. მითხრეს, რომ ჯერ ახალგაზრდა ვარ და უცხოეთში თამაშის დროც მოვა, არც მე მეჩქარება. ლობანოვსკისთან ჯერაც შეიძლება რაღაც-რაღაცები ვისწავლო. მერე კი წავალ.

კარგია, როცა გუნდიც და ფეხბურთელიც გამიზნული სატრანსფერო პოლიტიკის მომხრენი არიან. ორი სეზონი იცადა კიევის „დინამომ", ორი სეზონი იცადა „მილანმა", ანდრეი შევჩენკოს კლასი ამაღლდა თუ არა, არ დაცემულა ამ ორი სეზონის განმავლობაში და 25-მილიონიანი გარიგებაც შედგა. კმაყოფილია ფეხბურთელი, კმაყოფილია კლუბები. შევჩენკოს გოლები ახლა „მილანისთვის" გააქვს. მისი მაგალითი მისაბაძი და საუკეთესოა ყოფილი თანაგუნდელებისთვის.

სხვათა შორის, ანდრეი შევჩენკო და კახა კალაძე კარგი მეგობრები არიან. იმასაც ამბობენ, კალაძეც თავისი მეგობრის მსგავსად იტალიას მიაშურებსო. ვნახოთ, რა და როგორ იქნება, კახა კიევში დაბერებას ნამდვილად არ აპირებს და რომელ წამყვან საფეხბურთო ქვეყანაში ითამაშებს, ეს მისი გადასაწყვეტია.

წერილის ბოლოს კი მის ხასიათზეც — კალაძე გარკვეული და სტაბილური წარმატებების მუხედავად, ძველებურად ჩუმია და გარკვეულწილად მოკრძალებულიც. იგი ისეთ ფეხბურთელთა კატეგორიას მეკუთვნება, ვინც მაყურებელს არ აღიზიანებს არც ფეხბურთში და არც მის გარეთ. ასაკის მომატებასთან ერთად კახა ფიზიკურადაც შეიცვალა, მაგრამ ხასიათი ძველებური შერჩა (ტკბილულიც ძველებურად უყვარს, სხვათა შორის).

რაც შეეხება საქართველოს და სანაკრებო კარიერას. ყველაფერი ისე ვითარდება, როგორ საშუალებასაც ქართული ფეხბურთი იძლევა. მე კი ისევ ნორვეგია, ამჯერად „ფორნებუს" აეროპორტი მიდგას თვალწინ. მორიგი წაგებით გულღაძიმებული კალაძე და მისი სატკივები — მარილია წავაგეთ, მაგრამ ძლივს სანაკრები სიტუაცია ნორმალურს დაემგვანა. ხელი შევუწყოთ ამ კაცს.

ასეა, იგი არასდროს აკრიტიკებს მწვრთნელებს.

დანარჩენი დრომ უნდა გვიჩვენოს, კლუბშიც და ნაკრებშიც.

კონსტანტინე გოგიშვილი

„მარიბორი" — „დინამო" 1:2. ფამიც და კალაძის (მარჯვნივ) წაქცევისთვის პენალტი დაინიშნება

უეფას თასი. მეორე ეტაპი
პირველი წრე. 28 ოქტომბერი

UEFA CUP

ლანსი (საფრანგეთი) 4:1 ვიტესი (ჰოლანდია)

1:0 ბრუნელი (3), 2:0 ნუმა (17), 2:1 ვან ჰოიდონკი (72 პ), 3:1 კოლენი (74 ს. კ.), 4:1 ბლანშარი (87)

ლანსი: ვარმუზი, ლაშორი, ისმაილი, ფანფანი, სიკორა (ბარული 67), რული, დაკურტი (ედუარდ კორიდონი 76), ბლანშარი, ბრუნელი (დეზირე ჟობი 90), ნუმა, ნიარკო

ვიტესი: ჟერვიჩი, ვან ჰინტუმი, სტეფანოვიჩი, კრეეკი (დე მარკი 53), ფოემსენი (კოლენი 67), გროზდიჩი, იანსენი, ლაროსი, ზონგო, ვარ ჰოიდონკი, სიკორა (რიგა 12)

ტოტენჰემი (ინგლისი) 1:0 კაიზერსლაუტერნი (გერმანია)

1:0 ივერსენი (343)

ტოტენჰემი: უოლკერი, კარი, ს. კემპბელი, პერი, ტარიკო, ფოქსი (კლემენსი 90), ფროინდი, ლეონარდსენი, შერვუდი, ჟინოლა, ივერსენი

კაიზერსლაუტერნი: რაინკე, შონბერგი, როოსი (კომლიენოვიჩი 75), რამზი, კოხი, ვაგნერი (რაიხი 46), სფორცა, შტრასერი, ხრისტოვი, მარშალი, რატინიო (ბუკი 46)

მსაჯი: ო. ერდემირი (თურქეთი)

REUTERS ლანსიდან

ლანსი — ვიტესი 4:1. ვიტესელები მამადოლი ზონგო და პიერ ვან ჰოიდონკი მეტოქე ოლივიე დაკურტისთვის ბურთის ართმევას ცდილობენ

„უაით ჰართ ლეინზე“ „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ „კაიზერსლაუტერნი“ სტეფენ ივერსენის მიერ 34-ე წუთზე დარტყმულმა პენალტმა დაამარცხებინა.

თურქმა მსაჯმა ორჰან ერდემირმა უყოყმანოდ მიუთითა თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ, რადგან ჩათვალა, რომ გერმანული გუნდის გოლკიპერი ანდრეას რაინკე დავიდ ჟინოლას ერთობ თეატრალურ ვარდნაში დამნაშავე იყო.

ივერსენმა, ამ ინციდენტამდე ერთი წუთით ადრე მარტივი მდგომარეობიდან რო ვერ გაიტანა, პენალტი უშეცდომოდ დაარტყა.

„ტოტენჰემელთა“ მონადირებული პენალტი იქნებ სადავოც იყოს, მაგრამ ინგლისური გუნდის უპირატესობა, ამ შეხვედრაში, უდავო გახლდათ. მასპინძლებმა მე-4 და 54-ე წუთებზე ჩინებული შესაძლებლობები გაუშვეს ხელიდან. პირველი ეპიზოდი მაურიციო ტარიკოს ჰქონდა, ხოლო მეორე ჟინოლას, რომელმაც ძელს გაარტყა.

გერმანელთაგან საუკეთესო შანსი 21-ე წუთზე ოლაფ მარშალს ჰქონდა. მან ბურთი მეკარე იან უოლკერს გაარტყა, მერე კი, 73-ზე იეფ შტრასერმა თავურით ოღნავ ააცილა.

ლანსში კი მასპინძლებმა ჰოლანდიურ „ვიტესს“ 4:1 მოუგეს. საფრანგეთის 1998 წლის ჩემპიონმა, ამასწინათ, მწვრთნელი დანიელ ლეკლერკი გაუშვა თანამდებობიდან და მის ნაცვლად ფრანსის ბრისონი დანიშნა. როგორც ჩანს ფრანგული გუნდი ამან წაახალისა. მის შემადგენლობაში განსაკუთრებით თავდამსხმელი ფილიპ ბრუნელი გამოირჩეოდა.

სწორედ მან გახსნა შეხვედრის მე-3 წუთზე ანგარიში, ხოლო 14 წუთის შემდეგ ის შეტევა წამოიწყო პასკალ ნუმამ მეორე გოლით რომ დასრულა.

ამის შემდეგ ბრუნელმა და ნუმამ ხელსაყრელი მომენტები გაუშვეს ხელიდან, რაც მათი გუნდის კარში გოლით დასრულდა: 72-ე წუთზე „ლანსის“ მეკარემ ჟილიომ ვარმუზმა ნენად გროზდიჩი წააქცია საკუთარ საჯარიმოში, პენალტი კი პიერ ვან ჰოიდონკმა გაიტანა.

ცოტა ხანში მასპინძლები გონს მოეგენ — სირილ რულის ჩაწოდებული მცველს, პეტერ კოლეს ფეხბში მოხვდა და საკუთარ კარში შეუვარდა, ხოლო მეოთხე ჟოსელინ ბლანშარმა საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე შეაგდო

REUTERS ლონდონიდან

ტოტენჰემი — ლაუტერნი 1:0. ტოტენჰემელი ტიმ შერვუდი და ლაუტერნელთა კაპიტანი ჩირიაკო სფორცა (მარცხნივ) ბურთისთვის იბრძვიან

იუნაიტედი საბოლოო უარს ამბობს

„მანჩესტერ იუნაიტედი“, ბოლო დროს ატეხილი დიდი მითქმა-მოთქმის მიუხედავად, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასზე არ ითამაშებს. ამის ოფიციალური, საბოლოო დასტური „ლანკასტერ გეიტზე“ გუშინ, ან დღეს უნდა მიეღოთ.

გაზეთ „მანჩესტერ ივნინგ ნიუსმა“ გამოაქვეყნა კლუბის მდივნის, კენ მერეტის ინტერვიუ, სადაც იგი ამბობს: „საკითხი ამოწურულია. ამ სეზონში ჩვენ ასოციაციის თასის გათამაშებას არ შევუერთდებით“.

ასოციაციამ „იუნაიტედს“ პასუხის საბოლოო თარიღად დღევანდელი საღამოს ექვსის ნახევარი დაუსვა, მაგრამ გუშინწინ წინასწარი წერილი მიიღო, სადაც კლუბის ხელმძღვანელები გარკვევით ამბობენ, რომ მათი პოზიცია არ შეიცვლება. არადა, მოგეხსენებათ, თავმჯდომარე მარტინ ედუარდსი და „ოლდ ტრეფორდის“ სხვა ჩინოვნიკები ოქტომბრის მიწურულს საგანგებო ხეწოლის ქვეშ მოექცნენ. მათ სთხოვენ, ფიფას კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატის გამო გუნდს უძველესი ეროვნული შეჯიბრება არ გამოატოვებინონ, მაგრამ ხელმძღვანელობა აზრს არ იცვლის: ორივე შეჯიბრებაში მონაწილეობა კალენდარში დიდ ქაოსს გამოიწვევს, ვინაიდან „იუნაიტედს“ კიდევ ორ ფრონტზე, ევროპის ჩემპიონთა ლიგასა და პრემიერლიგაში უწევს გამოსვლა.

გთავაზობთ ფეხბურთის ასოციაციის განცხადებას „მანჩესტერ იუნაიტედის“ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით:

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაადასტურა, რომ ამ სეზონში არ შეუერთდება თასის გათამაშებას. ბოლო ოთხი თვის განმავლობაში ასოციაცია და კლუბი ცდილობდნენ დაეძლიათ წინააღმდეგობა, რომელიც „იუნაიტედის“ ბოლოდროინდელმა წარმატებებმა შვა. ერთობლივად ვცდილობდით გამოსავლის მოძებნას. რადგან ხალხის სურვილს ყოველთვის დიდ ყურადღებას ... და ვცდილობთ გავითვალისწინოთ.

ფეხბურთის ასოციაციამ ... რომ „იუნაიტედს“ შუალედურ ... თასის გათამაშებაში, ასევე კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობას, მაგრამ სამწუხაროდ ამის განხორციელება შეუძლებელი გამოდგა.

ყველას კარგად გვესმის, რომ გადაწყვეტილების მიღება „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ უნელესი საქმე იყო, ასევე იყო ჩვენთვისაც.

ჩვენ ვიცით, რომ „იუნაიტედი“ საკუთარ ფანებსა და ჩვენთან ერთად წუხს, რომ გამოსავლის მოძებნა არ მოხერხდა.

გასაგებია და შესაქებია, რომ კლუბმა ასოციაციის თასზე ნაკლებად ძლიერი შემადგენლობით თამაში არ ისურვა. არადა ეს, მისი გადატვირთული კალენდრიდან გამომდინარე, გარდაუვალი იქნებოდა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ გვაცნობა, რომ იგი ერთგულნი რჩება ფეხბურთის ასოციაციის თასის გათამაშებისა და მომდევნო სეზონში ამ შეჯიბრებას აუცილებლად შეუერთდება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ სეზონის საგანგებო ვითარება აღარ გამეორდება“.

ეს უკვე მეტისმეტია

ძლიერ გადატვირთულმა კალენდარმა შესაძლოა ახალგაზრდა ფეხბურთელთა კარიერას და მათ მომავალს სერიოზული ზიანი მიაყენოს, შიშობენ ფეხბურთის ლეგენდები პელე და ბობი ჩარლტონი. მათ ფიფას ერთ-ერთ შეხვედრაზე ფეხბურთის მმართველებს მოუწოდეს, ძალიან სერიოზულად მოეკიდონ ამ საკითხს და უახლოეს პერიოდში შესაბამისი გადაწყვეტილებებიც მიიღონ.

„დღევანდელ ფეხბურთში ერთობ სერიოზულმა პრობლემამ იჩინა თავი — ძალიან გადატვირთულია კალენდარი. ამის თაობაზე ფიფამ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიიღოს ახალი გადაწყვეტილება“ — ამბობს პელე.

პელე

სერ ბობი ჩარლტონი

თვის დასაწყისში საუბარიც კი იყო იმის შესახებ, რომ ევროპულ და სამხრეთამერიკულ გუნდებს როგორმე 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების კალენდარი ერთმანეთისთვის შეეწყოთ. თავად ფიფას გენერალური მდივანი მიშელ ზენრუფენი აცხადებს, რომ ამ შეთანხმების მიღწევა ერთ-ერთი უდიდესი ნაბიჯი იქნება მსოფლიოს საფეხბურთო კალენდრის მოწესრიგების საქმეში.

თამაშების განრიგის თანამედროვე სტურქტურით არც ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა, სერ ბობი ჩალტონია აღფრთოვანებული. მისი განცხადებით, ასეთი დიდი რაოდენობით თამაშები თითქმის წარმოუდგენელია, ამას ფეხბურთელები ძნელად ეგუებიან. ეს განსაკუთრებით ახალგაზრდა, მოზარდ სპორტსმენებზე ითქმის. ასე რომ, ყოველმხრივ კარგი იქნება, თუ ფიფა ამის შესახებ გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მიიღებს და პრაქტიკულადაც განახორციელებს.

საუბარი კლუბებში სარეკორდოდ გაზრდილ უცხოელ მოთამაშეთა რიცხვსაც შეეხო. ფიფამ ახალი წინადადება წარმოადგინა გუნდებში მხოლოდ ლიმიტირებული, მაქსიმუმ ხუთი ლეგიონერი ფეხბურთელის ასპარეზობის შესახებ. უახლოეს მომავალში ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ამის თაობაზე ბრიუსელს ესტუმრება და ევროკავშირის შესაბამის კომისიასთან მოლაპარაკებებს გამართავს. ლაპარაკია ცნობილ ბოსმანის წესში ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

ბლატერის განცხადებით, იგი ევროკავშირის შესაბამის ბიუროს შესთავაზებს, ევროპული კლუბების მასშტაბით მოაწყონ გამოკითხვა, მატჩში მინიმუმ ექვსი ადგილობრივი ფეხბურთელის თამაშის შესახებ.

„ჩვენ შევეცდებით, ახალგაზრდა ფეხბურთელებს მაქსიმალურად მივცეთ საკუთარი ქვეყნის კლუბებში ასპარეზობის საშუალება. დღეს ხშირია შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდა, ნიჭიერი მოზარდები თავიანთი მშობლიური ქალაქის გუნდში ვერ ხვდებიან, რადგან იქ ადგილი უცხოელ ლეგიონერებს აქვთ დაჯავშნული. ამას, რა თქმა უნდა, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს და ჩვენ ამას ყოველმხრივ შევეცდებით. თუმცა არ არის გამორიცხული, მრავალ წინააღმდეგობას გადავეყაროთ“ — აცხადებს ბლატერი.

ნიკა შუბლაძე

დიდი ფული პრემიერლიგაში

CARLING F.A. PREMIERSHIP

ბავშვმაც კი იცის, რომ ინგლისური პრემიერლიგის მატჩების ტრანსლაციას უზარმაზარი მოგება მოაქვს. ამიტომაც სატელევიზიო კომპანიები ამ უფლების მოსაპოვებლად ფულს არ იშურებენ. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ფასიანმა სატელევიზიო კომპანია BSKyB-მ უდიდეს ინგლისურ კლუბებს დაახლოებით ერთი მილიარდი ფუნტი შეაძლია, სანაცვლოდ კი მათ თამაშებზე სატელევიზიო უფლებებს ითხოვს. მოლაპარაკებები პრემიერლიგის მესვეურებთან უკვე დაწყებულია. ერთ-ერთი კლუბის პრეზიდენტმა გავრცელებული ცნობა დაადასტურა. ტელეკომპანია კლუბებს სამწლიან კონტრაქტს სთავაზობს.

BSKyB-ს წარმომადგენელმა განაცხადა, მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ,თუმცა კონტრაქტი მომავალი სეზონიდან არ ამოქმედდებაო. მას არაფერი დაუზუსტებია.

ჟურნალისტებმა მაინც მოახერხეს ზოგიერთი ინფორმაციის მოპოვება და მკითხველს აუწყეს, ტელეკომპანია იმედოვნებს, რომ ახალ კონტრაქტს 2001 წლიდან ექნება ძალაო. BSKyB-ის სურვილი მით უფრო გასაგებია, რომ მის უკან ცნობილი ავსტრალიელი მაგნატი რუპერტ მერდოკი დგას. ეს კაცი მსოფლიოს მასშტაბით ასობით ტელეკომპანიას და ჟურნალ-გაზეთს ფლობს და სპორტშიც უზარმაზარ თანხებს აბანდეს.

მერდოკის კომპანიას „ნიუს კორპორეიშნს“ BSKyB-ის აქციების 40 პროცენტი ეკუთვნის.

მერდოკი ამჟამადაც აკონტროლებს პრემიერლიგის მატჩების ტრანსლაციებს. რამდენიმე წლის წინ მან ეს უფლება 670 მილიონ ფუნტად იყიდა. კონტრაქტი კი ხუთწლიანია. როგორც ჩანს, საქმე იმდენად მომგებიანია, რომ მერდოკი ახალ კონტრაქტში უფრო დიდ თანხასაც არ იშურებს. ახლახან ავსტრალიელს „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეძენაც სურდა. მაშინ ინგლისელები აღშფოდნენ — ჩვენს ეროვნულ სიამაყეს ვილაც გადამთიელს ხელში ვერ ჩავუგდებთო.

გიორგი დარჯანია

დაითხოვს გერეტსი რუსებს?

იური ნიკიფოროვი

ერიკ გერეტსი

დმიტრი ხოხლოვი

ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენის“ ბელგიელმა მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა იმ „დამნაშავე“ ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა, რომელთაც ჩემპიონთა ლიგის მატჩებისას გუნდის უხეირო გამოსვლაში მიუძღვით ბრალი, მათ შორის მოხვდა პსვ-ს ორი რუსი ლეგიონერიც — ნახევარმცველი დმიტრი ხოხლოვი და მცველი იური ნიკიფოროვი.

ნიკიფოროვი დღესდღეობით ტრავმირებულია, ხოლო ხოხლოვმა, რომელმაც რუსეთის ნაკრებში ბოლოს კარგადაც ითამაშა, როგორც ჩანს, გერეტსის მოწონება ვერ დაიმსახურა. ბელგიელის აზრით, იგი ცუდ ფორმაშია და ამიტომაც ვერ ხვდება გუნდის ძირთადში, მეტიც, მწვრთნელს ხოხლოვის ტრანსფერზე დაყენება განუზრახავს. მიუნხენის „ბაიერნთან“ 2:1 მოგებულ მატჩში, პსვ-ს განაცხადში ხოხლოვის გვარი არც ფიგურირებდა.

თავად დმიტრი ხოხლოვი კი ყოველივე ამაში კატასტროფულს ვერაფერს ხედავს. „ასეთი რამ შეიძლება თითოეულ ფეხბურთელს შეემთხვას“ — აცხადებს ფეხბურთელი.

დაზაგრული არდილესი

ხორვატული „კროაციას“ არგენტინელი თავკაცი ოსვალდო არდილესი, ჩემპიონთა ლიგაში გუნდის წარუმატებელი ასპარეზობის გამო პარასკევს თანამდებობიდან გადააყენეს. კლუბის ოფიციალური განცხადებით, ვაკანტურ თანამდებობას მისი მოადგილე მარიან ვლაკი დაიკავებს, რომელიც წარსულში ზაგრების „დინამოს„ მეკარე გახლდათ. აღსანიშნავია, რომ არდილესის მისვლამდე კლუბს სნორედ ვლაკი ავარჯიშებდა, ხოლო ივლისში იგი ' არგენტინელით შეცვალეს.ხორვატულმა კლუბმა არდილესთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმცა არ დასცალდა, იგი კლუბის რიგით მეოთხე მწვრთნელი გახლდათ ბოლო ოთხი წლის მანძილზე. შეგახსენებთ, რომ „კროაციამდე“ არდილესი ინგლისსა და იაპონიაში მუშაობდა მწვრთნელად.

კლუბის პრეზიდენტ ზლატკო კანიუგას ჩემპიონთა ლიგის თამაშებში დიდი ამბიციები ჰქონდა და მომდევნო ეტაპზე გასვლასაც ლამობდა, თუმცა უკანასკნელ მატჩში შარშანდელ ტრიუმფატორ „მანჩესტერთან“ განცდილმა მარცხმა ეს იმედები ჩაუფუშა. ბოლო შეხვედრაში მათ აუცილებლად უნდა გაიმარჯვონ, თუ სურთ, რომ როგორც მესამეადგილოსნებმა უეფას თასზე მაინც გააგრძელონ ასპარეზობა. თუმც ყველაფერი მარტო მათზე აღარ არის დამოკიდებული.

გაზეთების ცნობით, არდილესის წლიური გასამრჯელოთი 750 ათასი გერმანული მარკა ყოფილა და საკმაოდ გამოცდილიც გახლდათ. არგენტინის ეროვნული ნაკრების რიგებში 1978 წლის ჩემპიონმა თამაში რომ მიატოვა, ინგლისურ „ტოტენჰემს“ ჩაუდგა სათავეში და ლონდონში საკმაო პოპულარობითაც სარგებლობდა. ამის შემდეგ უკვე რაღაც პერიოდის მანძილზე „სუინდონ თაუნის“, „ნიუკასლ იუნაიტედისა“ და „ვესტ ბრომვიჩის“ მწვრთნელადაც მუშაობდა. ერთხანს იაპონიის ჯეი ლიგაშიც უცდია ბედი, სადაც შუმუზის „ეს-პულსს“ წვრთნიდა.

მერკოსურის თასი. მეოთხედფინალი. II მატჩი

კორინთიანსი (ბრაზილია) 1:2 სან ლორენსო (არგენტინა)

1:0 ედილსონი (14), 1:1 ფრანკო (16), 1:2 რომეო (51)

პენიაროლი (ურუგვაი) 3:0 ოლიმპია (პარაგვაი)

1:0 კედრესი (15), 2:0, 3:0 პანდიანი (60, 75)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაცაა დასრულდება მერკოსურის თასის გათამაშება. პირველ მეოთხედფინალურ მატჩში „სან ლორენცომ“ შინ 2:1 დაამარცხა „კორინთიანსი“. განმეორებით შეხვედრაში, სან პაულუში, მე-14 წუთზე ედილსონმა თავისი გუნდი დააწინაურა. ამგვარი ანგარიში ბრაზილიელებს ხელს აძლევდათ, მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ შეძლეს. ეს პაექრობა იმითაც იყო საინტერესო, რომ ერთმანეთს არგენტინისა და ბრაზილიის ჩემპიონატების ლიდერები დაუპირისპირდნენ. „სან ლორენცო“ „რივერ პლეიტთან“ ერთად იყოფს ლიდერობას. მასპინძელთა რიგებში ნაკრების ყოფილი წევრი ოსკარ როჯერი თამაშობდა. მისმა მონდომებამ გუნდი ვერ იხსნა. ორი შეხვედრის ჯამში „სან ლორენცომ“ 4:2 მოიგო.

„ოლიმპიაკოსთან“ სტუმრად 0:1 დამარცხებული „პენიაროლი“ მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გავიდა. მე-15 წუთზე კედრესმა თავური შეაგდო და ორი მატჩის ჯამში ანგარიში გაათანაბრა. მეორე ტაიმში სტუმრებს ორი ფეხბურთელი გაუძევეს და მასპინძლებს მოგება არ გასჭირვებიათ.

კიდევ ორი ნახევარფინალისტის ვინაობა კვირის ბოლოს გაირკვევა. თავდაპირველად გათამაშებაში 20 კლუბი ჩაება. მათ სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია ეროვნული ჩემპიონატების შედეგების მიხედვით არჩევს. თავად ტურნირი კი ნაკლებად პრესტიჟულია. იგი ტელემაყურებლისთვის არის განკუთვნილი.



REUTERS სან პაულოდან

კორინთიანსი — სან ლორენსო 1:2. არგენტინელი ფეხბურთელები ბრაზილიელებზე გამარჯვებას ზეიმობენ

შავ-წითელი ამბები

ადრიანო გალიანი

ჩემპიონთა ლიგაში ყველაზე დაძაბული მდგომარეობა H ჯგუფშია, სადაც „ჩელსი“, „მილანი“ და „ჰერტა“ ინარჩუნებენ შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსს. 90-იანი წლების ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს, „მილანს“, სტამბოლში, ჯგუფის მეოთხე გუნდ „გალათასარაისთან“ აქვს სათამაშო, უნდა მოიგოს, მაგრამ იმავდროულად „ჩელსი“ — „ჰერტას“ შეხვედრის შედეგზეც არის დამოკიდებული. მოკლედ, „შავ-წითლების“ საქმე რთულადაა.

რას წერენ გაზეთები?

„მილანმა“ სამშაბათს „სან სიროზე“ „ჩელსის“ უმასპინძლა. მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა, რაც ჯგუფში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მასპინძელთათვის კარგ შედეგად არ ითვლება. იტალიური გაზეთები, ბუნებრივია, კვლავ და კვლავ უტრიალებენ ამ თემას.

„გაძეტა დელო სპორტმა“ მილანელთა ვიცე-პრეზიდენტის, ადრიანო გალიანის სიმშვიდეს მიაქცია ყურადღება: თუ ლიგის შემდგომ ეტაპზე ვერ გავედით, უეფას თასზე ხომ ნამდვილად გავაგრძელებთ ასპარეზობას. ჩვენ დადებითი განწყობის შენარჩუნება გვმართებს, ბოლოს და ბოლოს იტალიის ჩემპიონები და 90-იანი წლების მრავალი ტიტულის მფლობელები გახლავართ. ფეხბურთელები ცოტა დაორგუნულნი კი ჩანდნენ, მაგრამ ჩემთან საუბრისა და ჩემი პოზიციის შეტყობის შემდეგ ხასიათი გამოუკეთდათ. მეტსაც გეტყვით, უეფას თასიდანაც რომ გამოვვარდეთ, უბედურება სულაც არ იქნება. მთავარია წინსვლა არ შეგვიჩერდეს. 2000 წელი ათვლის ახალ წერტილად მოჩანს და ამიტომაც ზუსტად ვიცით რა გვჭირდება. ჩვენ უნდა ვიშოვნოთ მილიარდები, რათა ევროპის უძლიერეს კლუბებს გავუტოლდეთ“.

„კორიერე დელო სპორტის“ აზრით, „მილანს“ ჩემპიონთა ლიგაში წაფორხილება სულ მცირე 50 მილიარდი ლირა დაუჯდება, ხოლო მატჩი სტამბოლში ფინალის ტოლფასია.

მოჰყავთ „გალათასარაის“ მწვრთნელის, ფათიჰ თერიმის სიტყვებიც: „ჩვენ საკუთარი თავისა და „ჰერტასთვის“ ვითამაშებთ. მართალია, არც ძაკერონის გუნდს აქვს რაიმე დასაკარგი, მაგრამ ერთი იცოდეს, სტამბოლში გულითად მასპინძლობას ნუ ელის“.

გალიანი მილანელოში

ზემოთ ადრიანო გალიანის სიტყვები რომ ვახსენეთ, ვიცე-პრეზიდენტმა ის „გაძეტა დელო სპორტამდე“ მოთამაშეებს უთხრა. სინიორ გალიანი საგანგებოდ ეწვია მილანელოს საწვრთნელ ბანაკს, ფეხბურთელები და მწვრთნელები შეკრიბა და ბევრი ელაპარაკა.

„ჩვენ საგანგაშო არაფერი გვჭირს. „ლაციომ“ სკუდეტო ერთადერთხელ, 25 წლის წინ მოიპოვა, „ინტერი“ კი აგერ უკვე 10 წელიწადზე მეტია ჩემპიონი არ გამხდარა. იცით, ბოლოს რომ წაეკითხე „მილანს“ სრული გადახალისება სჭირდებაო, იმ სეზონში ყველას ვაჯობეთ. ჩვენ ხუთჯერ სკუდეტოსა და სამჯერ ჩემპიონთა თასის მფლობელები ვართ.

დღევანდელ „მილანს“ ვერც კი შევადარებ იმ გუნდს, ორი წლის მანძილზე ევროთასების საგზურს რომ ვერ იგებდა. იმ წლებში ერთ დიდ გუნდსაც ვერ მოვუგეთ, ახლა კი „ლაციოსთან“ ფრედ ვითამაშეთ, დერბიში კი გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა.

კარგად ჩავატარეთ სატრანსფერო პოლიტიკაც. სერეინიო, ბრაზილიის ნაკრების მოთამაშე, ჩვენთანაა. შევჩენკოს ყიდვა ყველას სურდა, ჩვენ კი კონკურენტებს ვაჯობეთ და თან შედარებით იაფად გამოვედით. ეატუზოც „მილანშია“. იგი თავისი თაობის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ მიმაჩნია.

აბიატის უკვე ვუთხარი, რომ „ჩელსისთან“ გაშვებული გოლი თავს არ უნდა დაბრალოს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი მისი შეცდომის შედეგი არ გახლდათ და მეორეც, მანამდე მას რამდენიმე ჩინებული დარტყმა ჰქონდა მოგერიებული.

კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე მინდა საუბარი. დროება იცვლა. დღეს, ფული თუ არ დახარჯე, სპორტულ შედეგებს ვერ მიაღწევ. ოდესღაც იტალიური კლუბები ევროთასებს იოლად იგებდნენ, დღეს კი კინაღამ მხოლოდ „ლაციოს“ ამარადღა დავრჩით. ფეხბურთში რევოლუცია ეკონომიკური საკითხების გამო მოხდა. ხუთი წლის წინ „ჩელსი“ „მილანს“ ვერ გაეჯიბრებოდა, ახლა კი ხომ ხედავთ, ტოლს არ უდებს. შარშან „ჩელსი“ მილანში დესაის საყიდლად ჩამოვიდა და მას გაცილებით დიდი ხელფასი შესთავაზა, ვიდრე ჩვენ ვუხდიდით. დღეს დესაი, ძოლა, დეშამპი, დი მატეო და სხვები ინგლისში თამაშობენ. ციგეს „ჩიდლსბრო“ იმდენს უხდის, რამდენსაც „მილანი“ ვერ გადაუხდიდა. არადა გახსოვთ, ერთი წლის წინ „მილანს“ საყვედურობდნენ ძალიან დიდ გასამრჯელოებს იხდიო. ამრიგად, ჩვენ თუ კომერციაში მივაღწევთ წარმატებას, სპორტული შედეგიც მოვა.

როგორ ფიქრობთ, რატომ დაემსგავსა „აიაქსი“ ლანდს, იმიტომ რომ იგი ეკონომიკურად ვერ ებრძვის „ბარსელონას“, „ბაიერნსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“.

ფული, რომელსაც „მილანი“ შოულობს მეწილეთა ჯიბეში არ მიდის, ის საგაისო საქმეში იდება, რათა შევჩენკოსა და რივალდოსნაირები შევიძინოთ. ათი წლის წინ ჩემპიონთა თასის მოპოვება მხოლოდ მორალური კმაყოფილება იყო, დღეს კი ეს სახვალიო შშენებლობის თანხების შოვნას ნიშნავს. ვინც ფულს ვერ იშოვნის, დამარცხდება. გახსოვდეთ „აიაქსი“ — ბრძანა ვიცე-პრეზიდენტმა.

მოყვარულთა წინააღმდეგ

„მილანმა“ მილანელოში ხუთშაბათს სამოყვარულო „პეროსთან“ წაივარჯიშა. ეს „პერო“ ეკელანცას რეგიონალურ ლიგაში გამოდის. ეს შეხვედრა ძაკერონის იმ ფეხბურთელების შესამოწმებლად სჭირდებოდა, „ჩელსისთან“ „მატჩი რომ გამოტოვეს და კვირას „ვერონასთან“ უნდა ითამაშონ. „მილანის“ მწვრთნელმა, ამასთან, შემადგენლობაში ჩართო ახალგაზრდული გუნდის (მაურო ტასოტი წვრთნის) ორი მოთამაშე. ვეას თავდასხმაში ალიუი შეუწყვილა, ხოლო ნახევარდაცვაში დავიდსის ალი-კვალი აუბამე იანგი გამოსცადა. ამ 16 წლის ბიჭის მამა პიერი, ბას მხარდამხარ „ლე ავრში“ თამაშობდა და ერთიბანობა სერია C-ს „ტრიესტინაშიც“ იყო. „მილანმა“ მოიგო 7:0.

ჯუნტი თავს უკეთ გრძნობს და სრული დატვირთვით ვარჯიშობს. ჰელვეგმა „პეროსთან“ ორივე ტაიმს გაუძლო, რაც მის სრულ გამოჯანმრთელებაზე მეტყველებს. ყოჩაღადაა ბობანიც, რომელმაც მოყვარულებს ორი გოლი გაუტანა.

ორი გოლი გაიტანა ვეამაც, ხოლო თითო აუბამემ, სალამ და ორლანდინიმ.

პაპუნა კედია

ᲡᲐᲭᲘᲠᲑᲝᲠᲝᲤᲝ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ — ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

— *ჰა, გნახეთ?*

— რას შემომიჩნდი, კაცო?

— *აბა, გააღე პირი და თქვი, „ა�ა“!*

— აააა...

— *კაარ*

— აარა.

— *არა კი არა. აარს...*

— ფუ...

— *აარსენალ... აბა გააღე პირი და თქვი „არსენალ“!*

— არ იცნობ მაგათ შენ.

— *ვის მაგათ!*

— მაგათ, მეთოფეებს.

— *კაი ცნობა კი უნდათ.*

— აი, ნახავ, გაფრინდებიან.

— *როდისღა?*

— მოვა დრო.

— *ეგენი სადაც არ უნდა გაფრინდნენ, ბერხკამპს მაინც ვერ წაიყვანენ და...*

— რატომ.

— *ეგ ხო აღარ დაფრინავს.*

— მე სხვა გაფრენაზე გეუბნები.

— *უეფას თასზე თუღა გაფრენენ, ისიც დიდი გაჭირვებით.*

— მა არამი არ არი წლევანდელი „ფიორენტინა“ ლიგაში რჩებოდეს და ეს ოქროსავით „არსენალი“ გარეთ იყოს?

— *„ფიორენტინა“ კარგი გუნდია.*

— რატომ, რახან სავიკ შუსტერს უყვარს?

— *არა, რახან ბატისტუტა ჰყავთ, იმიტომ.*

— მერე, ბატისტუტა სტალინია, თუ რა?

— *სტალინია, თუ ხრუშჩოვი, კი ჩაუჭედა იმ თქვენს სიმენს.*

— ნახა რა სატრაბახო. სიმენს, ბიჭო, ჩვენი გოგიაც გაუტანს.

— *ჩვენი გოგია ვინ არის?*

— აგე, ბიჭია, სკრიპკაზე დადის.

— *თუ ეგეთი ცუდია ეგ სიმენი, სხვა ვეღარავინ იპოვნეს?*

— ნაპოვნი ჰყავთ, მაგრამ არ აყენებენ.

— *რატომ?*

— ჯერ სიმენს არ უთქვამს მივდივარო.

— *ეგეგ ეგ კარში აპირებს გაჭაღარავებას და გუნდი უნდა დაიჩაგროს?*

— გაჭაღარავდა და ეგ არის.

— *და გაზა?*

— გაზა „არსენალში“ არ თამაშობს.

— *არა, გაზაც ხომ გაჭაღარავდა?*

— გაზა თმას იღებავს.

— *რა ვაქციობაა ეგ თმის შეღებვა?*

— დინო ძოფს კითხე.

— *კარგი და, ამ „არსენალს“ რა ვუშველოთ?*

— ლიუნგბერგი მოვაშოროთ.

— *ეგ რას აშავებს?*

— რას აკეთებს, რო?

— *ვივასი მაინც გეთქვა.*

— ვივასი ვინ არის?

ალფრედო დი სტეფანო

გერდ მიულერი

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ...

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ლიგის გათამაშებაში „ლაციოსთან“ გატანილი გოლის შემდეგ გერმანიის ნაკრებისა და ლევერკუზენის „ბაიერის“ ფორვარდი ულფ კირსტენი ევროთასების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირთა ოცეულში შევიდა.

ფორვარდი ჯამში 33 გოლს ითვლის, თითქმის ნახევარს, ვიდრე მისი თანამემამულე წარსულში ცნობილი ფეხბურთელი გერდ მიულერი. მიუნხენის „ბაიერნისა“ და გერმანული ფეხბურთის ლეგენდამ ევროთასების გათამაშებებში მთლიანობაში 67 ბურთი შეაგდო და სიასაც ერთპიროვნულად ლიდერობს.

საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა კიდევ ერთმა ფეხბურთელმა — ბელგიელმა ლუკ ნილისმა, რომელიც ჰოლანდიური პსვ-ს ღირსებას იცავს. მან ჩემპიონთა ლიგის გასულ ტურში მიუნხენის „ბაიერს“ გაუტანა და ახლა 37 გოლი აქვს ანგარიშზე, საუკეთესო ათეულში მოსახვედრად მხოლოდ ერთი ბურთი სჭირდება.

მარტო ჩემპიონთა ლიგისა და ყოფილი ჩემპიონთა თასის მასშტაბით უკრაინელ სერგეი რებროვს ლიგის გასულ ტურში სლოვენიურ „მარიბორთან“ გატანილი ორი გოლის შემდეგ 23 ბურთი დაუგროვდა და საუკეთესოთა შორის მეცხრე პოზიციაზე დამკვიდრდა.

ᲔᲕᲠᲝᲗᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ

1.	გერდ მიულერი (გერმანია)	67
2.	ეუსებიო (პორტუგალია)	57
3.	ულფ ჰაინკენსი (გერმანია)	52
4.	ალფრედო დი სტეფანო (ესპანეთი)	49
5.	კარლოს სანტილიანა (ესპანეთი)	47
6.	ალან სიმონსენი (დანია)	43
7-8.	ალესანდრო ალტობელი (იტალია)	39
7-8.	ფერენც ბენე (უნგეთი)	39
9-11.	ზორან ფილიპოვიჩი (ბულგარეთი)	38
9-11.	ჟან პიერ პაპენი (საფრანგეთი)	38
9-11.	კარლ ჰაინც რუმენიგე (გერმანია)	38
12-13.	დიტერ მიულერი (გერმანია)	37
12-13.	ლუკ ნილისი (ბელგია)	37
14-16.	იოჰან კრუიფი (ჰოლანდია)	36
14-16.	ფერენც პუშკაში (უნგრეთი)	36
14-16.	რობი რენსენბრინკი (ჰოლანდია)	36
17-18.	ჟოსე ალტაფინი (ბრაზილია)	35
17-18.	ჯანლუკა ვიალი (იტალია)	35
19-20.	ულფ კირსტენი (გერმანია)	33
19-20.	ფლორიან ალბერტი (უნგრეთი)	33
19-20.	ტორბორნ ნილსენი (შვედეთი)	33
19-20.	ხრისტო სტოიჩკოვი (ბულგარეთი)	33
19-20.	პოლ ვან ჰიმსტი (ბელგია)	33
19-20.	ჟორჟ ვეა (ლიბერია)	33

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘ�გᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ

1.	ალფრედო დი სტეფანო	49
2.	ეუსებიო	46
3-4.	გერდ მიულერი	36
3-4.	ფერენც პუშკაში	36
5.	ფრანსისკო ხენტო (ესპანეთი)	31
6.	პაპენი	28
7-8.	ალტობელი	24
7-8.	ჟოსე აუგუსტო (პორტუგალია)	24
9.	სერგეი რებროვი (უკრაინა)	23
10-11.	ამანსიო (ესპანეთი)	21
10-11.	სანტილიანა	21

ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲝ... ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ

ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ბრაზილიის ნაკრებს სერიოზული გამოცდა ელით. სწორედ ნაკრებს, რადგან ეროვნული გუნდი ესპანეთს გაემგზავრება, ხოლო ოლიმპიური — ავსტრალიას.

ბრაზილიელთა უპირველესი გუნდი მადრიდში 13 ნოემბერს ითამაშებს. ოლიმპიელები კენგურუს ქვეყანაში 14 და 17 ნოემბერს შეებრძოლებიან ავსტრალიის ნაკრებს. სამივე მატჩი ამხანაგური. ახლა კი მთავარი საკითხი. ვანდერლეი ლუქსემბურგომ ყველა, მათ შორის ალბათ საკუთარი თავიც გააოცა და რონალდო ოლიმპიურ ნაკრებში გაამწესა. მასთან ერთად ავსტრალიისკენ მიმავალ გზას დენილსონიც გაუდგება. მათთან ერთად ნაკრებში ისეთი ფეხბურთელებიც ითამაშებენ, ვისი სახელებიც თავად ბრაზილიაში ორიოდე კაცმა თუ იცის. ვინმეს გეცნობათ მილტონ დუ ო და მოცარტი? უმორჩილესად გთხოვთ, ეს უკანასკნელი კომპოზიტორში არ აგერიოთ.

ოლიმპიური ნაკრებისთვის ავსტრალიური ტურნე მზადების ბოლო ეტაპი იქნება. იანვარ-თებერვალში ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად ბრაზილიელები საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებმებიან. აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობას რონალდო არ აპირებს, თუმცა გამორიცხული არაფერია. თუ ბრაზილიელებს გაუჭირდათ, იქნებ ისიც მიიწვიონ. წესების თანახმად, გუნდს შეუძლია სამი ასაკგადაცილებული ფეხბურთელი იყოლიოს. თავად ლუქსემბურგო ავსტრალიაში, ოლიმპიელებთან ერთად გაემგზავრება. ესპანეთში ეროვნულ ნაკრებს მისი თანაშემწე კანდინიო წაიყვანს. 13 ნოემბერს, ბრაზილია-ესპანეთის მატჩის პარალელურად, ბრაზილიის ჩემპიონატის მეოთხედფინალები ტარდება. ამიტომ გუნდში მხოლოდ ლეგიონერები არიან მიწვეულნი.



სულ, ორივე გუნდში, 41 ფეხბურთელია გამოძახებული. მათ შორის არ არიან ეროვნული ნაკრების მეკარეები, რომლებსაც ლუქსემბურგო ერთი კვირის შემდეგ დაასახელებს. და კიდევ ერთი, მწვრთნელმა ჩვეულებას არ უღალატა და ედმუნდო ნაკრებში არ მიიწვია.

ეროვნული ნაკრები: (მეკარეებს მოგვიანებით დაასახელებენ)

მცველები: კაფუ, ზე კარლოსი, ალდაირი (ყველა რომა, იტალია), სეზარი (პსჟ, საფრანგეთი), ევანილსონი (ბორუსია, გერმანია), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), სილვინიო (არსენალი, ინგლისი);

ნახევარმცველები: ემერსონი, ზე რობერტო (ლევერკუზენი, გერმანია), ასუნსაო (რომა, იტალია), ზე ელიასი (ბოლონია, იტალია), რივალდო (ბარსელონა, ესპანეთი), ჯოვანი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი);

თავდამსხმელები: ელბერი (ბაიერნი, გერმანია), ანდერსონი (ლიონი, საფრანგეთი), ჟარდელი (პორტუ, პორტუგალია), სავიო (რეალი, ესპანეთი)

ოლიმპიური ნაკრები:

მეკარეები: რენატო (კორინთიანსი), სილვიო (საო კაეტანო), ალექსანდრუ (პონტე პრეტა);

მცველები: [illegible] (ატლ. მინეირო), მიჩელი (სანტოსი), დედე (ბორუსია, გერმანია), ატირსონი, ალბერტო (ფლამენგო), კრუზი (კრუზეირო), ალვარო (გოიასი), ფაბიო (ვენეცია, იტალია), დუო (პარანა);

ნახევარმცველები: პაულუ (კრუზეირო), ფაბიანუ (სან პაულუ), მოცარტი (კურიტიბა), ადრიანო (პარანანსე), ფილიპუ (ვასკუ), ალექსი (პალმეირასი), დენილსონი (ბეტისი, ესპანეთი);

თავდამსხმელები: რონალდო ასისი (გრემიო), რონალდო (ინტერი, იტალია), ჟუნიორი (რომა, იტალია), ვარლეი (უდინეზე, იტალია)

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲬᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲘᲗᲘ

გიო ანვლედიანის

ᲡᲕᲔᲢᲘ

ᲞᲔᲚᲔᲡ ᲓᲐᲛᲢᲕᲠᲔᲕᲐ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ამ გაზეთის გადამშლელებო,

მთელი კვირა გავიდა და პენალტის დანიშვნა-არდანიშვნის საკითხმა, რაიც მოკლედ მიმოვიხილეთ გასული შაბათის სვეტში, კვლავ შეგვახსენა თავი.

მაშინ აღვნიშნეთ, რომ პენალტი მხოლოდდამხოლოდ იმ დროს დაინიშნება, როცა მსაჯს მოესურვება. ამ შუა კვირაში მსგავსი შეხედულება კიდევ უფრო გაამყარა რობერტო კარლოსის მადლიანმა ნახტომმა და კარიდან ხელით გამოტანილმა ბურთმა.

ასეთ დროს მსაჯი იმგვარი სიმკაცრით გადააბრიალებს ხოლმე თვალებს, გაგრძელეთ თქვე ვირიშვილებო, არაფერი მომხდარაო. პირდაპირ ამხ. სტალინის დრო გეგონება კაცს.

რობერტო კარლოსმა კი ბრწყინვალედ ითამაშა იმ შეხვედრაში და ალბათ ჯონ ტომაკმა თბილი სიტყვებიც უთხრა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით, მახსენდება ის ამბავი, რომ ძლიერ შეიცვალა ფეხბურთელთა მორალი. ანუ კაცი ბრწყინვალედ თამაშობს, ვარსკვლავია, მთელი ვინმე, მაგრამ პატარ-პატარა ამორალიებს, უნამუსობის შეფერებას და ერთიმეორეს არ თაკილობს.

აბა, გაიხსენეთ რთული თამაში რომლის დროსაც იმავ დროიდ ბექემს ვინმესთვის უსაშინლესად არ ჩაერტყას?

ბექემი ბრწყინვალედ თამაშობს, მაგრამ მოწინააღმდეგეს არ ინდობს. ძველ დროებში მისნაირი მოთამაშე ამგვარ რამეს არ ჯეთებდა. ძველად მსუბუქი ფეხბურთი იყოო, იტყვით თქვენ. ახლა ყოველ გოჯზე ომი მიმდინარეობსო. ძველად იყვნენ გამორჩეული უხეშნი და ყველამ იცოდა, რომ ამდაამ გუნდს, ესადაეს ყასაბი ჰყ[illegible]. ახლა კი ყველა ერთნაირად უხეშობს, ხისტი ფეხბურთიაო. თვით რუდი კროლს კარიერაში ერთადერთი ყვითელი ბარათი ჰქონდა და იმასაც ნანობდა. დღემდე გვახსოვს როგორ დაამტვრიეს პორტუგალიელებმა პელე. დღევანდელი ფიზიკური მომზადებით არ დაიმტვრეოდა ასე სამინლადო, მითხრა ერთმა უცხოელმა ფეხბურთის მცოდნემ. დღეს ასეთები წარამარა ხდებაო. გასაგებია, მაგრამ მაინც ძალიან უხეში ჩანს დღეს ფეხბურთი. რაც დღეს წითელ-ყვითლები ფრიალებს და მაინც ის პელეს მოცელვა გვახსოვს.

ალბათ, ადრე ფეხბურთში იყვნენ ცუდი ბიჭები და კარგი ბიჭები. დღეს კი ცუდი ბიჭებიც და კარგი ბიჭებიც ერთ ბიჭში ჩატეულან. აბა წარმოიდგინეთ, ორმოცი წლის წინათ რომ ყვითელი დროშა გამოეტანათ, „ფეარ პლეიო“ და მთელი ამბავიო. ჯენტლმენობაში პრიზს ვინ მოგცემდა, ჯენტლმენობა სავალდებულო იყო. შენს მოგებას შენი ოსტატობა და წესიერება ამაგრებდა და არა ოციოდ სხვა საშუალება, ახლა რომ მოუგონიათ.

დი სტეფანო იჯდა სათადარიგოთა სკამზე და ამაზე განაწყენებული თავის ოფლიან მაისურს ან პლასტმასის ბოთლს კი არ ესროდა მწვრთნელს, ეკითხებოდა, რა დამშავებიაო. მეტიუზი სამ ფუნტს იღებდა კვირაში, როი კინი ოცდაათი ათასზე წუწუნებს და იმადლება.

ის დრო წავიდა, ვეღარ დაბრუნებ.

რა დრო მოვიდა?

ბედი

სამხტომი სამხრეთ-აღმოსავლეთით

სოხუმი-თბილისი-სიდნეი

მოდით, ვიყვიროთ!..

სხვები მოდიოდნენ და მიდიოდნენ. ზოგი შეუპოვრად და ჯიუტად ცდილობდა ოლიმპოზე ასვლას, ზოგიც მეტეორივით გაიელვებდა ხოლმე ცის კაბადონზე, ერთს თვალისმოჭრელად გაიბრწყინებდა და მერე ისევე ქრებოდა თვალსაწიერიდან, როგორც ჩნდებოდა.

ის კი იქ იდგა, ზემოთ, ოლიმპოს კენწეროზე, სადაც ერთხელ ასულს ჩამოსვლა აღარ უნდოდა. „იდგა და ელოდა“ თავის მძლეველს, ის კი არა და არ ჩანდა. ბოლოს დაღლილ-დაქანცული თავადვე ჩამოვიდა. ჩამოვიდა დაუმარცხებელი, თუმცა სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა თავისი ბოლო, მეოთხე ამგვარი ბრძოლა ვერცხლის მედლით დაასრულა, მაგრამ მას სარბიელი ექს-ჩემპიონის რანგში არ მიუტოვებია — ოლიმპიური ჩემპიონი ხომ სამარადჟამოდ ოლიმპიური ჩემპიონია. ასეთსავე რჩება სარბიელის მიტოვების მერეც. ოლიმპიურ ჩემპიონს არასოდეს ემატება ეს უსიამო პრეფიქსი — „ექს“!

ეგეც არ იყოს, ჩვენი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, როგორც ვოქვით, არც თავის მეოთხე ამგვარ ბრძოლაში დამარცხებულა — „უბრალოდ“, მსაჯები აღგნენ და მის ახალგაზრდა მეტოქეს აჩუქეს „ოქრო“.

ეს ისტორია მძლეოსნობის სპეციალისტებმა კარგად იციან და ამ საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედულმა სპორტულმა ჟურნალისტებმა თუ გულშემატკივრებმაც, რაკიღა მოსკოვური საქმე, ისე როგორც ბევრი სხვა, თეთრზე შავად იყო ნაწერი.

ამა თუ იმ სპორტსმენზე საუბრისას სპეციალისტები, ჟურნალისტები თუ გულშემატკივრები ხშირად პარალელებს იმარჯვებენ. და თუ ვიქტორ სანეევზე ბჭობისას იგივეს მივმართავთ, სხვისი არ ვიცი და, ჩვენი ოლიმპიური ტრიუმფატორი გარკვეულწილად ყველაზე მეტად სახელგანთქმულ ამერიკელ ბადროს მტყორცნელ ალფრედ ორტერს მაგონებს.

მხოლოდ ეს ორნი — ალფრედ ორტერი და ვიქტორ სანეევი არიან მთელს დედამიწაზე ის ბედნიერი გამონაკლისნი, რომლებმაც ოთხ ოლიმპიურ თამაშებზე გაიმარჯვეს. მერე რა, რომ ვიქტორის დამსახურებული მეოთხე „ოქრო“ დაუმსახურებლად სხვას მისცეს?

მაშინ, მოსკოვში, თავისი მეოთხე ოლიმპიური თამაშები რომ გაასრულა ვიქტორ სანეევმა, მასთან მივიდა თავისი ძველი მეტოქე, სახელგანთქმული ბრაზილიელი ჟოაო ოლივეირა და ჩვენს ჯილას გამარჯვება მიულოცა. მან იგივე გაიმეორა პრესკონფერენციაზეც. თქვა, ააკ უუდმაიეს ოლიმპიურ ოქროს ვულოცავ, მაგრამ სამხტომელებში აბსოლუტურ ჩემპიონად მაინც ვიქტორ სანეევს ვთვლიო.

— როგორ კომენტარს გაუკეთებდით ოლივეირას სიტყვებს? — მიუბრუნდნენ ჟურნალისტები უუდმაიეს.

— ვეთანხმები ოლივეირას. რაც სანეევმა გააკეთა, იმას ვერც ერთი ჩვენგანი ვერ შესძლებს, — იყო პასუხი.

ამტომაცაა, რომ სწორუპოვარ ვიქტორ სანეევს, ნებით თუ უნებლიედ, ზოგი ორტერივით ოთხი ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულად მოიხსენიებს.

მაგრამ, თუ პარალელებს მივყვებით, სპორტის ეს ორი კაშკაშა ვარსკვლავი იმითაც ჰგავდა ერთმანეთს, რომ ყოველი ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე მათ ჩემპიონობის ფავორიტებად ნაკლებად მოიხსენიებდნენ ან სულაც ივიწყებდნენ. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ორტერი ყოველი თავისი ოლიმპიური თამაშების დასრულების მერე „პენსიაზე“ მიდიოდა და ბადროს ივიწყებდა, სანეევი კი მართალია, არსადაც არ მიდიოდა და არც არაფერს ივიწყებდა, მაგრამ დიდ სტარტამდე ხან ტრავმა აწუხებდა, ხან მისი აღარ სჯეროდათ, ზოგჯერ კი ცის კაბადონს ახალი ტალანტი ანათებდა ძალუმად, მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო, ბოლოს მაინც ორივე იმარჯვებდა.

ორტერი საბოლოოდ მაშინ გამოეთხოვა სარბიელს, როცა თავის მეოთხე ოლიმპიურ თამაშებზე გაიმარჯვა, ეს მოხდა 1968 წელს, მექიკოში, სადაც ამ ამერიკელი სპორტსმენისგან სანეევმა თავისებური ესტაფეტა მიიღო და თავისი პირველი ოლიმპიური გამარჯვება მოიპოვა.

ვიქტორ სანეევმა მოსკოვის ოლიმპიურ სტადიონზე ჩირაღდანი შემოიტანა



ვიქტორ სანეევი მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზეც ყველაზე შორს გადახტა, მაგრამ მას ვერცხლის მედალი გადაეცა

და მაშინ, როცა ვიქტორ სანეევმაც 1980 წელს თავისი მეოთხე ოლიმპიური თამაშები გადააგორა, ისიც გამოეთხოვა სარბიელს.

იმ თავისი ბოლო ოლიმპიური თამაშების პრესკონფერენციაზე ცნობილმა გერმანელმა ჟურნალისტმა ებერჰარდ ბოკმა, როცა სანეევს მიმართა, თავდაპირველად ხმამაღლა გაიხსენა ჩვენი ჯილას მიღწევები. გაიხსენა, რომ ვიქტორ სანეევი არის მეხიკოს (1968), მიუნხენის (1972) და მონრეალის (1976) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს სამგზის რეკორდსმენი (1968-71, 1972-75), ოლიმპიური რეკორდსმენი (1968), ევროპის ზამთრისა და ზაფხულის ჩემპიონატების რვაგზის გამარჯვებული (1969-72, 74-77) და მეორე პრიზიორი (1968), ევროპის თასის სამგზის მფლობელი (1967, 1973 და 1975), მსოფლიოს უნივერსიადის ორგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის ექვსგზის ჩემპიონი (1968-71, 73, 75).

ბოკმა სანეევის მიღწევები სხაპასხუპით რომ ჩამოთვალა, ბოლოს ჰკითხა, რითი ხსნით თქვენს უამრავ გამარჯვებებს, ოლიმპიურ თამაშებზე წარმატებით გამოსვლებს, დიდ სპორტში დღეგრძელობის საიდუმლოსო.

— აღრეც და ახლაც მიმაჩნია, რომ არავითარი საიდუმლო არ გამაჩნია, არავითარი განსაკუთრებული ტალანტით არ ვბრწყინავდი, როგორც ოლიმპიური ჩემპიონობის შემდეგ თვლიდნენ. ჩემი საიდუმლო სულ ესაა: გამარჯვებისკენ ლტოლვა, მუდმივი, მოუღლელი ვარჯიში, საკუთარი სისუსტეების დაძლევის უნარი და ცოტა იღბალიც...

„ცოტა იღბალიც“.

სანეევის ბედ-იღბალზე ქვემოთ მოგახსენებთ, აქ კი გავიხსენოთ ჩემპიონის სიტყვები, რომელიც ამოვიკითხეთ მისსავე წიგნში „მეოთხე სიმაღლე“, ევგენი ჩენის ლიტერატურული ჩანაწერებით რომ შეიქმნა:

„თითქოს მძიმე ბავშვობა გაჩვევს შრომას. მაგრამ მე ახლაც მახსოვს, როგორ ვაძალებდი ჩემს თავს სახეხ დაზგასთან გატარებული სამუშაო დღის შემდეგ სავარჯიშოდ წასვლას. როგორ მტკიოდა ყველაფერი და თავისთავად როგორ იბადებოდა ხოლმე „მხსნელი“ აზრი: რა მოხდა, გააცდინე, მარტო ერთი ვარჯიშის გაცდენით ქვეყანა არ დაიქცევა. ხანდახან ვაცდენდი კიდეც. მეც ხომ გამაჩნდა ადამიანური სისუსტეები, უცებ როდი გავხდი ის ვიქტორ სანეევი, პირველ იანვარს, დაბადების დღეს თუ ქორწინების დღესაც რომ ვარჯიშობდა“.



ეფსარ ბენიაშვილის ფოტო

ვიქტორ სანეევი სიდნეის ოლიმპიადაზე საქართველოს ეოჯ-ის ოლიმპიური ატაშეა

გაივლის წლები და 98-ის შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს უკვე სიდნეიში მცხოვრები ვიქტორ სანეევი ემზარ ზენაიშვილს, როგორც „სარბიელის“ კორესპონდენტს, ეტყვის:

„წარმოიდგინეთ, როგორ ჯოჯოხეთურად ვშრომობდი თითქმის 20 წლის მანძილზე, ჩემი მწვრთნელის უპირველესი ამოცანა ჩემი სტადიონზე სავარჯიშოდ მიყვანა კი არ იყო, არამედ სტადიონიდან, ვარჯიშიდან გაგდება! დედაჩემი მაზოხისტს მეძახდა ხოლმე“.

და რა მისცა ვიქტორ სანეევს ამგვარმა მაზოხიზმმა?

— სირთულეების მიუხედავად, სპორტის დიდი მადლობელი ვარ. მე მასში ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრება გავატარე. საქმე მხოლოდ რეკორდებში, გამარჯვებებსა და მედლებში არ არის. არც ის გახლავთ მთავარი, რომ სპორტი დამეხმარა მე, სოხუმელ ყმაწვილს, ოჯახის მეექვსე შვილს, რომელსაც მამა დამბლადაცემული ჰყავდა, დედა კი მეეზოვე, ცნობილი კაცი გავმხდარიყავი და ნახევარი სამყარო მომევლო. ჩემი სახელი სამუდამოდ შევიდა სპორტის ისტორიაში — ამბობს ვიქტორ სანეევი და იქვე რიტორიკულად გვეკითხება, განა ეს ცოტაა.

არა, ეს ნამდვილად არ არის ცოტა და ამ მხრივ სანეევი ნამდვილად ქუდბედიანი იყო.

და უფასებდნენ კიდეც. უფასებდნენ მედლებითა და ორდენებითაც.

საბჭოთა კავშირის წლებში მას გადაეცა ამ ქვეყნის უმაღლესი ჯილდოები: ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი, ხალხთა მეგობრობის ორდენი...

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ვიქტორ სანეევს, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან პირველს, დასდო უდიდესი პატივი და გადასცა თავისი უმაღლესი ჯილდო — ოლიმპიური ორდენი.

მერე, საქართველოს დამოუკიდებლობის ჟამს, სანეევი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით, მაგრამ ეს უკვე დღევანდელობაა.

დღევანდელობაა ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის რეფერენდუმის შედეგად ავსტრალიაში მუდმივად მცხოვრების სტატუსის მქონე ვიქტორი საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენ ვაჟად დაასახელეს. დაასახელეს სრულიად სამართლიანად — სანეევამდე და არც სანეევის მერე სამხტომში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ხომ მთელს დედამიწაზე არავინ გამხდარა. საბჭოთა სამხტომელთაგან კი სულაც პირველი ოლიმპიური ჩემპიონი.

„მაგრამ ჩემს ყველაზე დიდ წარმატებად იმას ვთვლი, რომ მუდამ მსჯელობდენ გულისმიერი, კეთილი ადამიანები, ხალხი, რომელიც დაეხმარა ავსულიყავი სპორტულ მწვერვალზე და კაცი გავმხდარიყავი“ — ამბობს სანეევი.

თავის უამრავი ბრძოლებიდან, 20 წლის განმავლობაში რომ გადაუტანია ჯერ ფეხბურთისა და კალათბურთის, მერე მძლეოსნობის სარბიელზე, ვიქტორ სანეევს ყველაზე მეტად დამახსოვრებია მოსწავლეთა 1963 წლის სსრ კავშირის სპარტაკიადა, რომელიც ვოლგოგრადში გაიმართა.

იმხანად ვიქტორ სანეევი პირველთანრიგოსანი მძლეოსანი იყო. ვოლგოგრადის სტარტამდე საქართველოს ჩემპიონი გახდა 100 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, სამხტომში კი რესპუბლიკის ჭაბუკთა რეკორდსმენის (14მ.88სმ) სახელიც მოიპოვა. ამ შედეგით ფრთაშესხმული ვოლგოგრადში ჩემპიონობაზე ფიქრობდა, მაგრამ ბოლოს მესამე ადგილზე გავიდა.

გაივლის მთელი 20 წელიწადი და სანეევი ამ ამბავს ასე გაიხსენებს: „სათადარიგო მინდორზე განვმარტოვდი და ავტირდი. არც მანამდე და არც მერე, წაგების გამო არ მიტირია. ალბათ ამიტომაც დამამახსოვრდა ეს წარუმატებლობა მთელი ცხოვრების განმავლობაში“.

წარმატებათაგან კი ყველაზე გამორჩეულად თავის პირველ ოლიმპიურ თამაშებს იხსენებს. მაშინ, მეხიკოში, როგორც თავად ამბობს, ყველაზე დიდი ბრძოლა გადაიტანა. ოქროს მედლების მაძიებლები საკვალიფიკაციო ასპარეზობიდან ბოლო, ფინალურ პაექრობამდე პანტაპუნტით ამყარებდნენ მსოფლიოს რეკორდებს. ფინალში ერთის გარდა ყველამ გაუმჯობესა თავისი წინასწარი შედეგი.

მეხიკოში სამხტომელთა შეჯიბრებისას ტრიბუნას პირველი ოვაცია ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო შეჯიბრებისას მოსწყდა, როცა იტალიელმა ჯუზეპე ჯენტილემ პოლონელი იოზეფ შმიდტის 1960 წლიდან ხელუხლებელი მსოფლიოს რეკორდი დაამხო (17,10მ), რაც ოლიმპიურ რეკორდიც გახლდათ.

ჯენტილემ მსოფლიოს რეკორდი მეორე დღესაც პირველსავე ცდაზე დამყარა (17,22). მესამე ცდაზე სანეევის ჯერ დადგა და ახლა მან გააუმჯობესა მსოფლიოს რეკორდი (17,23) და ასპარეზობის ლიდერი გახდა. წინ კი სამი ფინალური ცდა და სარბიელს შემორჩენილი რვა საუკეთესო მხტომელიღა იყო.

ამათგან, როგორც სანეევი იხსენებს, ალბათ სენეგალელ მანსერა დიასისა და იოზეფ შმიდტის გარდა ყველას შეეძლო ოქროს მედლის მოპოვება. ამიტომ ფინალისთვის ისე ვემზადებოდი, თითქოს არც დამემყარებინოს მსოფლიოს რეკორდი. წინ ხომ ჯენტილეს მაგალითი მედგო.

მართლაც, მეოთხე ცდაზე ბრაზილიელმა ნელსონ პრუდენსიომ სანეევის მსოფლიოს რეკორდს ამოსუნთქვა არ აცალა და 17,27 მეტრს გადაახტა.

ერთ დღეში მესამე მსოფლიოს რეკორდი!

იმავე ცდაზე სანეევი 16,81 მეტრზე გადახტა და ორმოდან ნირწამხდარი ამოვიდა.

მაგრამ წინ კიდევ ერთი ცდა იყო.

„ძნელი ცდა გამოდგა — იხსენებს სანეევი — ვიგრძენი, რომ ასარეკნ ზოლამდე ერთი ნაბიჯი დამაკლდა და ამ ნახტომში, ყოველი აკვრისას „ვინაზღაურებდი“ დაკარგულ სანტიმეტრებს, სილაში ჩავეშვი და მაშინვე მოვიხედე, რამდენია?

„ერთადერთი ორიენტირი მსაჯის სახე იყო. და თუმცა თემიდას მსახურნი მიუკერძოებლები და ყოველგვარი ემოციებისგან დაცლილნი არიან, მაინც აძლევენ ხოლმე თავს უფლებას, რომ ოდნავ გადაუხვიონ წესებს. ახლაც მექსიკელმა მსაჯმა, სანამ ნახტომის სიგრძეს ტაბლოს გადასცემდა, შემომხედა და ოდნავ შესამჩნევად გამიღიმა. თვალი შევავლე თუ არა მას, მივხვდი, რომ გავიმარჯვე და უნებურად ავხტი. ტაშიც შემოვკარი. ტაბლოზე მაშინვე აინთო ახალი ოლიმპიური და მსოფლიოს რეკორდის აღმნიშვნელი ციფრები — 17,39!

კვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეფიზარ ზანაბაზალის ფოტო

ვიქტორ სანეევი ცოლ-შვილთან: იანასთა და სანდროსთან ერთად სიდნეიში

ამ უჩვეულოო ჟესტით მე, ალბათ მთელი დარჩენილი ნერვიული ენერგიისგან დავიცალე. მშვიდად გავეშართე. ალბათ ეს რაღაც არანორმალური სიმშვიდე იყო, თორემ ჩემს შემდეგ ხომ უნდა გადამხტარიყვნენ ჯენტილეც, რომელიც ვერაფრით შეგუებოდა იმ აზრს, რომ ორი დღის განმავლობაში ორი მსოფლიოს რეკორდი დამყარა, მაგრამ მაინც მესამე ადგილზე დარჩა და ბოლომდე მებრძოლი ართურ უოკერიც. იქნებ მე უკვე ვიგრძენი, რომ ისინი ველარ დამეწეოდნენ.

არა, ისეთი ბრძოლა, როგორიც მეხიკოში იყო, აღარასოდეს გამომივლია.

ახლაც, საკმარისია დავიწყო თხრობა იმ შორეულ დღეებზე, რომ გული ძალუმად ამიჩქროლდება და მეხსიერებაში ცოცხლად აღსდგება ოლიმპიური სტარტის ის გულისგამაწვრილებელი დღეები და საათები, გამარჯვების გამაყრუებელი სიხარული თუ ჩემი მწვრთნელების აკოფ კერსელიანისა და ვიტოლდ კრეერის გაცისკროვნებული სახეები."

მეხიკოში დამყარებულმა ვიქტორ სანეევის რეკორდმა ოთხ ოლიმპიურ თამაშებს გაუძლო და მხოლოდ 20 წლის მერე, სეულში გაუმჯობესა ბულგარელმა მარკოვმა (17,62).

ყოველივე ამის გამო ვიქტორ სანეევი, როგორც სპორტსმენი, საკმაოდ ქუდბედიან ათლეტად წარმოგვიდგება. როგორც თავად ამბობს, მას უმართლებდა ჟურნალისტებთან ურთიერთობაშიც და წარუმატებლობის შემთხვევაში, მინდობდნენო. თუმცა ასეთი ცოტა იყო.

სანეევს ჟურნალისტთაგან ახლაც გაუმართლა, როცა ჩვენმა კოლეგებმა, და მათ შორის ამ სტრიქონების ავტორმაც, იგი საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენ ვაჟად დაასახელეს. დაასახელეს სრულიად სამართლიანად, მაგრამ შეიძლებოდა ასე არც მომხდარიყო, რადგან ამგვარ გამოკითხვაში სპორტსმენის კოლექციაში „ოქრო-ვერცხლის" ბრჭყვიალი და ტიტულები პირველობისთვის ყოველთვის გადამწყვეტი არ არის. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ თუნდაც ანალოგიური რეფერენდუმი, რომელიც სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციამ წლეულს მოაწყო მსოფლიოს 25 რჩეულის გამოსავლენად. მასში ვერ მოხვდა ბევრზე ბევრი ტიტულოვანი და სახელოვანი სპორტსმენი, მათ შორის, ვთქვათ, გერმანელი მოცურავე კორნელია ენდერ-მთესი, რომელიც ოთხგზის ოლიმპიური და რვაგზის მსოფლიოს ჩემპიონია; არის მსოფლიოს 19-გზის რეკორდსმენი და მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად ორჯერ აღიარებული.

ან გავიხსენოთ იმ 25 სპორტსმენს მიღმა დარჩენილი ასევე ბრწყინვალე ამერიკელი მოცურავე ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი მეტ ბიონდი, რომელსაც კიდევ ხუთი ოლიმპიური მედალი მოუპოვებია, ან შვიდგზის ოლიმპიური ჩემპიონი ფარიკაობაში, უნგრელი ალადარ გერევიჩი თუ მისი ექვს-ექვსგზის ოქროსმედალოსანთა ოთხკაციანი წყება...

„სამაგიეროდ" იმ 25-ში ვხედავთ, ვთქვათ, ფეხბურთელებს გერმანელ ფრანც ბეკენბაუერსა და ინგლისელ ბობი ჩარლტონს, ჰოკეისტ უეინ გრეცკის, რომლებიც მხოლოდ თითოჯერ იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონები...

თუ მაინცდამაინც მძლეოსნობაზე მიდგება საქმე, როგორც „სპორტის დედოფალზე", მაშინ 25 საუკეთესოში ვნახავთ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, კენიელ კიპჩოგე კეინოს და ვერ ვნახავთ მის კოლეგებს, ამერიკელ რვაგზის ოლიმპიურ ჩემპიონ რეი იურის, ფინელ ხუთგზის ჩემპიონს ვილო რიტოლას და უამრავ ოთხგზის ტრიუმფატორებს.

ქართველმა ჟურნალისტებმა სანეევი „დაინდეს". მაგრამ ერთმა რუსმა ჟურნალისტმა იგი არ დაინდო, რაღაც ზღაპრები შეთხზა, თითქოს სანეევი რუსობის, მისი ცოლი კი აფხაზობის გამო საქართველოდან ავსტრალიაში გადასახლდნენო.

— ეს ჩვეულებრივი ჟურნალისტური უსინდისობა იყო, რას არ მოიგონებენ და რა აქცენტებს გააკეთებენ, ღმერთმა უწყის — ამბობს სანეევი... თუმცა ამის თაობაზე საკმაოდ წაიკითხა მკითხველმა ერთი წლის წინანდელ „სარბიელში".

ახლა კი, სანეევის ბედზე საუბრისას, ისევ სპორტულ სარბიელს დავუბრუნდეთ.

„ჩემს ხანგრძლივ სპორტულ გზას რომ ვიხსენებ, ალბათ, ერთადერთ შემთხვევას თუ გავიხსენებ, ეს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე იყო, როცა სპორტული იღბალი ჩემკენ გადმოიხარა. გერმანელმა ჰორგ დრემელმა 17,32-იანი ნახტომით ვერ გამისწრო მეხუთე ცდაში. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს მას აუცილებლად უნდა მოეგო ოლიმპიადა, მე ხომ კიდევ ერთი ცდა მრჩებოდა, მაგრამ იორგი რომ თავისი საუკეთესო ნახტომით 17,36-ზე გაფრენილიყო, ჩემი მდგომარეობა ძალიან გართულდებოდა. მაგრამ არ გეგონოთ, თითქოს არ გამიმართლა სპორტში"...

არა, ვიქტორს ნამდვილად გაუმართლდა სპორტში, აი, სარბიელს მიღმა კი მეტად უიღბლო გამოდგა.

უიღბლო გამოდგა რეალურ ცხოვრებაში მისი სამხტომი სამხრეთ-აღმოსავლეთით: სოხუმი — თბილისი — სიდნეი, სადაც ახლა იგი — საქართველოს მოქალაქე — მუდმივი მცხოვრების სტატუსით ცხოვრობს. ამბობს, რამდენადაც დაუკეტელი ვიყავი დიდ სპორტში, ისეთივე უძლური აღმოვჩნდი რეალურ ცხოვრებაშიო.

დიდმა სპორტმა სიკეთესთან ერთად მას მოუტანა გაუთავებელი ტრავმები, გაუსაძლისი ტკივილები,... ასე იყო ყოველი ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე და ასეა ახლაც, უფრო სწორად, უარესად და სანეევი თავს ინვალიდად თვლის.

და სანეევს არ გაუმართლა არა მხოლოდ ჯანმრთელობის მხრივ — ავსტრალიაში კონტრაქტით ჩასული მერე უმუშევარი დარჩა.

„დიდხანს ვიყავი უმუშევარი. თავი მოსაკლავად მქონდა. იქამდეც კი მივედი, გაზეთში განცხადება გამოვაქვეყნე, მე, ესა და ეს პიროვნება, ჩემს ოლიმპიური თამაშების მედლებს ვყიდი-მეთქი"...

მაგრამ რა იქნებოდა, აქ, საქართველოში რომ დარჩენილიყო?

ვინ იცის?!

ყოველ შემთხვევაში, ვინც დარჩა, ბევრი გაჭირვებაშია, მათ შორის ჩვენი ერთ-ერთი პირველი ოლიმპიური ჩემპიონთაგანი, რომელიც ერთხანს სანეევივით ოლიმპიური ოქროს გაყიდვაზე ფიქრობდა.

ახლა, ვიქტორ სანეევზე რომ ვწერთ, მისი პორტრეტის რამდენიმე შტრიხით შემოხაზვას რომ ვცდილობთ, ერთი პატარა ეპიზოდი გვახსენდება.

მაშინ, 80-იან წლებში, მანამ ქვეყანა აირეოდა, კინოთეატრ „რუსთაველში", რომელიღაც ფილმზე ტრადიციულად გრძელი რიგი იდგა. ასევე ტრადიციულად ურიგოთა რიგი ცალკე დამდგარიყო და ერთმანეთის ჯგლეთაში იყვნენ. ამიტომ რიგიანთა რიგი კუს ნაბიჯით, ძლივს შესამჩნევად მიიწევდა წინ. იმ რიგიანთა რიგში უკვე ყველა ტიტულებმოპოვებული ვიქტორ სანეევიც მოთმინებით იდგა ცოლთან ერთად.

მას, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, შეეძლო მისულიყო კინოთეატრის დირექტორთან, ასევე ოლიმპიურ ჩემპიონთან, ცხონებულ ნუგზარ ასათიანთან...

მაგრამ არა, ვიქტორ სანეევი ცოლთან ერთად პატიოსნად და მოთმინებით რიგიანთა რიგში იდგა. სალაროსთან კი ურიგოთა ჯგლეთას ბოლო არ უჩანდა. მინდოდა მეყვირა, რას სჩადით, ხალხო, შეხედეთ, რიგში ვინა დგას, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ბუმბერაზი ადამიანი, რომლის მსგავსებს ანტიკურ ხანაში უძეგლოდ არ ტოვებდნენ-მეთქი!

მაგრამ აზრი არ ჰქონდა, ურიგო და უწესო ბიჭბუჭებსა თუ კაცუნებს აბა ვინ რას შეაგნებინებდა?

და დარჩა ვიქტორ სანეევი უბილეთოდ, წყნარად გამოვიდა რიგიდან და გაწბილებული რუსთაველს გაუყვა, ალბათ შინისკენ.

ამიტომ, მოდით, ყველამ ვიყვიროთ, ხმამაღლა ვიყვიროთ: ნუ გავაწბილებთ ვიქტორ სანეევს, ნუ გავაწბილებთ ოლიმპიურ ჩემპიონებს, ნუ გავაყიდინებთ მათ იმ ოლიმპიური ჩემპიონების ოქროს მედლებს. მათ სულ ცოტა ჰყოფნით. როგორც ვიქტორ სანეევი ამბობს, ყველა ყოფილ სპორტსმენ სიამოვნებს, როცა არ ივიწყებენ.

ავთანდილ გურასაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზააბნეული ვარსკვლავივით გამოჩნდა, ცაზე კაშკაშა რკალი მოხაზა და... ეს იყო და ეს... ვერა, ვერც ლეგენდად იქცა. ლეგენდას საზრდო სჭირდება, მძლეოსნობა კი ჩვენში ლეგენდის საზრდოდ ვერ გამოდგება.

ბუნებასაც ეშლება ხანდახან. ეტყობა, შეცდომა იყო მისი მოსვლა ქართული სპორტის სარბიელზე. არ არსებობდა არავითარი წინაპირობა, არ არსებობდა არავითარი საჭიროება, არ არსებობდა იოტისოდენა მოთხოვნილებაც კი მძლეოსნობაში დიდი სპორტსმენის გამოჩენისთვის. ქართული სპორტი ორიენტირებული იყო სათამაშო სახეობებში წარმატებისთვის — უბურთო საეხობები უაზრო სახეობებთან იყო გაიგივებული; ქართული სპორტი ორიენტირებული იყო თვითნაბადი ტალანტების აღმოჩენისთვის — მძიმე და მონოტონური შრომისთვის მზადყოფნის ნიჭი უნიჭობასთან იყო გაიგივებული.

მწვრთნელებიცა და სპორტის მოყვარულნიც პატარა პაიჭაძეებზე, მესხებზე, კოტრიკაძეებზე, ქორქიებსა და მეტრეველებზე იყვნენ გაფაციცებულნი. ცურვა, მძლეოსნობა და მათი მსგავსი სახეობები თავიანთი სანეევებითა და შავლაყაძეებით მაინცდამაინც არავის აინტერესებდა, პატარა, სასაცილო კუნძულად გამოიყურებოდა სპორტის ვეებერთელა მდინარეში.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ბუნებასაც მოსდის შეცდომები. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ ოთხი ოლიმპიური მედლის ამღები კაცი მართლა ვერ იქცა ლეგენდად, ვერც შედეგი და ვერც ამ შედეგის შემოქმედი. ვიქტორ სანეევი ქართული სპორტის სიმბოლო კი არის, მაგრამ მის შინაარსს სულაც არ გამოხატავს. ეს ის შემთხვევაა, როცა სიმბოლო და შინაარსი კარგა შორს დგანან ერთიმეორისგან. თავისთვის იყო ჩვენი სპორტი და თავისთვის ვიქტორ სანეევი, ცალკე იყო უმაგალითო სპორტული გამარჯვებები და ცალკე სპორტის გულშემატკივარი. ვიქტორ სანეევს ვერც სპორტის სასახლეში ვხედავდით, ვერც კორტებზე, ვერც „დინამოს" სტადიონზე, ტელევიზიაც კი უძლური იყო ამ კაცისა და ჩვენი, სპორტის ქომაგის ურთიერთობა უფრო ხელშესახები გაეხადა. საქართველოში გამართული მძლეოსნური შეჯიბრებები ისეთი დონისა იყო, რიგითი გულშემატკივრისთვის ქუდი რომ შეგეგდო, გამოსატანად არ შევიდოდა. მოკლედ, ის მინდა ვთქვა, რომ მძლეოსნურ შეჯიბრებებზე არ დადიოდა ხალხი იმიტომ, რომ საინტერესო იქ არაფერი ხდებოდა და საინტერესო არაფერი ხდებოდა იმიტომ, რომ მაყურებელი და გულშემატკივარი არ ჰყავდა ამ სახეობას.

მართალია, ბუნებას ხანდახან ეშლება კიდეც, მაგრამ მხოლოდ ხანდახან და თანაც მალევე გაასწორებს-ხოლმე უნებლიედ გადადგმულ მრუდე ნაბიჯს.

ჩვენ ყოველთვის გვჭირდებოდა და ახლაც გვჭირდება ის, რამაც ვიქტორ სანეევი დიდ სპორტსმენად აქცია. ალბათ უკვე დროა ქართულმა სპორტმა ხელი აიღოს ნიჭის იმედად ყოფნაზე, ტალანტების ციდან ჩამოცვენის იმედად ყოფნაზე და ძნელსა და მოსაწყენ აღმართს შეუდგეს. ჩვენ ამის გაგება, ამის შეგნება გვჭირდება. უამისოდ არაფერი არ გამოვა. ბუნება კი იმით ასნორებს თავის შეცდომას, რომ ვიქტორ სანეევი, ეს მართლაც უდიდესი სპორტსმენი ჩვენი სპორტის გვერდით არ არის. და სანამ ასეა, სანამ ოთხი ოლიმპიადის ჩემპიონი სამშობლოდან შორს, შორეულ ავსტრალიაშია, ცხადია, რომ ეს შეგნება, შეგნება ყველაზე მთავარი ნიჭის, შრომისმოყვარეობის ნიჭის პირველობისა, ჯერ არ მომნიფებულა; სავსებით ცხადია, რომ ჩვენი სპორტი ისევ იმ, უანგმოდებულ რელსებზე დგას და ინერციით, თუმცა ახლა უკვე დაღმა მიექანება.

და მაინც. საუკუნისა და ათასწლეულის მიწურულს მე ერთი ნალოლიავები სურათის მეიმედება: ცისაკენ თავაწეული ბიჭუნა გარინდებული შესცქერის უცნაურსა და ლამაზ სანახაობას — ვარსკვლავები მართლა ტოვებენ კაშკაშა კვალს.

ირაკლი ბერიაშვილი

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. X ტური

30 ოქტომბერი

033	შალკე — ჰერტა	1,9	2,9	3,6
034	ჰამბურგი — დორტმუნდი	2,0	2,8	3,5
036	ლევერკუზენი — მიუნხენი	1,5	3,4	5,6
037	ბაიერნი — ვოლფსბურგი	1,35	3,8	7,0
	0:1	2,0	3,0	2,4
038	დუისბურგი — ულმი	1,7	3,1	4,4

31 ოქტომბერი

039	უნტერჰახინგი — ფრაიბურგი	2,4	2,8	2,7
040	შტუტგარტი — კაიზერსლაუტერნი	1,9	2,9	3,6

გერმანია. II ბუნდესლიგა. X ტური

30 ოქტომბერი

044	ბერლინი — კოტბუსი	1,8	2,8	4,4

31 ოქტომბერი

045	ფორტუნა — ობერჰაუზენი	1,6	3,0	5,6
046	ჰანოვერი — კარლსრუე	1,8	2,9	4,2
047	ოფენბახი — ფიურტი	3,6	2,9	1,9
048	ქემნიცი — ალემანია	2,1	2,9	3,2

1 ნოემბერი

049	მიონხენგლადბახი — ბოხუმი	1,8	3,0	4,0

ინგლისი. პრემიერლიგა. XIII ტური

30 ოქტომბერი

050	არსენალი — ნიუკასლი	1,5	3,4	5,6
051	დერბი — ჩელსი	4,0	3,0	1,8
052	ლიდსი — ვესტ ჰემი	1,6	3,0	5,6
053	ლესტერი — უენსდი	1,5	3,4	5,6
054	მანჩესტერი — ასტონ ვილა	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
055	მიდლსბრო — ევერტონი	1,7	2,7	5,6
056	უიმბლდონი — საუთჰემპტონი	2,0	2,8	3,3

31 ოქტომბერი

057	სანდერლენდი — ტოტენჰემი	2,1	2,8	3,3
058	ქოვენთრი — უოტფორდი	1,6	3,0	5,6

1 ნოემბერი

059	ლივერპული — ბრედფორდი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6

ინგლისი. I დივიზიონი. XVI ტური

30 ოქტომბერი

060	ბარნსლი — ნოტინგემი	1,9	2,8	3,8
061	ბირმინგემი — ჩარლტონი	2,2	2,9	3,0
062	ბლეკბერნი — ქუინზ პარკი	1,9	2,9	3,6
063	ბოლტონი — სუინდონი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
064	ფულემი — ნორვიჩი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
065	იფსვიჩი — გრიმსბი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
066	პორტ ვეილი — მანჩესტერ სიტი	3,5	3,0	1,9
067	პორტსმუთი — კრისტალ პალასი	1,9	2,8	3,8
068	შეფილდი — ჰადერსფილდი	2,1	2,9	3,2
069	სტოკპორტი — უოლსოლი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
070	ტრანმერი — ქრიუ	1,8	3,0	4,0

31 ოქტომბერი

071	ვესტ ბრომვიჩი — ვულვერჰემპტონი	2,3	2,9	2,8

საფრანგეთი. I დივიზიონი. XIII ტური

30 ოქტომბერი

074	ნანსი — ბორდო	3,1	2,8	2,2
075	ლე ავრი — პსჟ	3,1	2,8	2,2
076	სენტ ეტიენი — მეცი	2,0	2,8	3,3
077	ბასტია — ტრუა	1,6	3,0	5,6
078	მარსელი — სტრასბური	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
079	ოსერი — მონპელიე	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3

31 ოქტომბერი

080	ლანსი — რენი	2,0	2,8	3,3

საფრანგეთი. II დივიზიონი. XVI ტური

30 ოქტომბერი

081	გენგამი — ლორიანი	1,7	2,7	5,6
082	ლილი — სოშო	1,35	3,8	7,0
	0:1	2,0	3,0	2,4
083	ნიცა — კაენი	2,6	2,7	2,6
084	ნიმი — კანი	2,0	2,7	3,6
085	ამიენი — გენიონი	2,5	2,7	2,7
086	აიაჩო — ლე მანი	2,3	2,7	3,0
087	შატორუ — ნიორი	1,7	2,8	5,3
088	ლავალი — ვალანსი	1,7	2,8	5,3
089	ლუანი — ვასკეალი	2,3	2,7	3,0
090	ტულუზი — კრეტეი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3

იტალია. სერია A. VIII ტური

30 ოქტომბერი

091	ფიორენტინა — ტორინო	1,5	3,1	7,0
092	ვენეცია — ბოლონია	2,0	2,8	3,5
093	ინტერი — ლაციო	2,0	2,8	3,5

31 ოქტომბერი

094	იუვენტუსი — პიაჩენცა	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
095	ლეჩე — პერუჯა	1,8	2,9	4,2
096	რომა — კალიარი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
097	უდინეზე — რეჯინა	1,6	2,9	6,0
098	ვერონა — მილანი	4,4	2,8	1,8
099	პარმა — ბარი	1,5	3,1	7,0

იტალია. სერია B. IX ტური

31 ოქტომბერი

101	ალძანო — ჯენოა	2,0	2,7	3,6
102	ფერმანა — ვიჩენცა	3,0	2,7	2,3
103	მონცა — ატალანტა	3,6	2,7	2,0
104	პისტოიეზე — ჩეზენა	1,9	2,7	4,0
105	რავენა — ტრევიზო	2,1	2,7	3,4
106	სამპდორია — კიევო	1,4	3,5	7,0
	0:1	2,1	3,0	2,3
107	სავოია — სალერნიტანა	2,0	2,7	3,6
108	ტერნანა — ნაპოლი	2,4	2,7	2,8

1 ნოემბერი

109	პესკარა — ბრეშა	2,0	2,7	3,6

ესპანეთი. I დივიზიონი. X ტური

30 ოქტომბერი

110	მალაგა — ვალენსია	2,9	2,8	2,3
111	დეპორტივო — ბარსელონა	2,7	2,8	2,4
112	რეალი — ატლეტიკო	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3

31 ოქტომბერი

113	ნუმანსია — სევილია	1,8	2,8	4,4
114	რასინგი — მალიორკა	2,0	2,8	3,5
115	ესპანიოლი — სარაგოსა	2,0	2,8	3,5
116	ალავესი — სელტა	2,7	2,8	2,4
117	ბეტისი — სოსიედადი	1,8	2,8	4,4
118	ბილბაო — ოვიედო	1,6	2,9	6,0
119	ვალიადოლიდი — რაიო ვალეკანო	2,1	2,9	3,2

ესპანეთი. II დივიზიონი. XII ტური

30 ოქტომბერი

120	კორდობა — ლეიდა	2,0	2,8	3,5
121	ლას პალმასი — ლოგრონიესი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3

31 ოქტომბერი

122	ლეგანესი — ბადახოსი	2,7	2,8	2,4
123	ოსასუნა — ალბასეტე	1,9	2,8	3,8
124	სპორტინგი — ლევანტე	1,9	2,9	3,6
125	უელვა — ვილიარეალი	2,3	2,8	2,9
126	ტოლედო — ელჩე	2,3	2,9	2,8
127	მერიდა — ეიბარი	1,9	2,9	3,6
128	კომპოსტელა — სალამანკა	2,7	2,8	2,4
129	ტერუელი — ესტრემადურა	2,3	2,9	2,8

1 ნოემბერი

130	ატლეტიკო B — ხეტაფე	1,7	3,0	4,7

პორტუგალია. IX ტური.

30 ოქტომბერი

132	ბოავიშტა — სალგეირუში	1,5	3,3	6,0
133	პორტუ — სპორტინგი	1,7	2,9	5,0

31 ოქტომბერი

134	ალვერკა — ბენფიკა	4,4	2,8	1,8
135	ბელენენსეში — ლეირია	1,7	3,0	4,7
136	ჟილ ვისენტე — სანტა კლარა	1,7	3,0	4,7
137	ბრაგა — მარიტიმუ	2,5	2,9	2,5
138	რიუ ავე — ფარენსე	1,7	3,0	4,7

1 ნოემბერი

139	ამადორა — სეტუბალი	1,8	3,0	4,0

ჰოლანდია. XI ტური.

30 ოქტომბერი

141	დენ ბოსხი — კამბური	2,1	2,9	3,2

31 ოქტომბერი

142	მაასტრიხტი — სიტარდი (17[30])	2,3	2,9	2,8
143	ვიტესი — უტრეხტი (17[30])	1,6	3,4	4,4
144	ალკმარი — პსვ	5,0	3,2	1,6

ბელგია. XI ტური

30 ოქტომბერი

145	სენტ ტრუიდენი — გენკი	4,0	3,0	1,8
146	ლოკერენი — გენტი	2,8	2,9	2,3
147	ბეერსხოტი — ვესტერლო	1,7	3,0	4,7
148	ლიერსი — მუსკრონი	1,5	3,3	6,0
149	ლომელი — შარლეროა	2,5	2,9	2,5
150	გეელი — ბეევრენი	1,9	2,9	3,6
152	ბრიუგე — სტანდარდი	1,35	3,8	7,0
	0:1	1,9	3,4	2,4

31 ოქტომბერი

151	აალსტი — მეხელენი	1,9	2,9	3,6

საბერძნეთი. VI ტური

30 ოქტომბერი

154	პანაჰაიკი — პროდეფტიკი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3

31 ოქტომბერი

153	ეთნიკოსი — კალამატა (17[00])	1,6	3,0	5,6
155	პანათინაიკოსი — ირაკლისი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
156	ქსანთი — პანიონიოსი (17[00])	1,5	3,4	5,6
157	პაოკ — პანილიაკოსი (17[00])	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
160	არისი — კავალა (17[00])	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
161	ტრიკალა — იონიკოსი (17[00])	2,8	2,9	2,3

1 ნოემბერი

158	ოფი — აპოლონი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3

ჩეხეთი. XII ტური

30 ოქტომბერი

163	ტეპლიცე — სლავია	2,9	2,8	2,3
164	სპარტა — ბლშანი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5

31 ოქტომბერი

165	დუკლა — ვიქტორია (17[30])	1,7	3,0	4,7
166	ოპავა — დრნოვიცე (17[30])	2,4	2,9	2,6
167	იაბლონეცი — სიგმა (17[30])	2,2	2,9	3,0
168	ბუდეიოვიცე — ლიბერეცი	1,7	3,0	4,7
169	ბოჰემიანსი — ბანიკი	2,1	2,9	3,2

პოლონეთი. XIV ტური.

30 ოქტომბერი

170	ლეხი — გურნიკი	2,4	2,9	2,6
171	ამიცა — ვისლა	2,6	2,8	2,5
172	ლეგია — რუხი	2,0	2,9	3,4
173	ოდრა — პოლონია (17[00])	3,0	2,9	2,2
174	პლოცკი — სტომილი	2,0	2,9	3,4
175	ვიძევი — პოგონი (17[00])	2,0	2,9	3,4
176	რაძიონკოვი — გროცლინი (16[30])	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3

31 ოქტომბერი

177	ზაგლებე — ლკს (17[00])	1,7	2,8	5,3

უკრაინა. XIV ტური.

30 ოქტომბერი

181	ზაპოროჟიე — მეტალურგი	1,7	2,9	5,0
184	მარიუპოლი — მეტალისტი	2,4	2,9	2,6

31 ოქტომბერი

178	დინამო — დნიპრო	1,1	6,0	12,0
	0:1	1,4	3,6	4,0

1 ნოემბერი

179	კრივბასი — ტავრია	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
180	ვორსკლა — ზირკა	1,1	6,0	12,0
	0:1	1,4	3,6	4,0
183	პრიკარპატია — კარპატი	2,5	2,9	2,5
185	ნივა — ცსკა	2,2	2,9	3,0

2 ნოემბერი

182	შახტარი — ჩორნომორეცი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2

თურქეთი. VIII ტური.

30 ოქტომბერი

187	ანკარაგიუჯიუ — ერზურუმი (17[00])	2,1	2,9	3,2
188	ადანა — ფენერბაჰჩე	4,0	3,0	1,8

31 ოქტომბერი

189	ისთანბული — დენიზლი (16[00])	2,0	2,9	3,4
190	ალთაი — ვანი (16[00])	1,5	3,3	6,0
191	გაზიანთეფი — ბეშიქთაში	2,5	2,9	2,5
192	ქოჯაელი — სამსუნი	1,8	3,0	4,0
193	ანთალია — ბურსა	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
194	ტრაბზონი — გერჩლერბირლიგი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2

შოტლანდია. XII ტური

30 ოქტომბერი

195	აბერდინი — რეინჯერსი	6,5	3,6	1,4
196	სელტიკი — კილმარნოკი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5

197	დანდი — ჰართსი	2,6	2,9	2,4
198	მოზერუელი — სენტ ჯონსტონი	2,0	2,8	3,5
	31 ოქტომბერი			
199	ჰიბერნიანი — დანდი იუნაიტედი	2,4	2,8	2,7
	ავსტრია. XVIII ტური.			
	30 ოქტომბერი			
201	ბრეგენცი — გრაცერი	2,8	2,9	2,3
202	რიდი — აუსტრია	2,3	2,8	2,9
203	შტურმი — ლუსტენაუ	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	31 ოქტომბერი			
204	ტიროლი — ზალცბურგი	1,5	3,3	6,0
	შვეიცარია. XVII ტური.			
	30 ოქტომბერი			
205	ლოზანა — ლუგანო	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
206	სერვეტი — არაუ	1,5	3,2	6,5
209	ლუცერნი — ციურიხი	2,0	2,9	3,4
	31 ოქტომბერი			
207	დელემონი — ბაზელი (17^{30})	3,2	2,9	2,1
208	გრასჰოპერი — ივერდონი (17^{30})	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
210	სენტ გალენი — ქსამაქსი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
	დანია. XV ტური.			
	31 ოქტომბერი			
211	ვაილე — ვიბორგი	2,4	2,9	2,6
213	ბრიონდბიუ — აკადემისკი	2,0	2,9	3,4
214	ლიუნგბიუ — კოპენჰაგენი	1,7	3,3	4,0
215	ჰერფიოლგე — სილკებორგი	1,8	3,0	4,0
216	ესბიერგი — ოდენსე	2,1	2,9	3,2
	1 ნოემბერი			
212	ორჰუსი — ოლბორგი	3,2	2,9	2,1
	რუსეთი. XXIX ტური.			
	30 ოქტომბერი			
217	შინიკი — ურალანი	2,2	3,0	2,9
218	ზენიტი — ალანია	2,2	2,9	3,0
219	ცსკა — დინამო	2,2	2,9	3,0
220	როტორი — ლოკომოტივი	2,2	2,9	2,6
221	როსტსელმაში — ყუმჩუჟინა	1,6	3,2	4,0
222	ტორპედო — სატურნი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
223	ნ. ნოვგოროდი — ჩერნომორეცი	1,9	2,8	3,8
	შვედეთი. XVI ტური			
	30 ოქტომბერი			
224	კალმარი — ელფსბორგი (16^{30})	1,8	3,0	4,0
225	იორებრო — აიკ (16^{30})	4,0	3,2	1,6
226	ჰამარბი — ტრელებორგი (16^{30})	1,8	2,8	3,8
227	გიოტებორგი — ჰელსინგბორგი (16^{30})	3,0	2,9	2,0
228	ნორჩიოპინგი — იურგარდენი (16^{30})	1,5	3,4	4,0
229	ჰალმსტადი — იორგრიტე (16^{30})	1,7	3,1	4,4
230	მალმიო — ფრიოლუნდა (16^{30})	2,0	2,9	3,0
	ინგლისი. თასის I ეტაპი			
	30 ოქტომბერი			
231	ლეიტონი — კარდიფი	2,8	2,9	2,3
232	ჩელტენემი — ჯილინგემი	3,2	2,9	2,1
233	სუონსი — კოლჩესტერი	1,9	2,9	3,6
234	ტორკი — საუთენდი	1,8	3,0	4,0
235	ბრისტოლი — მენსფილდი	1,3	4,0	7,5
236	ბლეკპული — სტოკი	3,4	2,9	2,0
237	შრიუსბერი — ნორთჰემპტონი	2,6	2,9	2,4
238	მაკლსფილდი — ჰალი	1,7	3,0	4,7
239	ნოტსი — ბორნმუთი	1,6	3,0	5,6
240	ბრენტფორდი — პლიმუთი	1,3	4,0	7,5
	31 ოქტომბერი			
241	ჰართლპული — მილუოლი	2,6	2,9	2,4
242	ბარნეტი — ბარნლი (17^{00})	2,5	2,9	2,5
243	როვერსი — პრესტონი	2,1	2,9	3,2
	ჰოლანდია. თასი			
	30 ოქტომბერი			
244	ჰერენვენი — ნაიმეგენი	1,3	4,0	7,5
245	ვალვაიკი — ტვენტე	2,5	2,9	2,5
	ნორვეგია. თასის ფინალი			
	30 ოქტომბერი			
246	რუსენბორგი — ბრანი	1,9	2,9	3,6

ტურში გატანილი გოლები

გერმანია. X ტური	25 და ნაკლები	1,9	27 და მეტი	1,9
ინგლისი. XIII ტური	26 და ნაკლები	1,9	28 და მეტი	1,9
საფრანგეთი. XIII ტური	22 და ნაკლები	1,9	24 და მეტი	1,9
იტალია. VIII ტური	23 და ნაკლები	1,9	25 და მეტი	1,9
ესპანეთი. X ტური	26 და ნაკლები	1,9	28 და მეტი	1,9

	ჰოკეი. NHL			
	29 ოქტომბერი			
834	ბუფალო — ფლორიდა	2,0	4,4	2,0
835	დეტროიტი — ჩიკაგო	1,3	4,4	4,0
836	კაროლინა — ნიუ ჯერსი	2,0	4,4	2,0
837	ანაჰაიმი — ვაშინგტონი	1,6	4,4	2,7
	30 ოქტომბერი			
838	კოლორადო — ფინიქსი	1,9	4,4	2,1
839	ბოსტონი — ბუფალო	1,7	4,4	2,4
840	ტორონტო — კალგარი	1,3	4,4	4,0
841	მონრეალი — რეინჯერსი	2,0	4,4	2,0
842	ოტავა — ფლორიდა	1,7	4,4	2,4
843	აილენდერსი — კაროლინა	2,0	4,4	2,0
844	ფილადელფია — ნიუ ჯერსი	1,8	4,4	2,2
845	ჩიკაგო — ლოს ანჯელესი	2,0	4,4	2,0
846	სენტ ლუისი — დეტროიტი	2,0	4,4	2,0
847	დალასი — ტამპა ბეი	1,3	4,4	4,0
848	ვანკუვერი — ნეშვილი	1,5	4,4	3,0
849	სან ხოსე — პიტსბურგი	1,9	4,4	2,1
	31 ოქტომბერი			
850	ატლანტა — ოტავა	2,4	4,4	1,7
851	ედმონტონი — ნეშვილი	1,8	4,4	2,2
852	ანაჰაიმი — ფინიქსი	2,0	4,4	2,0
853	სან ხოსე — ვაშინგტონი	1,5	4,4	3,0
	1 ნოემბერი			
854	პიტსბურგი — ლოს ანჯელესი	1,8	4,4	2,2
	რაგბი. მსოფლიოს თასი. ნახევარფინალი			
	30 ოქტომბერი			
855	ავსტრალია — ს. აფრიკა	1,5	7,0	2,2
	31 ოქტომბერი			
856	ახ. ზელანდია — საფრანგეთი	1,02	7,0	9,0
	0:20	1,7	15,0	1,7

ფორმულა 1. XVI ეტაპი. იაპონია

მრგოლი	I ადგილი	სამეული	ექვსეული
ჰაკინენი (ფინეთი, მაკლარენი)	1,7	1,2	1,1
ირვინი (ირლანდია, ფერარი)	2,0	1,3	1,2
მ. შუმახერი (გერმანია, ფერარი)	2,5	1,4	1,2
კულჰარდი (ბრიტანეთი, მაკლარენი)	5,0	1,5	1,3
ფრენცენი (გერმანია, ჯორდანი)	8,0	2,0	1,4
რ. შუმახერი (გერმანია, უილიამსი)	15,0	4,0	1,8
ბარიკელო (ბრაზილია, სტიუარტი)	20,0	4,0	1,8
ფიზიკელა (იტალია, ბენეტონი)	20,0	4,0	1,8
ჰერბერტი (ბრიტანეთი, სტიუარტი)	30,0	4,0	2,0
ჰილი (ბრიტანეთი, ჯორდანი)	30,0	4,0	2,0
ვურცი (გერმანია, ბენეტონი)	30,0	5,0	2,0
ვილნევი (კანადა, ბარ)	30,0	5,0	2,0
ალეზი (საფრანგეთი, ზაუბერი)	30,0	5,0	2,0
ძანარდი (იტალია, უილიამსი)	40,0	8,0	3,0
ტრული (საფრანგეთი, პროსტი)	40,0	8,0	3,0
დინიცი (ბრაზილია, ზაუბერი)	75,0	10,0	4,0
პანი (საფრანგეთი, პროსტი)	75,0	10,0	4,0
ხენე (ესპანეთი, მინარდი)	75,0	10,0	5,0
ზონტა (ბრაზილია, ბარ)	75,0	10,0	5,0
ბადოერი (იტალია, მინარდი)	75,0	10,0	5,0
დე ლა როსა (ესპანეთი, ეროუსი)	75,0	10,0	5,0
ტაკაჯი (იაპონია, ეროუსი)	75,0	10,0	5,0
პირველი სამეული თანმიმდევრობით			10,0

XIV ეტაპზე კონსტრუქტორთა ქულის გამარჯვებული	
მაკლარენი	1,6
ფერარი	1,8
ჯორდანი	3,5
უილიამსი	15,0
სტიუარტი	15,0
ბენეტონი	15,0
ზაუბერი	25,0
პროსტი	25,0
ეროუზი	25,0
BAR	25,0
მინარდი	25,0

გადამრავლება შეიძლება სამეულში მოხვედრის (არაუმეტეს სამი მრგოლისა) ან ექვსეულში მოხვედრის (არაუმეტეს ექვსი მრგოლისა) კოეფიციენტების.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, სამ იცნო ტურში [illegible] მული სპორტული შეჯიბრების შედეგი, [illegible] ბში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვლრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფებბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების ნინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს **და თანახმაა,** ითამაშოს არსებული წესებით.

საქართველოს ჩემპიონატი 5 ტური ანონსი

30 ოქტომბერი. ბათუმი. 14.00 **ბასკო — დინამო**	1 ნოემბერი. ვერის ბაღი. 13.00 **ბორი — ისუ**
30 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 13.00 **სსუ — ვითა**	1 ნოემბერი. ვერის ბაღი. 14.45 **შევარდენი — მაკაბი**
30 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 14.45 **ასკ — სდასუ**	1 ნოემბერი. რუსთავი. 14.00 **აზოტი — სტუ**

მოახლოებულმა არჩევნებმა შაბათ-კვირას გასამართი საკალათბურთო ჩემპიონატის მეხუთე ტური შუაზე გახლიჩა. ამას როგორმე აიტანდა კაცი, მაგრამ ჩვენი გასაცოდავებული პირველობისა და უბადრუკი კალათბურთის შემხედვარეებს გული გაგვხლეჩია ორად და ოდესმე თუ გამთელდება, ერთმა ღმერთმა უწყის. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ისეა ქართული კალათბურთის საქმე. სადაც მართლა თამაშია ნაღდი კალათბურთის ოხშივარიც იქ ტრიალებს, ჩვენ კი სულ მთლად დაგვკარგვია მადა, რომლის აღძრასაც ეროვნული პირველობისგან ამაოდ ველით.

უვადოდ შიმშილობს ქართული კალათბურთი და მაძღარის ჯიბეს მიჩერებული შიდა სამზარეულოში იხარშება. მოთმინებითა შენითაო, ნათქვამია. სხვა რა გზა გვაქვს, დაველოდოთ, ვიდრე მინავლებულ ცეცხლზე ჩვენი წილი ობლის კვერი გამოცხვება. ზედადგარობა კი ეროვნული ჩემპიონატისთვის მიგვინდია...

და აი, ისიც. შინაური კალათბურთის მეხუთე რაუნდი:

ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხული, დღემდე ცხრილის შუაგულში მოყურყუტე სტუ ორშაბათს რუსთავს ჩაბრძანდება და იქაურ „აზოტთან“ დაიჭერს საქმეს. ძნელი სათქმელია, არჩევნების მეორე დღეს რა ხასიათზე დაუხვდება სტუდენტურ კლუბს რუსთავ-ქალაქი, თუმცა აზოტელთა განწყობა რომ მხოლოდ საბრძოლო იქნება, უეჭველია. აქამდე დაუმარცხებელმა ვიცე-ჩემპიონებმა მშობლიურ ქალაქში, ერთგული ქომაგების თვალწინ უნდა დაამტკიცონ თავიანთი სიძლიერე და ის, რომ სატურნირო ცხრილის კენწეროში შემთხვევით არ მოკალათებულან. თავის მხრივ, სტუსაც ბევრი აქვს დასამტკიცებელი, „ვითასთან“ და „ბასკოსთან“ მარცხნაწვნევი სტუდენტობა გულს იმითაც იმშვიდებს, რომ წინა ტურში ლიდერებში გარეული „მაკაბი“ დაამარცხა და თუ ახლა „აზოტსაც“ ორი ქულა გამოტყუა, სტუ-ს თავზე მოქუჩებული შავი ღრუბლები საბოლოოდ გაიფანტება.

ვინ-ვინ და „აზოტის“ დამარცხება, თანაც რუსთავში, ცოტა არ იყოს, წარმოუდგენლად გვეჩვენება. სტუ-ს შანსებს სულაც არ ეთქმის მიზერული, მათ კარგ თამაშს ცოტა იღბალიც თუ დაერთო, ღმერთმა უწყის, რა მოხდება, მაგრამ წლების მანძილზე ისე დაღვინებულა ოთარ ხმელიძის გუნდი, საეჭვოა, მაჭარივით მოთუხთუხე სტუმ რეტი დაასხას.

მერე რა, რომ „აზოტს“ ჯაფარიძე აღარ ჰყავს. ირაკლი მართლაც დიდი ძალა იყო რუსთაველთათვის, მაგრამ ის დროც კარგად გვახსოვს, როცა მთელი სიმძიმე მიხეილ ბერუაშვილის მხრებზე გადადიოდა. ცენტრის პოზიციაზე ახლა სწორედ ბერუაშვილი იღწვის. ფარზე ორთაბრძოლებისას მას ზვიად ბაბიაშვილი ეხმარება, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო მომხსნელია ჩვენში და სწრაფ შეტევებშიც დაუბკოლებლად ერთვება. ტანმაღალი მოთამაშეების სიმცირეს არც სტუ უჩივის. გოდერძი კორძაძე, ვასილ ოთიურიძე, ვახტანგ მინაშვილი და კარგ ფორმაში მყოფი ამროსი ორმოცაძე სწორედ ის ძალაა, რომელსაც ბერუაშვილი-ბაბიაშვილის დუეტთან თანაბარი თამაში ძალუძს.

აი, უკანა ხაზში აზოტელთა უპირატესობა აშკარაა. იქნებ არც მთლად ასე ყოფილიყო საქმე, სტუ-ს დავით თორთლაძე რომ ჰყოლოდა. ეს უკანასკნელი „მაკაბისთან“ შეხვედრისას მსაჯებმა მოედნიდან დაითხოვეს და ახლა ორი მატჩის გამოტოვება მოუწევს, რაც, ბუნებრივია, სტუდენტთა თამაშზეც დიდ გავლენას იქონიებს. სულაძე, მიქაძე და მოისწრაფიშვილი, რა თქმა უნდა, თავისას შეეცდებიან, მაგრამ ძალა აღმართს ხნავსო, ხომ გაგიგონიათ. „აზოტის“ უკანახაზელთა ტრიო — ულენტი, გაბისონია, გოგობერიშვილი — სტუ-საზე მაღალი კლასისაა, უფრო



შარშანდელი აზოტი — სტუ. რუსთაველი მიხეილ ბერუაშვილი (№6) ცდილობს სტუდენტ ლაშა ლოსაბერიძეს დაუფაროს

ფოტო ალექსანდრე ალექსიძისა

ნაცადიცაა და ალბათ, სწორედ ეს უნდა იყოს სტუდენტთა მწვრთნელის, ნუგზარ ჭეიშვილის საწუხარი.

სხვა მხრივ, საინტერესო თამაშს უნდა ველოდეთ. მართალია, „აზოტს“ წარმატების მეტი შანსი აქვს, მაგრამ არც სტუ-ა ჯაბანი და ვფიქრობთ, უკანასკნელ წუთებამდე იბრძოლებს. ერთიცაა, ორშაბათს რუსთაველთა საკალათბურთო დარბაზში ანშლაგია მოსალოდნელი. სტუ-სებრ სოლიდური გუნდი (რაც „აზოტი“ ჩემპიონატის მატჩებს შინ მართავს) ამ ქალაქს ჯერ არ სწვევია.

„აზოტი“ — სტუ-ს დაპირისპირების ფონზე მეხუთე ტურის დანარჩენი შეხვედრები ნაკლებად საინტერესოა. თუ გამორჩევა, ისევ „ბასკო“ — „დინამოს“ გამოვარჩევთ. ისიც იმიტომ, რომ გასულ შაბათს „ვითასთან“ ტოლ-სწორად შებმულმა „დინამომ“ იქნებ „ბასკოსაც“ შეჰკადროს რაიმე, თორემ ბათუმური კლუბი რომ უფრო ძლიერი და ორგანიზებულია, ამაზე საუბარიც არ ღირს. რა უნდა მოხდეს ისეთი, აჭარლებს ფეხი რომ დაუცდეთ, ოთხი თამაშიდან ამდენივე მოგებით ფრთაშესხმული „ბასკო“, ალბათ, თავიდანვე რიხით შეებმება ვაჟა მზეიძის გუნდს და მორიგ ორ ქულასაც გაიფორმებს. ყოველ შემთხვევაში, „დინამოს“ წარმატებას ნაკლებად უნდა ველოდეთ, თითქმის გამორიცხულია, დედაქალაქელებმა კარგ განწყობაზე დატოვონ ზღვისპირეთი.

„შევარდენი“ — „მაკაბის“ შეხვედრაში ფავორიტი ეს უკანასკნელია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „მაკაბიმ“ სეზონი კარგად დაიწყო და თვით შვიდგზის ჩემპიონი „ვითაც“ დაამარცხა, მის უპირატესობას უფრო მეტად ვირწმუნებთ. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ მაკაბელთათვის „შევარდენი“ ყოველთვის უხერხულ მეტოქედ მიიჩნეოდა და იქნებ არც ამჯერად დაირღვეს ტრადიცია. „მაკაბის“ ყველაზე მეტად სკამის სიმოკლე აფიქრებს, თუმცა ეს შევარდენელთა მწვრთნელ გივი კოშკელოვსაც



უღონებს გულს. აქედან გამომდინარე, კალათბურთელთა ეშმაკობაზეც ბევრი იქნება დამოკიდებული. ძირითადი ხუთეულის იმედად მყოფი ამ გუნდებიდან, ალბათ, მეტად ის იხეირებს, ვინც უფრო მეტ წამყვან მოთამაშეს შეინარჩუნებს მატჩის ბოლომდე.

გადამწყვეტი სიტყვის თქმა მაინც მაკაბელ ალექსანდრე ფერიაშვილს დაეკისრება. თუ ტყუპი ბერიშვილების საწინააღმდეგოდ „შევარდენის“ უკანახაზელებს აქტიური თამაში მოეთხოვებათ, პირადად ჩვენთვის წარმოუდგენელია, რა უნდა დაუპირისპიროს ფაქტობრივად უცენტრო გივი კოშკელოვის გუნდმა ტანმაღალ და გამოცდილ ფერიაშვილს.

წინა ტურში სდასუ-სთან დამარცხებით ნირწამხდარი თსუ ორშაბათს „გორს“ დაუხვდება. ჰა, ჰა, პირველ ტაიმში გაუძლონ ქართლელებმა ნოდარ ქორქიას გუნდის ზეწოლას. მერე, ალბათ, ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება და სტუდენტთა გამარჯვებასაც წინ ვერაფერი დაუდგება.

ლევან მოსეშვილის სდასუ-მ ბოლოს ისეთი თამაში აჩვენა, რომ ასკ-ს წინდაწინვე გამოეწერა წაგება. არმიულ კლუბს ასეთ განაჩენს არ გამოვუტანდით, მისი „ბასკოსთან“ შეხვედრა რომ არ გვახსოვდეს. ასკ ძალიან უსუსურად გამოიყურებოდა, უფრო ფაფხურობდა, ვიდრე კალათბურთს თამაშობდა და თუ მამა მწვრთნელმა ვაჟა ჭოტაშვილმა რაიმე ხერხს არ მიაგნო, ზედიზედ მეხუთე წაგებას თავიდან ვერ აიცილებს.

წლეულს ჯერ არ გაუხარია და არც ამჯერად უწერია გახარება სსუ-ს. სოხუმელთა მეტოქე შაბათს თვით „ვითა“ იქნება და, ვფიქრობთ, ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია. ნებისმიერი ტოტალიზატორი „ვითას“ შანსებს 1,001 კოეფიციენტით შეაფასებდა, ანაც საერთოდ არ მიიღებდა ფსონებს ამ შეხვედრაზე.

გიორგი ბიკაშვილი

ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. V ტური. 27-28 ოქტომბერი

A ჯგუფი

შოლე 69:59 ცრვენა ზვეზდა

შოლე: ჩაილდრესი (21), დიუბო (6), ევოდო, კარავალია (14), გოტიე (3), ჰეიესი (9), იანუ (3), მილერი (13)

ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი (10), ბოშკოვიჩი (11), იესტრატოვიჩი (12), ლუკოვსკი (6), რადმანოვიჩი (7), რაკოჩევიჩი (11), ტოპალოვიჩი (2), ვუიანიჩი

ცსკა 77:75 ბენეტონი

ცსკა: ალანოვიჩი, ეინიკისი (2), კარასიოვი (10), კირილენკო (11), კუდელინი (6), პანოვი (21), სკელინი (9), ტიხონენკო, ვეტრა (18)

ბენეტონი: დი სპალატრო, ედნი (24), მარკონატო (8), ნეესი (4), ნიკოლა (8), პიტისი (11), სანტოსი, შეპარდი (8), ტრაინა (12)

ბარსელონა 76:55 პაოკ

ბარსელონა: ალსტონი (12), დე ლა ფუენტე (3), დიგბო (13), დუენიასი, ელსონი (6), გასოლ საეზი, გოლდვაიერი (10), გუროვიჩი (19), ნავარო (7), ბოდრიგესი (6)

პაოკ: ალექსანდერი (19), ბილოიანისი (4), ბაზარევიჩი (2), კოლდებელა, ედვარდსი (13), იანულისი (9), მასლარინოსი, ნიკოლაიდისი, პერალი (6), პრელევიციი

B ჯგუფი

ულალგირისი 84:85 ოლიმპია

ულალგირისი: ბეკი (8), მასიულისი (2), შესტოკასი (15), სლანინა (4), სტუმბრისი, ტიმინსკასი (11), ზიდეკი (14), ე. ფუკაუსკასი (7), მ. ფუკაუსკასი (23)

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (2), ბრეფეციი (13), გოლემაციი (16), იასკევიჩუსი (14), კოტნიკი, კოვაჩიჩი (7), მილიჩი (16), ზადრავეციი (1), ზდოვციი (16)

თოფაში 67:71 რეალი

თოფაში: ბაში (2), გრიფიტი (6), ქონუქი (7), ოქური, ფარსი, რიმაციი (18), რივერსი (23), როჯერსი (11), ილმაზი

რეალი: ფ. ანგულო (18), ლ. ანგულო, ჯორჯევიჩი (7), გალილეა(1), გნადი (2), ერროსი (18), იტურბე (11), სკოტი (8), სტრიულენსი (6)

ალბა 54:73 პანათინაიკოსი

ალბა: ალექსისი (14), ბაეკი(4), ბოგოევიჩი, ფემერლინგი (8), ჰამინკი (2), კინგი (20), ოკულაია (2), როდლი (4)

პანათინაიკოსი: ბოდიროგა (17), ბუდურისი (5), ბერკი (6), კალაიძისი (3), კატაში (11), კოხი (11), რებრაჩა (13), როჯერსი (7)

C ჯგუფი

ოლიმპიაკოსი 62:69 ვარეზე

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (3), დე მიგელი (3), გრანტი (6), ნაკიჩი, პაპანიკოლაუ (11), რობინსონი (24), ტარლაჩი (8), ტომიჩი (7), ვუკშევიჩი

ვარეზე: ალენი (11), ფოიერა (4), ჯადინი (1), მენეგინი (19), პოცეკო (14), სეკუნდა (8), ვესკოვი (2), ვუხერერი (6), ზანუფორტესი (4)

ულქერი 68:78 პივოვარნა

ულქერი: ალენი (7), აიდინი (6), ერდენაი (17), კოტუროვიჩი (6), ოზთურქი (3), რენკინი (9), თოფსაკალი (6), ილდირიმი (14)

პივოვარნა: დრაგაშიჩი (14), გილიჩი, გოლოვიცი (18), ჰაფნარი (10), იურაკი (10), კუნცი (8), ნახბარი (18)

მაკაბი 73:61 ვილერბანი

მაკაბი: ბრისკერი, კომეგისი (7), ჰენფელდი (2), ჰაფმანი (21), ჯამჩი (9), მაკდონალდი (10), შარფი (11), შეფერი (10), შელეფი (3)

ვილერბანი: ბილბა (11), ბლომი (4), ლარანიაგა (8), ლოვერნი (4), მაქსი (14), პერსევო (6), პლუვი, სამი, სილსი (3), სონკო (11)

D ჯგუფი

ფორტიტუდო 83:58 პო ორტეზი

ფორტიტუდო: ანჩიში (3), ბაზილე (12), ფუჭა (15), გალანდა (4), გაი (2), კარნიშოვასი (22), ლაცის-გიარიტსი (9), პილუტი (4), რუჯერი (5), ს. ვრანკოვიჩი (7)

პო ორტეზი: კალაბრია (14), ფატუ (8), დ. გადუ (6), ტ. გადუ (10), გულიაში (4), მაზინგი, რიზაშე (3), ტეილორი (5), ჩილოემბა (8)

სან ფერნანდო 75:73 ბუდუჩნოსტი

კახა სან ფერნანდო: კორალესი (14), დიეზი (6), ფერნანდესი, ფორტიე (4), რომერო (14), სკუტე, სკოტი (19), სმიტი (4), სოლანა (4), ტერნერი (10)

ბუდუჩნოსტი: პრკიჩი (16), ბულატოვიჩი (4), კუზმანოვიჩი (6), პაიოვიჩი, რადონიჩი, შტეპანოვიჩი, ტომაშევიჩი (30), ტოპიჩი (12), ვუკშევიჩი (5)

ციბონა 71:69 ეფესი

ციბონა: ალიპოვჯიჩი (9), გირიჩეკი (18), კრსტიჩი (7), მარცელიჩი (10), პრკაჩინი (12), სარლია (2), სესარი (7), ი. ვრანკოვიჩი (6)

ეფესი: ბეშოქი (10), დრობნიაკი (17), ჯეკსონი (9), ქუთლუაი (11), მულაომეროვიჩი (5), ონანი (8), სანჩარი, თურქოღლუ (9), ვექილოღლუ

A ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1 ბარსელონა		75:67	69:51	76:55	17.11	8.12	5	0	388:329	10
2 ცსკა	3.11		77:75	17.11	74:54	86:62	3	2	367:349	8
3 ბენეტონი	11.11	16.12		69:66	3.11	88:63	3	2	356:339	8
4 პაოკ	15.12	83:63	8.12		83:76	4.11	2	3	351:349	7
5 შოლე	70:77	8.12	64:73	18.11		69:59	1	4	333:366	6
6 ცრვენა ზვეზდა	86:91	11.11	18.11	65:64	16.12		1	4	335:398	6

B ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1 პანათინაიკოსი		11.11	100:80	96:69	4.11	16.12	5	0	415:328	10
2 თოფაში	59:64		9.12	67:71	18.11	76:66	3	2	362:350	8
3 ოლიმპია	18.11	87:92		73:63	16.12	11.11	3	2	399:408	8
4 რეალი	8.12	16.12	4.11		68:70	90:75	2	3	353:381	7
5 ულალგირისი	66:82	62:68	84:85	11.11		8.12	1	4	346:375	6
6 ალბა	54:73	4.11	69:74	18.11	80:64		1	4	344:377	6

C ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1 მაკაბი		73:61	4.11	18.11	84:62	89:74	4	1	396:341	9
2 ვილერბანი	16.12		18.11	84:71	100:58	4.11	3	2	380:340	8
3 ოლიმპიაკოსი	65:63	65:55		62:69	8.12	18.11	3	2	334:314	8
4 ვარეზე	79:87	9.12	16.12		3.11	82:86	2	3	384:392	7
5 პივოვარნა	11.11	17.11	63:56	73:83		16.12	2	3	334:391	7
6 ულქერი	9.12	73:80	64:86	11.11	68:78		1	4	365:415	6

D ჯგუფი	1	2	3	4	5	6	მ	წ	ბ	ქ
1 ფორტიტუდო		92:78	18.11	83:58	76:56	8.12	4	1	386:327	9
2 ციბონა	4.11		93:87	18.11	71:69	80:63	4	1	393:386	9
3 სან ფერნანდო	68:52	9.12		11.11	62:43	75:73	3	2	358:340	8
4 პო ორტეზი	15.12	75:82	79:74		8.12	3.11	2	3	348:376	7
5 ეფესი	10.11	15.12	4.11	69:65		73:67	2	3	318:341	7
6 ბუდუჩნოსტი	75:83	10.11	16.12	68:71	17.11		0	5	346:371	5

მსოფლიოს თასი

საფრანგეთის შავი ქარიშხალი დაატყდება

ჯანი დე ბეერი

მორაგბეთა მსოფლიოს თასის გათამაშება დასასრულს მიუახლოვდა. ოთხი მატჩიც და ტურნირი ისტორიის კუთვნილება გახდება. თუმცა სწორედ ეს ოთხი მატჩია ყველაზე საინტერესო. დღეს და ხვალ ნახევარფინალები გაიმართება. თვიქნემის სტადიონზე შეკრებილი მაყურებელი შაბათს სამხრეთ აფრიკა — ავსტრალიის დაპირისპირებას დაესწრება, კვირას კი ფრანგებისა და ახალზელანდიელებისას. ერთი მოგებაც და წინ ფინალია, მაგრამ ამის გაკეთება იოლი საქმე არავის ეგონოს. სამხრეთულ ჯახში ხომ გამოკვეთილი ფავორიტი არ არსებობს, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება ხელაღებით, „ოლ ბლექსი“ დაჩაგრავს საფრანგეთსო.

და მაინც, ვინ გავა ფინალში? თითოეულ გუნდს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს, მორაგბეები ყველაფერს გაიღებენ მიზნის მისაღწევად. მსოფლიოს თასის ნახევარფინალში ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

ახლა ცოტა დაწვრილებით თითოეულ მატჩზე:

ტანა უმაგა

სამხრეთ აფრიკა — ავსტრალია

30 ოქტომბერი, თვიქნემი

ეს გუნდები მსოფლიოს თასზე არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს. 1987 და 1991 წლებში აპარტეიდის გამო აფრიკელები ტურნირზე არ დაუშვეს, 1995 წელს კი მათი გზები მხოლოდ ფინალში შეიძლებოდა გადაკვეთილიყო, მაგრამ ავსტრალია მეოთხედფინალში დამარცხდა ინგლისთან_ისე კი წელი არ გავა „ჭურციკები“ და „ვოლაბები“ ორჯერ მაინც არ გაეჯიბრონ ერთურთს. ასე იყო ამ სეზონშიც. სამი ერის პირველობაზე ჩატარებული ორი მატჩიდან ერთი აფრიკელებმა მოიგეს, მეორე ავსტრალიელებმა. ნახევარფინალამდე გუნდები დიდი გაჭირვების გარეშე მივიდნენ. მთ (ერთად) ოთხივე ბრიტანული ნაკრების დამარცხება მოახერხეს — სამხრეთ აფრიკამ შოტლანდიას (ჯგუფში) და ინგლისს (მეოთხედფინალში) აჯობა, ავსტრალიამ კი — ირლანდიასა (ჯგუფში) და უელსს (მეოთხედფინალში).

მწვანე კონტინენტის ნაკრებს საკმაოდ ყურადღებამისაქცევი პრობლემა აქვს წინა ხაზში, რაც კარდიფში უელსთან შეხვედრაშიც გამოჩნდა. მისი გადაჭრა თუ ვერ მოხერხდა „ვოლაბებს“ ერთობ გაუჭირდებათ. რატომ? იმიტომ, რომ „ჭურციკების“ შერკინებამ ინგლისელებს ძალიან ბევრი თავსატეხი გაუჩინა, რაც ჯგუფური ტურნირის მატჩში ახალმა ზელანდიამაც კი ვერ შეძლო. ავსტრალიელთა მწვრთნელმა როდ მაკქუინმა ეს მომენტი აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. აბა, მასზე უკეთ ვინ იცის, რომ „ვოლაბები“ მაშინ მარცხდებიან, როცა მათ წინააღმდეგ მეტოქეები ჩაგრავენ. ხოლო მათ სამმეოთხედელებს სივრცე და კარგი პასები სჭირდებათ შედეგიანი იერიშების განსახორციელებლად.

ავსტრალიის შეტევები ინგლისისაზე გაცილებით მწვავე კი იქნება, მაგრამ „ჭურციკების“ დაცვაც სანაქებოა. მათი მწვრთნელი მთავარ ამოცანად მეტოქის მორკინლებისა და მე-9 და მე-10 ნომრების დაძაბულობის ქვეშ ყოლას თვლის. ავსტრალიელი გრეგანი თავისიანების თამაშს კარგად დირიჟორობს, მაგრამ მას ხანდახან პასის გასაკეთებლად ძალიან დიდი დრო სჭირდება; ლარკჰემი მშვენიერი დამრტყმელი კია, მაგრამ ხშირად სცოდავს ხოლმე თუ ვინმე ოდნავ მაინც უშლის ხელს. „ჭურციკები“ ამ ორს თუ თავისუფლად მოქმედების საშუალებას არ მისცემენ, რისი შესაძლებლობაც აქვთ, მაშინ ავსტრალიის შეტევებს სიმწვავე მოაკლდება.

თავად ავსტრალიელებს კი ძალიან გაუჭირდებათ დაცვაში, რადგან აფრიკელებმა თუ მორკინლებისა და სამმეოთხედელების ხარჯზე წინ ვერ წაიწიეს, ქულების მოგროვება ამ შემთხვევაშიც შეუძლიათ, რაც მეოთხედფინალშიც დაამტკიცეს. ისინი მცირე სივრცეს გამოუთავისუფლებენ თავიანთ სანაქებო მეარეკნეს ჯანი დე ბეერს და ისიც... ინგლისთან დე ბეერმა ხუთი არეკნი გაიტანა, რაც მსოფლიოს რეკორდია. ერთი სიტყვით, „ვოლაბების“ მთავარი თავსატეხი ოქროსფეხა დე ბეერი იქნება.

სავარაუდო შემადგენლობანი

სამხრეთ აფრიკა: მონტგომერი, კაიზერი, ფლეკი, მალერი, როსუ, დე ბეერი, ვან დერ ვესტჰოიზენი (კაპ.), სკინსტედი, ა. ვანტერი, ერასმუსი, ენდრიუსი, ოტო, ვიზაჟი, დრო�კე, დიუ რანდტი

ავსტრალია: ბარკი, ტუნი, ჰერბერტი, ჰორანი, როფი ლარკჰემი, გრეგანი, კეფუ, უილსონი, კოკეინი, ილსი (კაპ.), გიფინი, ბლეიდსი, ფოული, ჰარი

ჩვენი პროგნოზი: სამხრეთ აფრიკა 55% — ავსტრალია 45%

ახალი ზელანდია — საფრანგეთი

31 ოქტომბერი, თვიქნემი

სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს პირველი მსოფლიოს თასის ფინალში. მაშინ, ისევე როგორც ახლა, ფავორიტებად სამხრეთელები ითვლებოდნენ. ახალმა ზელანდიამ 1987 წელს პროგნოზები გაამართლა, ხოლო რას იზამს ახლა, ამას ხვალ ვნახავთ.

„ოლ ბლექსი“ ძალიან ძლიერია და ეს არაერთხელ დაუმტკიცებია. მას ზოგიერთები „შავ ტორნადოს“ ეძახიან, რომელიც თავის გზაზე ყველაფერს აღგვის პირისაგან მიწისა. ძალა, სისწრაფე და მტკიცე ნება — ამ სამი კომპონენტის შერწყმის შედეგადაა ჩამოყალიბებული „ოლ ბლექსი“, რომელიც მუდამ წინ მიიწევს, სანამ მოწინააღმდეგეს არ მოახრჩობს.

ბარიერის მეორე მხარეს კი დუელთა მიყვარული ფრანგები დგანან, რომლებიც ნახევარფინალში მოხვედრას იოლ ჯგუფსა და მეოთხედფინალში სუსტ მეტოქეს უნდა უმადლოდნენ. ფავორიტი ახალი ზელანდიაა და ინგლისელი ბუქმეიქერებსაც ასე მიაჩნიათ, მაგრამ თვით ფავორიტებს არ სურთ არხეინობა, რადგან ზელანდიელებს კარგი მეხსიერება აქვთ. მათი ფედერაციის პრეზიდენტი ენდი დელტონი 1979 წლის 14 ივლისს იხსენებს: „ის დღე ჩვენი რაგბისთვის შავი დღე იყო. მაშინდელი ვითარება თითქმის მსგავსი იყო დღევანდელისა. საშუალო დონის საფრანგეთის ნაკრებმა შეძლო ერთი დღით გარდაქმნილიყო და სენსაცია მოეხდინა“.

დელტონივით ფრ[illegible]ობს „ოლ ბლექსის“ ლეგენდარული [illegible]იტანი შონ ფითსპატრიქი, ვისაც მსოფლიოში ყველაზე მეტი კეპი მოუხვეჭია (90). მისი თქმით, ფრანგები ამ მატჩში განწირულებად კი ითვლებიან, მაგრამ მაინც ძალიან სახიფათონი არიანო. ისინი ყველაფრის შემძლენი, სწრაფები, ძლიერები და გამომგონებლები არიანო, დაამატა ფითსპატრიქმა.

ახალი ზელანდიის მთავარი ძალა ფრთის მოთამაშეები ჯონა ლომუ და ტანა უმაგა არიან. მათი შეჩერება თუ მოახერხეს „მამლებმა“, მაშინ წარმატებაზე ფიქრიც შეიძლება. ისე, „შავების“ ძირითადმა დამრტყმელმა ენდრიუ მერთენსმა თუ არ ითამაშა (ჯერჯერობით ეს საკითხი ისევ გაურკვეველია), მათი შეტევები ძლიერ სახიფათო ვერ იქნება, რაც მეოთხედფინალში შოტლანდიასთანაც გამოჩნდა. მაშინ მეორე ტაიმში უმერთენსო ახალი ზელანდია აირია და ნახევარი 5:15 დათმო. სამხრეთელთა კიდევ ერთი სუსტი წერტილი დერეფანია, რომელიც სკოტებმა ლამის პირწმინდად მოიგეს, თუმცა ეს შეიძლება წვიმასაც დაბრალდეს. ერთი სიტყვით, საფრანგეთის ნაკრებს, რომელიც თანდათანობით სულ უფრო და უფრო კარგად თამაშობს, მცირედი შანსი მაინც აქვს ფინალში გასვლისა.

სავარაუდო შემადგენლობანი

ახალი ზელანდია: უილსონი, უმაგა, კალენი, იერემია, ლომუ, მერთენსი ან ბრაუნი, კელეჰერი, რენდელი (კაპ.), კრონფელდი, ტორნი, ბრუკი, მაქსველი, დოუდი, ოლივერი, ჰოფტი

საფრანგეთი: გარბაჟოზა, ბერნასალი, დურთი, ნტამაკი, დომინისი, ლამეზონი, გალტიე, ჟუიე, მანი, მ. ლიევრემონი, ფელუ, ბენაზი, ტურნერი, იბანესი (კაპ.), სულეტი

ჩვენი პროგნოზი: ახალი ზელანდია 75% — საფრანგეთი 25%

გაიოზ თალაკვაძე

ოთხშაბათი
ფასი 1 ლარი
ზორდა ბ ფეხბურთელები

ზორდა: ბერიაშვილი, ჭელიძე, სულხანიშვილი, სორდია, ბურდული, ხაშიშვილი, ჯაფარაშვილი, მჭედლიშვილი, ჯანაშვილი, გამყრელიძე, სოზიაშვილი, პარასკევაშვილი, ჩაკვეტაძე, გელაშვილი, ვართანიანი

2ს — გამყრელიძე

უნივერსიტეტი: ალიბეგაშვილი, კუთარაშვილი, სანაძე, რატიანიძე, კობიაშვილი, მჭედლიშვილი (კოკაია), მუავანაძე, ლაბაძე, დანელია (თ. კიზირია), შოლღაშვილი, ჯაში, კიზირია, ჯირიკაშვილი, თავაძე, ჭუმბურიძე

1ლ — კიზირია, 1გ — თ. კიზირია

მსაჯი: ლ. მგელაძე

მეთვალყურე: გ. ჭუმბურიძე

ზორდას ცოდვა კიზირიმების კისერზეა

ცოტა ხნის წინ „ზორდა“ ოთხეულში მოსახვედრად იბრძოდა, მაგრამ მაშინ გუნდის შემადგენლობაც საკმაოდ ძლიერი ჰყავდა და რა გასაკვირია, რომ გადახალისებული „ზორდა“ დღეს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას ცდილობს. „უნივერსიტეტი“ კი ყველა გუნდისთვის უხერხული მეტოქეა. სტუდენტები უბრძოლველად არავისთან არაფერს თმობენ, რაც მათ გუშინ გამართულ მატჩშიც დაამტკიცეს.

პირველი ტაიმის საწყისი წუთები თანაბარ ბრძოლაში გაილია, მაგრამ თანდათანობით „ზორდას“ უპირატესობა გამოიკვეთა. ცხადია, ეს ანგარიშშიც აისახა და გამყრელიძის ორი ზუსტად შესრულებული საჯარიმოს წყალობით „ზორდა“ დაწინაურდა. სტუდენტებმაც რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს მეტოქეს, მაგრამ მათ შეტევებს სიზუსტე აკლდა. ტაიმის ბოლო წუთები მიმდინარეობდა, როდესაც აუტიდან მოწოდებული ბურთი „ზორდელმა“ სორდიამ ოსტატურად ჩაჭრა, მოწინააღმდეგის ნახევარი გადაკვეთა და თითქოს ლელოც უნდა გაეტანა, მაგრამ „უნივერსიტეტის“ მცველებმა აღარ დაანებეს. შესვენებისას სტუდენტთა მთავარმა მწვრთნელმა დავით კილასონიამ გუნდის თამაშში კორექტივები შეიტანა, რამაც საბოლოოდ შედეგი გამოიღო.

მატჩის მეორე ნახევარში „უნივერსიტეტმა“ ტემპს უმატა, ისინი უფრო ორგანიზებულად და, რაც მთავარია, გააზრებულად უტევდნენ მეტოქეს. იგრძნობოდა, რომ ლელო მწიფდებოდა და გავიდა კიდეც. კიზირიამ ძალისმიერ ორთაბრძოლაში დაჩაგრა მეტოქის მცველი და ვარდნაში ბურთი მოწინააღმდეგის სალელოე მოედანზე დადო. შეცვლაზე შესულმა მისმა თანაგუნდელმა და მოგვარემ თორნიკე კიზირიამ ზუსტად გარდასახა. ამის შემდეგ „ზორდა“ გააქტიურდა, მაგრამ სახიერო აქედან არაფერი გამოვიდა. „უნივერსიტეტმა“ მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა და ღირსეულ გამარჯვებას მიაღწია.

გაჩო სვანიძე

სტუ ისევ ფრთოსანია

საქართველოს ჩემპიონატი

წინა შაბათს საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა საუბოლეო, მე-10 ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო. პირველი ტურის შეხვედრები 27 ოქტომბერს დამთავრდა. პირველობა ოთხ ტურად გაიმართება. მეორე ტური 19-24 ნოებერს ისევ თბილისში ჩატარედება, დანარჩენი ორი კი — გაისად, გაზაფხულზე. ჩემპიონი ქულათა დაჯამებით გამოვლინდება და არა ძველებურად პლეი ოფით.

საუბლეო ჩემპიონატში ექვსი გუნდი ჩაება. აქედან ოთხი თბილისურია — ტექნიკური უნივერსიტეტის სტუ„მართვე“ (ყოფილი „სტუ-შევარდენი“), აგრარული უნივერსიტეტის „მამული“ საუ. ზოოვეტერინალური ინსტიტუტის „ზოოვეტი“ და ასკ. რეგიონებიდან მთ ბათუმის „მენავთობე“ და თელავის ასკ დაემატნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ტური სტუ„მართვეს“ უპირატესობით ჩატარდა. სახელშეცვლილმა სტუდენტებმა (კლუბმა ისურვა ასე) ყველა მატჩი მოიგეს. მეორე ადგილზე თბილისელი არმიელები გავიდნენ. ეტყობა, თავდაცვის სამინისტრო სერიოზულად დაინტერესდა ხელბურთით. ამას ისიც ადასტურებს,რომ მესამე ადგილი თელაველმა ჯარისკაცებმა დაიკავეს. თუ სამინისტროსა და სპორტკლუბ ასკ-ს ხელმძღვანელები ბოლომდე უერთგულებენ თავიანთ კლუბებს, მთლად უკეთესი. საფეხბურთო „არსენალის“ ბედი (უხელფასო ფეხბურთელებმა ლამის ჩემპიონატი მიატოვონ) ღმერთმა აშოროთ. საინტერესოა, რომ ერთ მატჩში ყველაზე მეტი გოლიც მათ გაიტანეს. თელაველებმა — 52, თბილისელებმა — 50. ორივემ საბრალო ვეტერინარები არ დაინდო. თუ სატურნირო ცხრილს ყურადღებით დავაკვირდებით, აგრონომთა მოულოდნელი ჩავარდნის გარდა იმასაც დავინახავთ, რომ ნაკრების ბირთვად ქცეულ ტექნიკოსთა თავდასხმა სულაც არ ბრწყინავს. სამაგიეროდ, დაცვა ყოჩაღობს. სატურნირო ვითარება კი ასეთია:

სტუ-მართვე	5	5	0	0	153:92	10
ასკ (თბ.)	5	4	0	1	183:125	8
ასკ (თელ.)	5	3	0	2	161:157	6
მენავთობე	5	2	0	3	176:179	4
მამული საუ	5	1	0	4	170:192	2
ზოოვეტი	5	0	0	5	130:228	0

3 ნოემბერს ქალთა ჩემპიონატიც დაიწყება. საქართველოს ხელბურთის ასოციაციაში ზუსტად ვერ გვითხრეს, რამდენი გუნდი ჩაებმება ტურნირში, რადგან განაცხადების მიღების ვადა ჯერ არ ამოწურულა.

ამ დღეებში ასოციაციამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა — რეალურად დააარსა ბავშვთა ლიგა. აქამდე ის მხოლოდ ქალაქზე არსებობდა, ახლა კი პირველი ტურიც ჩატარდა. მისი დაფუძნება ქართული ხელბურთის სამომავლო აღმავლობას გვპირდება.

როცა დიდების ჩემპიონატში ასე ცოტა გუნდი ასპარეზობს, ბავშვთა ლიგა მონაწილეთა სიმრავლეზე ვერც ოცნებობდა და ასეკაა. ბიჭებში, ორ ასაკობრივ ჯგუფში, სულ ექვსი გუნდი გამოდიოდა. ქუთაისისა და ფოთის კლუბების გარდა ყველა თბილისურია. თუმცა მეორე ტურიდან, რომელიც 10-15 ნოემბერს გაიმართება, მათ ბათუმელი და თელაველი მოზარდებიც დაემატებიან. გოგონებში მხოლოდ ორი (!) გუნდი ასპარეზობდა. რომ არა ფოთელთა მონდომება, თბილისელები უმეტოქეოდ დარჩებოდნენ.

ირაკლი თავაძე



ლენოქს ლუისი: გამიშვით, პარტია უნდა დავამთავრო!

ლენოქს ლუისმა ჭადრაკი აღმოაჩინა

ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ ლენოქს ლუის-ევანდერ ჰოლიფილდის მეორე ორთაბრძოლა, რომელიც საუკუნის ბოლო, ტიტულების გამაერთიანებელ ჩემპიონს გამოავლენს მძიმე წონაში.

ბრიტ ლუისსა და მის დიდ მწვრთნელს ემანუელ სტიუარდს პოკონოს მთებში დაუციათ ბანაკი და ვარჯიშის ადრევე შედგენილ პროგრამას მისდევენ. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მწვრთნელსა და მოკრივეს შორის ერთგვარი წინააღმდეგობაც ყოფილა: სტიუარდი შეფოთავს, რომ ლენოქსი ძალიან დიდ დროს უთმობს ჭადრაკის თამაშს. — ზოგჯერ მგონია, რომ ვარჯიშიც ფეხებზე ჰკიდია — ამბობს მწვრთნელი.

მისი აზრით, ჭადრაკზე ტვინის მომართვა სულაც არ უწყობს ხელს საკრივო ვარჯიშებს, ანუ ჭადრაკი საზიანოა კრივისთვისო. ლენოქსი რბილი ხასიათის კაცია, ამიტომაც იყო, რომ ჰოლიფილდთან პირველ შეხვედრაში შესაძლებლობების მხოლოდ 70 პროცენტი გამოავლინა და ამიტომაც, ის ბრძოლა ფრედ გამოუცხადესო.

თავად ლუისი კი, რომელიც ალბათ ყველაზე მძიმე და მაღალი (113 კგ, 195 სმ) მოჭადრაკეა მსოფლიოში, არ იზიარებს მწვრთნელის შეშფოთებას და აცხადებს:

„ჩემი განწყობა ტყუილად აღელვებთ. ტრაბახა არასოდეს ვყოფილვარ. მეზიზღება, როცა ამბობენ, გავალ და ნოკაუტში ჩავაგდებო. ამის თქმა ყველას შეუძლია, გაკეთება ცოტას. მე მოგება მინდა, ვგრძნობ, რომ შემიძლია და ღრიალს ხომ არ დავიწყებ? ჭადრაკი კი გონებას ავარჯიშებს. მე ძალიან მჭირდება გახსნილი გონება. სხვა რა ვთქვა? ჰოლიფილდი ოცნებების ტყვეობაშია და შევეცდები გამოვაფხიზლო“.

ბრძოლა 13 ნოემბერსაა.

ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲮᲐᲩᲐᲢᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

შენც, ოსკარ?!

ᲝᲭᲠᲝᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲖᲔ ᲣᲫᲐᲚᲐᲓᲘᲐ



დე ლა ჰოიამ პირში წყალი ჩაიგუბა

ᲛᲐᲘᲙ ᲢᲐᲘᲡᲝᲜᲘ რომ ციხეში ჩაგდებინა მავანმა დეზირე ვაშინგტონმა, აქაოდა სასტუმროს ნომერში შემიტყუა ღამის სამ საათზე, „სპალნაში“ შევედი, გავიხადე და მერე გამაუპატიურაო, ეს არაკი სხვასაც მოსწონებია. პრესისთვის ერთი უცნობი, 18 წლის გოგო გამოჩენილა კალიფორნიაში და სასამართლოში უჩივლია, სამი წლის წინათ მექსიკურ სასტუმროში განთქმულმა მოკრივემ ოსკარ დე ლა ჰოიამ ჩემზე ძალა იხმარაო.

დე ლა ჰოია ყველაზე წესიერ მოკრივედაა ცნობილი. „ოქროს ბიჭს“ ეძახიან და საზოგადოებასაც უყვარს, ძლივს ნორმალური ვინმე გამოჩნდა რინგზეო. ლოს ანჯელესის სასამართლოში მისულმა ჩვენებაზე უარი თქვა, პირადი ცხოვრებისას არაფერს მოვყვებიო. მოსამართლემაც კვერი დაუკრა, ამის სრული უფლება გაქვსო. მოსალოდნელ საქმის გარჩევაზე მხოლოდ ოსკარის ვექილი ილაპარაკებს.

რა მოხდა სინამდვილეში, სასამართლო გვეტყვის. ისე, ჩვენ ოსკარისა უფრო გვჯერა, ვიდრე იმ გოგოსი.

შტუტგარტში კბილებს ილესავენ



REUTERS შტუტგარტიდან

გრეგ რუზეცკი

ტომი ჰაასი

შტუტგარტი. გერმანია. EUROCARD OPEN. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო ქანრი 2,45 მილიონი $

ხუთშაბათს „ევროქარდის“ ღია პირველობიდან უკანასკნელი გერმანელი — ტომი ჰაასიც გავარდა, მასპინძელთა ცოდვა დარბაზებში თამაშის დიდოსტატმა გრეგ რუზეცკიმ (5) დაიდო.

21 წლის ჰაასს ყველაზე დიდ სიამოვნებას ცხოვრებაში თავისი წითელი „ფერარით“ ავტობანზე ქროლა და ზებგერითი თვითმფრინავის საჭესთან ჯდომა ანიჭებს, მაგრამ რუზეცკის მსოფლიოში უსწრაფესი მოწოდების დახვედრა რატომღაც ენთუზიაზმით არ განაწყობს-ხოლმე.

ინგლისელმა ავსტრიაში მცხოვრებ, ამერიკაში გაზრდილ ჰაასს რამდენიმე კვირის წინ „დიდი სლემის თასის“ ფინალში აჯობა და ნახევარი მილიონი დოლარი დააკარგვინა, ამჯერად კი კიდევ ერთხელ შეარცხვინა თავისიანების წინაშე.

მთელი პირველი სეტის მანძილზე გერმანელმა ერთი ქულაც ვერ მიითვალა მეტოქის მოწოდებაზე, თავად კი რუზეცკისთვის ფეხის ასაწყობად ცხრაპირი ტყავი გაძვრა. ჰაასმა ჯერ ხუთი ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა, მერე კიდევ ექვსი, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ისიც ვერას გახდა და 4:5-ზე სეტი ინგლისელს გადაულოცა.

მეორე ხელმა შედარებით თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, თუმცა გამარჯვებულის ბედი ეჭვს წამითაც არ იწვევდა: რუზეცკიმ საათზე ოდნავ მეტში 6:4, 6:3 მოიგო.

„როდესაც მთელი სეტის განმავლობაში ერთ ქულასაც არ წააგებ საკუთარ მოწოდებაზე, თავს, რა თქმა უნდა, კარგად იგრძნობ. მეც კმაყოფილი ვარ საკუთარი თამაშით“ — აღნიშნა მატჩის შემდეგ რუზეცკიმ, რომელსაც წლეულსაც და შარშანაც საუკეთესო მაჩვენებლები აქვს ATP ტურის ჩოგბურთელთა შორის დარბაზის ტურნირებზე.

ამას, გრეგის აზრით, ტყვიასავით მოწოდების გარდა სხვა ახსნაც მოეძებნება: „ტრადიციად მექცა, რომ ყოველ ზაფხულს ორი თვე მაინც უნდა გამოვტოვო ტრავმის გამო, ამიტომ წლის ამ დროისთვის, როდესაც ბევრი ჭერქვეშა პირველობა იმართება, სხვებთან შედარებით უფრო დასვენებული ვარ. თუმცა გაისად ვეცდები, აღარაფერი ვიტკინო და ამის ნაცვლად უიმბლდონი ან აშშ-ის ღია პირველობა მოვიგო.“

შტუტგარტსა და მომავალ კვირაში პარიზში გასამართ მერსედეს სუპერ 9-ის სერიის უკანასკნელ ტურნირზე თითქმის საბოლოოდ გაირკვევა ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურთა ბედი. ამჟამად რუზეცკი სიაში მეცამეტეა, ჰაასი — მეცხრე, თუმცა ამ უკანასკნელმა ამ მეტად პრესტიჟულ პირველობაზე მოსახვედრად ბრძოლას იქნებ თავიც დაანებოს.

„ძალიან დაღლილი ვარ, თანაც ეს რამდენიმე დღეა, სურდოსაც ვებრძვი. შეიძლება პარიზსა და სტოკჰოლმში აღარც ვითამაშო და ნოემბერ-დეკემბერში დავისვენო“ — განაცხადა გერმანელმა, რომელმაც რუზეცკი „დარბაზში საუკეთესოს“ ტიტულითაც შეამკო.

ახლა ინგლისელს მეოთხედფინალში მეტად პრინციპული შეხვედრა ელის მსოფლიოს მეოთხე ჩოგან ტოდ მარტინთან. ერთი თვის წინ აშშ-ის ღია პირველობის მერვედფინალში რუზეცკის ერთი-ნაბიჯი აკლდა მარტინის დამარცხებამდე (პირველ-მეორე სეტი მოიგო, მეხუთეში 4:1-ით დაწინაურდა), როდესაც უაზროდ განერვიულდა, ბავშვური შეცდომები დაუშვა და წაგების შემდეგ ცრემლები ველარ შეიკავა.

„ასეთი რამ ხუთ წელიწადში ერთხელ შეიძლება მოგვიდეს. იმედი მაქვს, მსგავსი კარგა ხანს აღარ განმეორდება. ის მატჩი ტოდთან აუცილებლად უნდა მომეგო, მაგრამ ტრავმის შემდეგ ბოლომდე გამოჯანმრთელებულიც არ ვიყავი. ახლა შურისძიების შანსი მეძლევა და მოგება ძალიან გამახარებს“ — არ დაუმალავს ინგლისელს.

მარტინს, რომელსაც იმ შეხვედრაში საყნოსი მარილები დასჭირდა ფინიშამდე რომ მიეღწია, მერვედფინალში ასევე არ გასჭირვებია. თავის მხრივ მანაც შური იძია: ვენის ტურნირზე დამარცხებისთვის ჩეხ ირჟი ნოვაკს სამაგიერო 6:2, 6:4-ით გადაუხადა.

„რუზეცკისთან მძიმე შეხვედრა მელის. ეს მისთვის ყველაზე ხელსაყრელი საფარია და ტრადიციულად სწორედ სეზონის ამ მონაკვეთში თამაშობს კარგად“ — აღნიშნა მარტინმა.

მერვედფინალებიდან საუკეთესო რიგით უკანასკნელი შეხვედრა გამოდგა ტურნირის შარშანდელ ჩემპიონ რიჩარდ კრაიჩეკსა (8) და ესპანელ ალექს კორეტხას (9) შორის.

წლეულს ათასგვარი ტრავმით გატანჯულ, მოთიხნარე კორეტხას თითქოს დიდი წინააღმდეგობა ვერ უნდა გაეწია ზორბა ჰოლანდიელისთვის, მაგრამ თითქმის ყველა ლამაზი გათამაშება და მატჩის დროს ხმამაღალი აპლოდისმენტები სწორედ ესპანელის დამსახურება გახლდათ.

შესანიშნავი შემოვლებულებითა და რისკიანი დარტყმებით კორეტხამ კრაიჩეკის ეისებიც დაჩრდილა და მიუხედავად იმისა, რომ ორ ტაი-ბრეიკზე ნაკლებ იღბლიანი გამოდგა, ცხვირის ჩამოშვება ნამდვილად არ მართებს — 7:6 (7:4), 7:6 (7:5) ჰოლანდიელის სასარგებლოდ.

ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ: ᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲒᲐᲡᲘ (1, აშშ) — **ᲡᲮᲔᲜᲒ ᲨᲐᲚᲙᲕᲘᲜ (ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ) 6:4, 6:2; ᲢᲝᲛᲐᲡ ᲔᲜᲙᲕᲘᲡᲢᲘ (13, ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ) — ᲒᲣᲡᲢᲐᲕᲝ ᲙᲣᲠᲢᲔᲜᲘ (4, ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ) 6:4, 5:7, 6:4; ᲛᲐᲠᲡᲔᲚᲝ ᲠᲘᲝᲡᲘ (6, ᲩᲘᲚᲔ) — ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲡ ᲚᲐᲞᲔᲜᲢᲘ (12, ᲔᲥᲕᲐᲓᲝᲠᲘ) 6:4, 6:3; ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲝ ᲖᲐᲑᲐᲚᲔᲢᲐ (ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ) — ᲛᲐᲒᲜᲣᲡ ᲜᲝᲠᲛᲐᲜᲘ (16, ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ) 6:3, 6:4; ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲞᲐᲕᲔᲚᲘ (ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ) — ᲓᲐᲜᲘᲔᲚ ᲕᲐᲪᲔᲙᲘ (ᲩᲔᲮᲔᲗᲘ) 6:4, 7:5.**

ლინცი. ავსტრია. „ჯენერალი ოუფენ“. დარბაზი, ჰარდი. საპრიზო 520 ათასი $

ანა კურნიკოვას სამთვიანი შესვენების შემდეგ პირველი ტურნირი მაინცდამაინც არ გაგრძელებია: 18 წლის რუსი მერვედფინალიდან გამოეთიშა ასპარეზობას.

ფეხის ძვლის გაბზარვის გამო კურნიკოვას აგვისტოდან მოყოლებული არსად ეთამაშა და ავსტრიულ ტურნირზეც საუკეთესო ფორმაში აშკარად არ იყო. თუმცა ირინა სპირლეასთან მისი შეხვედრა იმდენად უცნაურად წარიმართა, ახსნას ვერაფრით მოუძებნი.

პირველი სეტი 25 წუთში რუმინელმა მოიგო — 6:0. მეორე ხელი სულ რაღაც 18 წუთში დასრულდა, ისიც 6:0, ოღონდ ამჯერად რუსის სასარგებლოდ. თითქოს ეს საკმარისი არ იყო, სიტუაცია კიდევ ერთხელ შეიცვალა რადიკალურად და გადამწყვეტმა ხელმა უკვე სპირლეას დიდი უპირატესობით ჩაიარა. საბოლოოდ საოცარი შედეგი დაფიქსირდა: 6:0, 0:6, 6:1.

„დარტყმები დღეს უკეთ გამომდიოდა, მაგრამ კონცენტრაცია და სისწრაფე ჯერაც არ არის ძველ დონეზე. არ დაგავიწყდეთ, ეს მხოლოდ მეორე მატჩი იყო ჩემთვის დიდი შესვენების შემდეგ“ — განუცხადა კურნიკოვამ ჟურნალისტებს.

მოწაფე რუსის ახალმა მწვრთნელმა, ცნობილმა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ერიკ ვან ჰარპენმაც დაიცვა: „ჩვენ ბევრს არც ველოდით ამ ტურნირიდან. ანა ბოლომდე იანვარში, ავსტრალიის ღია პირველობისთვის თუ გამოჯანმრთელდება. მას დღესაც ექიმის დახმარება და მასაჟი დასჭირდა ფეხზე.“

ყველაზე დიდი მოულოდნელობა მეორე წრეში მეორედ განთესილი ბარბარა შეტის მარცხი იყო. ავსტრიელმა ტურნირზე კვალიფიკაციის გავლით მოხვედრილ დენიზა ხლადკოვასთან წაგო 3:6, 6:7 (4:7).

„უბრალოდ, დავიღალე და მოსკოვის ტურნირის შემდეგ განსხვავებულ საფარს ვერ შევეჩვიე. მსოფლიოს მეორე ჩოგანი ვერასოდეს გავხდებოდი, სულ ასე რომ ვთამაშობდე“ — თავი იმართლა შეტმა, რომლის გვარი ინგლისურად არცთუ სასიამოვნო რაიმეს ნიშნავს.

ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ: ᲛᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲡᲘ (1, ᲐᲨᲨ) — **ᲡᲘᲚᲕᲘᲐ ᲞᲚᲘᲩᲙᲝ (ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ) 7:6 (8:6), 6:2; ᲜᲐᲢᲐᲚᲘ ᲢᲝᲖᲘᲐ (3, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) — ᲐᲛᲜᲓᲐ ᲰᲝᲛᲜᲘᲡᲘ (ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ) 7:5, 6:2; ᲐᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲠᲔᲡᲛᲝ (4, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) — ᲞᲐᲢᲘ ᲨᲜᲘᲓᲔᲠᲘ (ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ) 6:2, 6:2; ᲡᲐᲜᲓᲠᲘᲜ ᲢᲔᲢᲘᲣ (5, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) — ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲙᲚᲔᲘᲜᲝᲕᲐ (ᲩᲔᲮᲔᲗᲘ) 6:3, 7:5.**

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

F1

XVI შრბაში **იაპონიის დიდი პრიზი**

სუძუკა

სუძუკა, 30 ლტომბერი



ტრასის სიგრძე ..... **5.86 კმ**
რბოლის დისტანცია ..... **53 წრე — 310.58 კმ**

რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 08.00 საათზე

შარშანდელი შედეგები

ჰაკინენი (მაკლარენი), ირვინი (ფერარი), კულჰარდი (მაკლარენი), ჰილი (ჯორდანი), ფრენცენი (უილიამსი), ვილნევი (უილიამსი)

წინა წლების პრიზიორები

1993 — სენა (მაკლარენი), პროსტი (უილიამსი), ჰაკინენი (მაკლარენი); 1994 — ჰილი (უილიამსი), მ. შუმახერი (ბენეტონი), ალეზი (ფერარი); 1995 — მ. შუმახერი (ბენეტონი), ჰაკინენი (მაკლარენი), ჰერბერტი (ბენეტონი); 1996 — ჰილი (უილიამსი), მ. შუმახერი (ფერარი), ჰაკინენი (მაკლარენი); 1997 — მ. შუმახერი (ფერარი), ფრენცენი (უილიამსი), ირვინი (ფერარი)

რეკორდები

ტრასის რეკორდი ..... **ფრენცენი 1:38.942 (უილიამსი, 1997)**

საუკუნის რბოლა

გასულ კვირას დასრულებული მალაიზიური სკანდალის შედეგებმა ლამის ერთიანად გაზარდა ინტერესი ჩემპიონატის ბოლო რბოლისადმი. იაპონური ეტაპის ორგანიზატორები უკეთეს რეკლამას ვერც ინატრებდნენ: სააპელაციო სასამართლოს მიერ „ფერარის“ ამნისტიამ, ანუ „სეპანგის“ ავტოდრომზე ჩამორთმეული 16 ქულის დაბრუნებამ წლევანდელ პირველობას საჩემპიონო ინტრიგა შეუნარჩუნა და ხვალ „სუძუკაზე“ 150 000-მაყურებლიანი ანშლაგიც გარანტირებულია. არადა, საწინააღმდეგო ვერდიქტის შემთხვევაში — მიკა ჰაკინენის ქაღალდზე გაჩემპიონებით 50-ე სეზონი სამარცხვინოდ ჩაფლავდებოდა და ყოველგვარ ინტერესს მოკლებული იაპონიის დიდი პრიზი, ალბათ, უმაყურებლოდ და „უფერაროდ“ ჩაივლიდა, რადგან „ფორმულის“ ყველაზე სახელოვანი გუნდი „სამეფო რბოლების“ სრული ბოიკოტით იმუქრებოდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ჩემპიონად გამოცხადებულმა ჰაკინენმა თავი ღირსეულად დაიჭირა და არაერთხელ კაცურადაც განაცხადა — რას ერჩით „ფერარებს“, მათ რბოლა სუფთად და პატიოსნად მომიგესო. მიკა ხვალინდელ ბრძოლას მოუთმენლად ელის და პირველობის დიდი იმედიც აქვს. მას უშუალოდ ტრასაზე მოპოვებული ჩემპიონობა სურს და არა კონკურენტების მიერ „ჩაშვებული“ მეტოქის მოკვეთით გამარჯვება.

სატურნირო სიტუაციიდან გამომდინარე, რაკი ჰაკინენი ოთხი ქულით ჩამორჩება ედი ირვინს, სწორედ მიკამ უნდა აირჩიოს ბრძოლის აგრესიული ტაქტიკა და მოგებას ეცადოს — ამ შემთხვევაში იგი ორგზის ჩემპიონი გახდება. ირვინს კი ხელს აძლევს მხოლოდ ასეთი შედეგი — სამ ქულაზე მეტი არ წააგოს მდევართან.

ხვალინდელი სიუჟეტი, ანუ ის, რომ ჩემპიონს ბოლო რბოლა დაასახელებს, 21-ეა ფორმულის ისტორიაში. სხვათა შორის, შარშანდელი პირველობის ბელიც სწორედ „სუძუკაზე“ გადაწყდა. მაშინ ჰაკინენი თავად უსწრებდა ოთხი ქულით მიხაელ შუმახერს და გერმანელ პილოტსაც მეტი რაღა დარჩენოდა, თავქუდმოგლეჯილი მიქროდა ფინიშისკენ, მაგრამ 31-ე წრეზე მის „ფერარის“ საბურავი გაუსკდა და სამგზის ჩემპიონობაც ოცნებადღა დარჩა.

იაპონიის ხვალინდელი დიდი პრიზი მე-15 იქნება. პირველად კი 1976 წელს გათამაშდა. ის სადებიუტო რბოლა „მაუნტ ფუჯის“ ავტოდრომზე ამერიკელმა მარიო ანდრეტიმ მოიგო „ლოტუსით“. მომდევნო წელს იმავე ტრასაზე ჯილ ვილნევის „ფერარისა“ და რონი პეტერსონის „ტირელის“ ავარიამ ორი მაყურებლის სიცოცხლე შეიწირა. ამის შემდეგ იაპონაში ფორმულის რბოლები 10 წელი აღარ გამართულა და მხოლოდ 1987 წელს განახლდა კუნძულ ჰონსიუზე ახალ აგებულ „სუძუკაზე“.

საინტერესოა, რომ იაპონური ეტაპის მოგება ზედიზედ ორჯერ ვერავინ შეძლო. ვნახოთ, მოახერხებს თუ არა ჰაკინენი ამ ტრადიციის დარღვევას.

ისე, „მაკლარენის“ პილოტებმა იაპონიაში ხუთჯერ მიაღწიეს წარმატებას, „ფერარის“ ანგარიშზე კი მხოლოდ ორი დიდი პრიზია. „სუძუკაზე“ ორ-ორი გაუმარჯვიათ გერჰარდ ბერგერს, აირტონ სენას, დეიმონ ჰილსა და მიხაელ შუმახერს.

ხვალ „ფერარის“ ბრწყინვალე შანსი აქვს ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭიროს — პირადშიც და გუნდურ ჩათვლაშიც ჩემპიონობას დაეუფლოს. კონსტრუქტორთა თასი სისხლისფერ ბედაურებს 16 წელია, ვეღარ მოუგიათ, პირადი პირველობა კი უფრო მეტი — ზუსტად 20 წელი.

ირაკლი ნიკოლაძე

REUTERS სუძუკიდან

მიკა ჰაკინენი და ედი ირვინი: ხელის ჩამორთმევა, რომელიც ხელის გადაწევას უფრო ჰგავს

მოახლოებულ ზამთარს თხილამურებიც მოჰყვა

დღეს საფრანგეთში ტინესის მთაზე იწყება მსოფლიოს თასის გათამაშება ყველაზე ლამაზსა და სუფთა სახეობაში — სამთო სათხილამურო სპორტში. წლევანდელი გათამაშების კალენდარში ორგანიზატორებმა კორეის ჩართვით სიურპრიზი შესთავაზეს ზამთრის სახეობების მოყვარულთ. თვით სპატიო ჯილდოსთვის პაექრობა კი გამორჩეულად საინტერესო უნდა გამოდგეს. მსოფლიოს თასის შარშანდელ მფლობელს ნორვეგიელ ლასე კოუსს ოლიმპიური ჩემპიონისა და ამავე თასის ადრინდელი პატრონის ავსტრიელი ჰერმან მაიერის, მეტსახელად ჰერმინატორის მხრიდან მძლავრი შეტევების მოგერიება მოუწევს. სავარაუდოა, რომ ამ დუელს კიდევ ერთი ნორვეგიელი კეიტ ამოდტიც გაუწევს მეტოქეობას. საინტერესო უნდა გამოდგეს ქალების ასპარეზობაც. ავსტრიელი ალექსანდრა მაიზიცერი შეეცდება, თასი უკანვე, სამშობლოში გააბრუნოს. მის სავარაუდო მოწინააღმდეგედ უწინარეს ყოვლისა, შვედ პერნილა ვიბერგს ასახელებენ.

დღეს თბილისის დროით 13 საათზე ქალები გიგანტურ სლალომში შეეჯიბრებიან ერთმანეთს, ხვალ კი ამავე დროს და ამავე სახეობაში კაცები აასისინებენ თხილამურებს.

ირაკლი ბერიაშვილი

დათვების ჯოკერი: ანდრეიჩუკის პოკერი

28 ოქტომბერი

ბოსტონი — ტამპა 7:3

4:1 1:2 2:0

1:0 ანდრეიჩუკი 4'16 (6); 2:0 ბურკი 9'54 (3); 3:0 ანდრეიჩუკი 11'09 (7); 4:0 ტორნტონი 11'31 (2); 4:1 იუჰ ასონი 17'44 (1); 4:2 ლეკავალიე 25'43 (3); 4:3 დრულია 33'52 (3); 5:3 ანდრეიჩუი 34'13 (8); 6:3 ანდრეიჩუკი 46'19 (9); 7:3 ჰაინეი 47'37 (3)

ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სტარტზე ბოსტონის გაჭიანურებული უიღბლობა (ხუმრობა ხომ არ არის — გუნდმა ზედიზედ 9 მატჩი ვერ მოიგო) სულაც არ იყო მეკარეთა სუსტი თამაშის ბრალი. გაფიცული ბაირონ დაფოს არყოფნაში მისი შემცვლელები — რობ ტალასი და ახალბედა ჯონ გრეში არცთუ ურიგოდ ართმევდნენ თავს საქმეს. „დათვებს“ პრობლემები თავდასხმაში ჰქონდათ და როგორც კი მათი წინა ხაზი ათამაშდა, წარმატებებიც თავისთავად მოვიდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი დეი[illegible]რეიჩ[illegible]ია. 35 წლის ვეტერანი ლიგის ერთ-ერ[illegible] ყველაზე შედეგიანი მარცხენა გარემარბია მის ისტორიაში. ანდრეიჩუკმა მკვეთრად გაზარდა გუნდის შედეგიანობა და რაც დრო გადის, სულ უფრო უკეთ ირჯება. ტამპასთან შეხვედრა კი მის ბენეფისად იქცა. პირველივე პერიოდში ბოსტონელთა მიერ გატანილი 4 გოლიდან (მანამდე „დათვებს“ მატჩში 3 შაიბაზე მეტი არ გაეტანათ) 2 მიითვალა, მერე კი, როცა ტამპელებმა ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს, ორიც შეაგდო და ყველაფერს ნათელი მოჰფინა. საბოლოოდ ანდრეიჩუკმა, პირველად სეზონში, ხოლო მესამედ კარიერაში, პოკერი მიითვალა და 541 შაიბით ნჰლ-ის ბომბარდირთა სიაში მე-18 ადგილზე აღზევდა. სახელოვანმა მცველმა რეი ბურკმა 4 (1+3) ქულა მიითვალა.



REUTERS ლოს ანჯელესიდან

აგერ უკვე ზედიზედ მეშვიდე მატჩია, პიტსბურგელი იარომირ იაგრი გოლის გამტანის ამ სასიამოვნო რიტუალს ასრულებს

ოტავა — კალგარი 3:4

2:0 1:2 0:1 0:1

1:0 რუა 13'33 (2); 2:0 არვედსონი 17'51 (3); 2:1 ჰაუსლი 26'15 (1); 2:2 შანეი 26'51 (1); 3:2 ბონკი 35'33 (4); 3:3 ბურე 51'53 (9); 3:4 შანეი 63'07 (2)

წლევანდელი სიახლე — ოვერტაიმის ახალი ფორმულა — კალგარისთვის ზედგამოჭრილი გამოდგა. 64-ე წუთზე მატჩის გმირის, ვალერი ბურეს (1+3) უზუსტესი გადაცემის შემდეგ ჯეფ შანეცმა შაიბა ოტაველ მეკარე რონ ტავნატს ფეხებშუა გაუძვრინა და „ალებს“ დამატებით დროში წლეულს მეხუთედ მოაგებინა. კალგარის გოლკიპერმა გრანტ ფიურმა კარიერაში 401-ე გამარჯვება იზეიმა და შეუერთდა 5 მეკარეს (მათგან მოქმ[illegible] მხოლოდ კოლორადოელი პატრიკ რუა გახლ[illegible] რომლებიც 400-ზე მეტ მოგებას ითვლიან.

სან ხოსე — ნეშვილი 3:2

1:0 1:0 1:2

1:0 სუნდსტრიომი 4'21 (2); 2:0 სუნდსტრიომი 33'27 (3); 2:1 ჩელბერგი 48'26 (3); 3:1 ნოლანი 50'27 (9); 3:2 კრივოკრასოვი 54'39 (4)

ნეშვილი ჯერ მეორე წელია ლიგაში, ის კი თანდათან ანგარიშგასაწევი ძალა ხდება. ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა „მტაცებელთა“ წინააღმდეგობა ძლივს გატეხა. აღსანიშნავია, რომ ამ თამაშამდე ნეშვილმა სამჯერ მოიგო და თავის ისტორიაში პირველად გადალახა ქულათა 50-პროცენტიანი ზღვარი.

ვანკუვერი — ფინიქსი 1:4

0:1 0:1 1:2

0:1 რენიკი 11'01 (4); 0:2 რენიკი 39'00 (5); 0:3 ნუმინენი 46'16 (1); 0:4 ნუმინენი 48'59 (2); 1:4 მავოლტი 59'59 (2)

ვანკუვერი ცუდ დღეშია. ტრავმირებული ძირითადი მეკარის, გარტ სნოუს ნაცვლად აგერ უკვე მერვე თამაშში მოასპარეზე შავკანიანმა კევინ უიკსმა, რომელიც მანამდე ჩინებულად ირჯებოდა, მატჩის მეხუთე წუთზევე ტრავმა მიიღო, რის გამოც „კენაქსი“ გამოუცდელი ალფი მიშოს იმედზე დარჩა. ამიტომაც ფინიქსმა იოლად მოიგო. თანაც ჯერემი რენიკმა და მცველმა ტეპო ნუმინენმა სხვა მატჩებში გამორჩეულ მოთამაშეებს მიბაძეს და შესაბამისად 4 (2+2) და 3 (2+1) ქულა მიითვალეს.

ლოს ანჯელესი — პიტსბურგი 5:3

0:1 1:1 4:1

0:1 იაგრი 0'72 (8); 0:2 სლეინი 23'0; (1); 1:2 ოდეტი 31'26 (5); 2:2 ოდონელი 47'21 (1); 3:2 რობიტაილი 49'44 (10); 4:2 მიურეი 49'55 (4); 4:3 ტიტოვი 59'4№ (2); 5:3 სმოლინსკი 59'57 (4)

იაგრი კვლავ შეუჩერებელი იყო. ჩეხმა სუპერფორვარდმა, რომელიც მანამდე ჩატარებულ მატჩებში საშუალოდ 2 ქულას აგროვებდა, ამჯერად თავის გეგმასაც კი გადააჭარბა, ორი ჰასი დაამატა. თუმც მისი ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა. მესამე პერიოდში მასპინძლების სამწუთიანმა აფეთქებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მესამე და მეოთხე შაიბა „მეფეებმა“ 11-წამიან ინტერვალში შეაგდეს. ლუკ რობიტაილი სნაიპერთა შორის პირველ ადგილზე მყოფ მონრეალელ ბრაიან სავაჟს შეუერთდა.

ფილადელფია — კოლორადო 5:4

1:0 2:0 1:4 1:0

1:0 რენბერგი 1'12 (2); 2:0 რეკი 34'12 (5); 3:0 დეჟარდენი 39'59 (3); 4:0 კრეიგი 42'08 (1); 4:1 ტანგეი 45'20 (4); 4:2 ტანგეი 48'33 (5); 4:3 ჰეიდუკი 52'16 (7); 4:4 ჰეიდუკი 53'29 (8); 5:4 ზელეპუკინი 64'51 (4)

მატჩი ერთობ საინტერესო გამოდგა. მასპინძლებმა იმდენი მოახერხეს, რომ ძირითადი დროის ბოლო 15 წუთში 4-შაიბიანი უპირატესობა ქარს გაატანეს, მაგრამ დამატებით დროში მაინც იმარჯვეს, თანაც ოვერტაიმის ახალი წესის მოწინააღმდეგეებიც დაადუმეს — არასრული 5 წუთის განმავლობაში „მფრინავებმა“ ისე შეავიწროვეს მეტოქე, რომ 8-ჯერ (!) შეაწუხეს მეკარე მარკ დენისი და საბოლოოდ მაინც მიაღწიეს თავისას. შეუძლოდ მყოფი ერიკ ლინდროსის არყოფნაში კვლავ მარკ რეკიმ (1+2) იყოჩაღა.

საბველ ღარიბიანი

გერმანია

X ტური

ვერდერი 2:1 ჰანზა

1:0 პიზარო (4), 1:1 ვაილანდტი (74 პ), 2:1 აილტონი (85)

არმინია 1:1 აინტრახტი

1:0 ბაგერი (56), 1:1 გუე-მიენი (90)

II ბუნდესლიგა. X ტური

ვალდჰოფი 4:3 კიკერსი

ნიურნბერგი 2:2 ზანქტ პაული

მაინცი 0:0 კიოლნი

საფრანგეთი

XIII ტური

სედანი 2:0 ლიონი

1:0 ნდიეფი (21), 2:0 დებლოკი (90)

ნანტი 0:3 მონაკო

0:1 სიმონე (10), 0:2 ტრეზეგე (63), 0:3 ჟიული (87)

ჩეხეთი

XII ტური

ბრნო 1:2 ჰ. კრალოვე

ავსტრია

რაპიდი 3:0 ლინცერი

თურქეთი

გალათასარაი 2:0 გიოზთეფე

იტალია

სერია B. IX ტური

კოზენცა 0:0 ემპოლი

ჰოლანდია

აიაქსი 1:2 როდა

ჯარის ჰოლო

პაკისტანში სამხედრო გადატრიალება მოხდა, მაგრამ კრიკეტისა და პოლოს სიყვარული არ განელებულა, მით უმეტეს, რომ ჯარის მეთორმეტე ჩემპიონატის ფინალიც გაიმართა მულტანისა და რავალპინდის პოლკების გუნდებსაც შორის. ამ სურათის შუაგულზე ალბეჭდილმა მულტანმულმა ლეიტენანტმა აჰმედ სანმა სამი გოლი გაუტანა რავალპინდელებს პინდის სადოლო მინდორზე თამაშისას, მაგრამ ფინალი მაინც რავალპადელებმა მოიგეს 6:4. აქვე გაგიმხელთ, რომ პინდის სადოლო მინდორი რავალპინდიში ძევს.

REUTERS რავალპადიდან

მეგოლფეს გლოვობენ

REUTERS ჰიუსტონიდან

წინა კვირაში ავიაკატასტროფას ემსხვერპლნენ განთქმული ამერიკელი მეგოლფე პეინ სტიუარტი, მისი მეგობარი და აგენტი რობერტ ფრეილი და სამიც სხვა კაცი. უბედურება სამხრეთ დაკოტაში, მინას ახლოს მოხდა. განთქმული სპორტსმენის პარაკლისები სამხრეთის შტატების პრესვიტერიანულ ეკლესიებში გადაიხადეს. მისი მგლოვიარე ცოლი ტრეისი და ქალიშვილი ჩელსი კი ფლორიდაში ორანჟვუდის ტაძარში დაესწრნენ ამგვარ მოხსენიებას. ჰიუსტონში კი, სადაც საგოლფო შეჯიბრი მიმდინარეობს, მესტვირე სტივ ეგანმა თავად შეასრულა სამგლოვიარო რექვიემი თავის სტვირზე.

REUTERS ჰიუსტონიდან



REUTERS ფილადელფიიდან

აქლემების დოლი

ავსტრალიაში აქლემობა ბატონობს, მაგრამ აქლემთა დოლის გამართვას მაინც აპირებენ. იქ გაზაფხულია და გაზაფხულის დოლის ფესტივალის პროგრამაში ამათი ჭენაობაც შეუტანიათ. ფოტოზე ხედავთ, რომ მაღრიბულ აქლემ „ფანტომს“ ავსტრალიელი მწვრთნელი კრის ჰილი ოზურ ქუდს ახურავს. რა გამოვა ამ საქმიდან სპორტული თვალსაზრისით, ძნელი სათქმელია. თუმცა, სეირი კი იქნება.

საშინელების საცქერლად

ლოს ანჯელესში საშინელებათა ფილმის პრემიერაა. ფილმს „სახლი ჰაუნთიდ ჰილზე“ ჰქვია და გახლავთ რიმეიქი 1958 წელს გადაღებული კლასიკური საშინელებისა, რომელშიც აღწერილია როგორ ათევს ხუთი კაცი ღამეს მოჩვენებებთან სახლში, რათა დილით მილიონ-მილიონი ჩაიჯიბონ. პრემიერაზე კი პიტ საპპრასიც მისულა. მას მსახიობი ბრიჯიტ უილსონი უმშვენებს მხარს. ეს ქალი მთავარ როლს ასრულებს ამ „სახლში“.



REUTERS ლოს ანჯელესიდან

REUTERS ბუენოს აირესიდან

ტანგო და მოტოციკლეტი

ბუენოს აირესი — ტანგოს ქალაქი. ტანგოს უგანთქმულესი ალაგი — კაფე ტორტონი. იაპონელი მოტოშრბოლი ნორიკ აბე, ვისაც 500 კუბურსანტიმეტრიან ძრავის რკინის ცხენებში, წინა რიოს დიდ პრიზი შოუგია, ახლა ბაირესშია და კვირას გასამართი არგენტინის დიდი პრიზის, მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო ეტაპის შოგებასაც აპირებს. მანამდე კი აგე, კაფე ტორტონში, სადაც, რომ შეგიშვან, უეჭველად სოლიდური ფეხსაცმელი უნდა გეცვას, რეზინისძირიანი წუღა-მესტებით ტანგოს ვერ იცეკვებ.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** ოუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, . ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli